


## პროგრამის ინსტოლაცია


ლაზერული დისკის წამკითხავ მონწყობილობაში ჩადეთ ორის ბულეტერიის საინსტოლაციო დისკი და დაელოდეთ. იხილავთ ფანჯარას:



იმ შემთხვევაში თუ თქვენს მონიტორზე არ გამოვიდა აღნიშნული ფანჯარა, შედით “My Computer” -ში და გახსენით ლაზერული დისკი. მოძებნეთ ფაილი AUTORUN.EXE და დააჭირეთ “თავი” - ს მარცხენა ღილაკს ორჯერ.

გახსენება თუ არა თქვენს ეკრანზე აღნიშნული ფანჯარა, დააჭირეთ ღილაკს -


ეკრანზე გამოვა სალიცენზიო ხელშეკრულების ფანჯარა:




თუ ეთანხმებით ამ ხელშეკრულებას დააჭირეთ ლილავს - **I Agree**. იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანზე ხედავთ პროგრამა და მონაცემები განთავსდება **C დისკზე ORIS ფოლდერში**. თუ გსურთ სხვაგან განთავსება გამოიყენეთ ლილავი - **Browse...** და მიუთითეთ თქვენთვის სასურველი მარშრუტი. შემდეგ დააჭირეთ ლილავს - **Next >**. იხილავთ ფანჯარას:




კვლავ დააჭირეთ ლილავს - **Next >**. იხილავთ ფანჯარას:



კვლავ დააჭირეთ ლილავს - **Next >**. იხილავთ ფანჯარას:




როდესაც დააჭირეთ ლილავს - **Next >**, დაიწყება ინსტოლაციის პროცესი:



გარკვეული დროის შემდეგ, მონიტორზე გამოვა შემდეგი ფანჯარა:





ჯერ დააჭირეთ ლილავს - **Install HASP driver**. რამოდენიმე წამის შემდეგ დააჭირეთ ლილავს - **Finish >**. იხილავთ ფანჯარას:



დააჭირეთ **OK** - ს. რის შემდეგაც კომპიუტერი გადაიტვირთება. თუ ზემოთ მოცემული ეკრანი არ გამოვიდა, გადატვირთეთ კომპიუტერი ჩვეულებრივი წესით.

ამის შემდეგ მიუერთეთ ელექტრონული გასაღები კომპიუტერს. (გასაღების ტიპის შესაბამისად **LPT** ან **USB** პორტებს).


კომპიუტერის გადატვირთვის შემდეგ თქვენს მონიტორზე გაჩნდება **“ორის ბუალტერიის”** ნიშანი - .

გარდა პროგრამის დაინსტოლირებისა პროგრამაში ტექსტის ქართულად ასაყრევად საჭიროა ქართული კლავიატურის თანხლება, რომლის დასაინსტოლირებლად კვლავ გამოიძახეთ ორის ბუალტერიის საინსტოლაციო დისკი, სადაც აირჩიეთ ლილავი -  **ქართული კლავიატურა**. იხილავთ ფანჯარას:



დააჭირეთ ლილავს **Install**. შემდეგ იხილავთ ფანჯარას:



დააჭირეთ ლილავს **Yes** - ს. რის შემდეგაც კომპიუტერი გადაიტვირთება. ჩატვირთვის შემდეგ კლავიატურის გადამრთველს ექნება ქართული შრიფტის თანხლება  რომელიც მიბმულია აბრევიატურაზე **FI “Finnish”**.

## ქსელში მუშაობის უზრუნველყოფა

თუ თქვენ გაქვთ შექმნილი ორის ბუალტერიის ქსელური ლიცენზია, პროგრამის ქსელში მუშაობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა:

1. თითოეულ კომპიუტერზე დაინსტოლირებული უნდა იყოს "ორის ბუალტერია" (იხილეთ პროგრამის ინსტოლაცია).

2. ერთ-ერთ კომპიუტერზე, რომელიც მუდმივად ჩართული უნდა იყოს, მიუერთეთ წითელი ფერის ელექტრონული გასაღები HASP-ი (USB ან LPT მოდელი).

3. სერვერზე უნდა დაინსტოლიროთ პროგრამა ლიცენზიების მენეჯერი (LMSetup).

4. სერვერზე, ფოლდერს, სადაც განლაგებულია მონაცემები, უნდა დაუყენოთ Full Share იმისათვის, რომ სამუშაო კომპიუტერებიდან მასში განხორციელდეს მონაცემების ჩანერა-წაკითხვა.

5. მონაცემების ცენტრალიზებული დამუშავების მიზნით (ე.ი. იმისათვის, რომ თითოეულმა მომხმარებელმა ერთდროულად იმუშაოს ერთ მონაცემთა ბაზასთან) საჭიროა ლოკალური ქსელის კომპიუტერებზე, "ორის ბუალტერიის" პირველივე ეკრანზე, მიუთითოთ გზა სერვერის იმ ფოლდერისაკენ სადაც განლაგებულია პროგრამის მონაცემთა ბაზა. თავისთავად პროგრამის ინსტოლაციისას მითითებულია ფოლდერი C:\ORIS.


### ლიცენზიების მენეჯერის ინსტოლაცია

ლაზერული დისკის წამკითხავ მოწყობილობაში ჩადეთ ორის ბუალტერიის საინსტოლაციო დისკი და დაელოდეთ. იხილავთ ფანჯარას:



დააჭირეთ ლილავს - **CD შეყვანვა**.


როდესაც გაიხსნება ლაზერული დისკის შემცველობა მოძებნეთ და გახსენით ფოლდერი **HASP**. მოძებნეთ **LMSetup** და გაუშვით შესრულებაზე. გამოვა შემდეგი ფანჯარა:




სოლო შემდეგ:




დააჭირეთ ლილავს - **Next >**. იხილავთ ფანჯარას:




დააჭირეთ ლილავს - **Next >**. იხილავთ ფანჯარას:




კვლავ დააჭირეთ ლილავს - **Next >**. იხილავთ ფანჯარას:




მონიშნეთ პირველი (Put into Startup Folder) და დააჭირეთ ლილავს - **Next >**. იხილავთ ფანჯარას:




დაჭირეთ ლილავს - **Next >**, რის შემდეგ დაიწყება ინსტოლაციის პროცესი:



შემდეგ იხილავთ:



დააჭირეთ ლილავს **Yes** - ს და დაინახავთ, რომ პროგრამა გააგრძელებს ინსტოლაციის პროცესს.


ინსტოლაციის დასრულების შემდეგ ეკრანის მარჯვენა ქვედა კუთხეში გაჩნდება ნიშანი - .


### მონაცემთა ბაზის მარშრუტის არჩევა

მონაცემთა ცენტრალიზებული დამუშავების მიზნით (ე.ი. იმისათვის, რომ თითოეულმა მომხმარებელმა ერთდროულად იმუშაოს ერთ მონაცემთა ბაზასთან) საჭიროა ლოკალური ქსელის კომპიუტერებზე მონაცემთა ბაზის მარშრუტის არჩევა.


გამოიძახეთ სისტემა. იხილავთ ეკრანს:




სისტემაში პირველად შესვლამდე დააჭირეთ ეკრანის მარჯვენა ქვედა კუთხეში მოთავსებულ ლილავს -  "მონაცემების მარშრუტის შეცვლა". იხილავთ ეკრანს:




მოძებნეთ ჩანაწერი "My Network Places" :



გახსენით იგი - ღილაკის საშუალებით. იხილავთ ქსელში ჩართული კომპიუტერების ჩამონათვალს:



სადაც აირჩიეთ სერვერად გამოცხადებული კომპიუტერი. ჩვენს შემთხვევაში "Orisserv". გახსენით იგი - ღილაკის საშუალებით. შემდეგ გახსენით ის მონაცემი (მაგალითად, Local Disk (C:)), რომელზეც არის ჩანერილი "ორის-ბუღალტერია" და მონიშნეთ ჩანერი ORIS:




დააჭირეთ "OK" – ს.

თუ თქვენ "თავს" გააჩერებთ ღილაკზე – "მონაცემების მარშრუტის შეცვლა", გამოჩნდება თქვენს მიერ მითითებული მარშრუტი:



### პროგრამის ქსელში მუშაობის შესაძლო პრობლემების დაგნოსტიკა

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ქსელში მუშაობისას, რომელიმე კომპიუტერზე გამოვიდა შემდეგი შეტყობინება:



შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ერთ-ერთ შემთხვევას:


1. შეამოწმეთ სერვერი. ის უნდა იყოს ჩართული, და მასზე უნდა იყოს მიერთებული ელექტრონული გასაღები HASP (USB მოდელის შემთხვევაში ის უნდა ანათებდეს).

2. ეკრანის ქვევით მარჯვენა კუთხეში დავალებების ზოლში (TASK BAR) უნდა იყოს HASP-ის ნიშანი.

თუ ნიშანი არ ჩანს დააინსტოლირეთ LMSETUP (იხილეთ ლიცენზირების მენეჯერის ინსტოლაცია).

3. შეამოწმეთ იმ კომპიუტერზე, სადაც უშვებთ "ორის ბულალტერიას" არის თუ არა აქტიური HASP-ის დრაივერი.

ამისათვის, გაუშვით ORIS ფოლდერიდან HASPINFO და თუ გამოვა ფანჯარა:




დააინსტოლირეთ "ორის ბულალტერია" (იხ. პროგრამის ინსტოლაცია) არ დაგავინწყდეთ ლილაზე - **Install HASP driver** დაჭერა.

4. შეამოწმეთ აქვს თუ არა სერვერზე განთავსებულ მონაცემთა ბაზის ფოლდერს Full Share. ამის შემოწმება ხორციელდება შემდეგნაირად: სამუშაო კომპიუტერიდან, ქსელის მეშვეობით, სერვერის მონაცემთა ბაზის ფოლდერში (თავისთავად (Default) ეს არის C:\ORIS)

ჩანერეთ და შემდეგ ნაიკითხეთ ნებისმიერი ფაილი. თუ ეს ვერ განახორციელეთ, უზრუნველყავით Full Share.

5. შეამოწმეთ მუშაობს თუ არა გამართულად ქსელში პროტოკოლი TCP/IP (სასურველია შემოწმება განახორციელოს ქსელის სპეციალისტმა PING ბრძანების მეშვეობით).

იმ შემთხვევაში, თუ პროტოკოლი არ მუშაობს, ORIS ფოლდერში მოძებნეთ ფაილი NETHASP.INI და ნაიკითხეთ იგი. იხილავთ ფანჯარას:



დასვით ნერტილ-მძიმე - ; TCP/IP Protocol Set - ის სამ ხაზში. შემდეგ შეინახეთ ჩასწორებული ფაილი იგივე ადგილას.

```

;----- TCP/IP Protocol Set -----
; NH_IPX = Disabled
; NH_NETBIOS = Disabled
; NH_TCPIP = Enabled
;----- NETBIOS Protocol Set --
; NH_IPX = Disabled
; NH_NETBIOS = Enabled
; NH_TCPIP = Disabled
;----- IPX Protocol Set -----
; NH_IPX = Enabled
; NH_NETBIOS = Disabled
; NH_TCPIP = Disabled

```

6. თუ ვერცერთი ზემოთ აღნიშნული ღონისძიების შემდეგ ვერ მიიღებთ სასურველ შედეგს, დაუკავშირდით კომპანია ორისს.


## მონაცემების ასლის აღება / აღღგენა

### **! ყურადღებით გაეცანით ამ თავს.**


პროგრამაში შეტანილი მონაცემების უსაფრთხოებისათვის, საჭიროა გამოიჩინოთ გარკვეული სიფრთხილე. არასასიამოვნო ექსცესებისგან თავის დასაღწევად, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შეიძლება დაზიანდეს მონაცემები, შემთხვევით წაიშალოს, დაზიანდეს ან მოიპარონ კომპიუტერი, რომელზეც დაინსტოლირებულია პროგრამა და მონაცემთა ბაზა, საჭიროა (სასურველია ყოველი სამუშაო დღის ბოლოს) აიღოთ მონაცემების ასლი რაიმე საიმედო გარე მონყობილობაზე. ასლის აღება შეიძლება კომპიუტერის ნებისმიერ წამითხავ მონყობილობაზე. ესენია: დისკეტი, **Zip, Flash, CD**, თვითონ კომპიუტერის ან ქსელში ჩართული სხვა რომელიმე კომპიუტერის მყარი დისკი (ვინჩესტერი).

სისტემა მონაცემებს აარქივებს ერთი ცარიელი დისკეტის ზომაზე - **1.44MB**, ამიტომ თუ ასლს იღებთ დისკეტებზე, საჭიროა დისკეტები იყოს აუცილებლად ცარიელი. ამასთან, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მონაცემთა ბაზა იზრდება, ამიტომ, მონაცემების ასლის ასაღებად შეიძლება დაგჭირდეთ რამოდენიმე დისკეტა. თუმცა რჩევის სახით შევნიშნავთ, რომ დისკეტების გამოყენება შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში, რადგან, როგორც წესი, ისინი არასაიმედოა (ადვილად ზიანდება).

სისტემაში ასლის აღება მიმდინარეობს სპეციალური არქივატორით **Winrar**, რომელიც პროგრამასთან ერთად ინსტოლირდება **ORIS** - ის საქალაღეში. ზოლო ასლის აღების პარამეტრები სისტემაში მითითებულია მისთვის განუთვნიღ სპეციალურ ვეღებში. თუ გაინტერესებთ, რა პარამეტრებით და როგორ მუშაობს არქივატორი **Winrar**, პროგრამაში ძირითადი მენიუდან “**ფონდები**” აირჩიეთ ქვემენიუ “**სისტემის პარამეტრები**”. იხიღავთ ეკრანს:




სადაც აირჩიეთ ღილაკი - “სხვა...”, ხოლო შემდეგ ბარათი “ასლის პარამეტრები”:




როგორც ეკრანზე ხედავთ, პირველივე ველში “მარშრუტი”, მითითებულია კომპიუტერის წამკითხავი მონწყობილობა A:\ (დისკეტი). რაც ნიშნავს, რომ ასლის ადრესის ბრძანების გაშვების დროს სისტემა ავტომატურად მიმართავს დისკეტის წამკითხავ მონწყობილობას. თუ თქვენ არ გსურთ ასლის ადრესი დისკეტებზე და ყოველთვის ან უფრო სწორად აიღებთ ხოლმე ასლს კომპიუტერის რომელიმე სხვა წამკითხავ მონწყობილობაზე, მაშინ ჯერ ნაშაღვთ მითითებული მარშრუტი, ხოლო შემდეგ შეცვალეთ იგი ღილაკის -  საშუალებით. იხილავთ Windows - ის სტანდარტულ ეკრანს - Browse for Folder, სადაც შესძლებთ სასურველი მარშრუტის არჩევას. თუმცა ამის გაკეთება არ არის აუცილებელი, რადგანაც ასლის ადრესის ბრძანების გაშვებისას, თუ დისკეტი არ იქნება მოთავსებული წამკითხავ მონწყობილობაში, სისტემა მოგთხოვთ ასლის ადრესის მარშრუტის მითითებას.

## ასლის ადრესი

მონაცემების ასლის ასაღებად პროგრამაში ძირითადი მენიუდან “ფაილი” აირჩიეთ ქვემენიუ “ასლი”, ხოლო შემდეგ “მონაცემების ასლის ადრესი”:




იხილავთ ეკრანს:




სადაც არის სამი ველი: “მთელი ინფორმაციის ასლი”, “კონკრეტული ორგანიზაციის ასლი”, “RL ფორმების ასლი”. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. სისტემაში შესაძლებელია რამოდენიმე ორგანიზაციის ბუღალტერიის წარმოება, რომლებიც მოთავსებულია სხვადასხვა საქალაქო დეპოში (დანვრილებით ეს საკითხი განხილულია მე-2 თავში “ახალი ორგანიზაციის შექმნა”). თუ თქვენ პროგრამაში გახსნილი გაქვთ სხვადასხვა ორგანიზაციები და ასლის ადრესის დროს მონიშნავთ ველს “მთელი ინფორმაციის ასლი”, შეინახება (დაარქივდება) პროგრამაში შეტანილი მთელი ინფორმაცია, ანუ ყველა ორგანიზაციის მონაცემები. თუ დააჭერთ OK - ს იხილავთ გაფრთხილების ეკრანს:



და თუ ამ ეკრანზე დაადასტურებთ ბრძანებას **OK** - ზე დაჭერით, იხილავთ ეკრანს, სადაც სისტემა გატყობინებთ, რა მარშრუტით და დასახელებით შეინახავს მონაცემებს:



ამ ეკრანიდან გამომდინარე სისტემა მონაცემების ასლს შეინახავს კომპიუტერის **Floppy (A:)** დისკეტზე, დასახელებით - **WOB\_ASLI**, შემდეგ ასლის ალების თარიღი და დრო, ხოლო დასახელების ბოლოს, წერტილის შემდეგ მითითებული იქნება ფაილის ფორმატი **RAR** (რადგანაც არქივირება სრულდება **Winrar** პროგრამით). თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვე შეგიძლიათ შეცვალოთ ასლის მარშრუტიც და დასახელებაც გარდა **RAR** ფორმატისა. დააჭირეთ **Save** - ს, რის შემდეგაც დაიწყება მონაცემების არქივირება:




იმ შემთხვევაში, როცა გაქვთ დიდი მონაცემთა ბაზა და ეს ინფორმაცია არ ეტევს ერთ დისკეტზე, გამოვა შემდეგი შეტყობინება:




ამ შემთხვევაში კომპიუტერში ჩადეთ ახალი ცარიელი დისკეტი და გააგრძელეთ ასლის ალება ლილავით - **Yes**. დისკეტების რაოდენობა დამოკიდებულია თქვენი მონაცემების სიდიდეზე.

თუ ალებული ასლი შედგება რამოდენიმე ფაილისგან, მათგან პირველს (ძირითადად) ეწევა **RAR** ფორმატი, ხოლო ყოველ მომდევნო ფაილს მიენიჭება შემდეგი სახის ფორმატები: **R00**, **R01**, **R02**, **R03** და ა.შ.

2. თუ პროგრამაში გახსნილია ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია (საქალაქე) და რაღაც მიზეზის გამო (მაგალითად, ცვლილებებს ახდენთ მხოლოდ ერთ ორგანიზაციაში ან ფილიალში გასაგზავნად გჭირდებათ მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მონაცემები) არ არის საჭირო ყველა ორგანიზაციის ასლის ალება, მაშინ ეკრანზე:




უნდა მონიშნოთ მეორე ველი "**კონკრეტული ორგანიზაციის ასლი**", რის შემდეგაც ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება პროგრამაში გახსნილი ყველა ორგანიზაცია (საქალაქე):



ამ ეკრანზე უნდა მონიშნოთ ის კონკრეტული ორგანიზაცია, რომლის მონაცემების ასლის ალებაც გსურთ და დაადასტუროთ ბრძანება **OK** - ზე დაჭერით. ამის შემდეგ ასლის ალების პროცესი მიმდინარეობს ზუსტად იგივე წესით, როგორც "**მთელი ინფორმაციის ასლი**" - ს შემთხვევაში.

3. RL ფორმების ასლი. ეკრანზე:



მესამე ველის მონიშვნის შემთხვევაში, შეინახება პროგრამაში ანყობილი ყველა გამოშვებული ფორმა, რომლებსაც აქვთ RL ფორმატი. ხოლო მონაცემების არქივირების პროცესი მიმდინარეობს ზუსტად იგივე წესით, როგორც “**მთელი ინფორმაციის ასლი**” - ს შემთხვევაში.


გამომავალი დოკუმენტების (RL) ანყობა / ფორმირება განხილულია მე-13 თავში.

ამით დასრულდა მონაცემების ასლის აღების განხილვა.


**ასლის აღგენა**

საჭიროების შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ აღადგინოთ პროგრამაში აღებული ასლი. ეს საჭიროება შეიძლება შეიქმნას შემდეგი მიზეზებით: დაზიანდა პროგრამაში შეტანილი რომელიმე მონაცემი და შეუძლებელია მათი ეკრანზე გამოტანა, საჭირო გახდა ფილიალიდან გამოგზავნილი მონაცემების ასლის აღდგენა, შეცვალეთ კომპიუტერი და გჭირდებათ ასლის გადატანა ახალ კომპიუტერზე და ა.შ.

ამ შემთხვევაში, პროგრამაში ძირითადი მენიუდან “**ფაილი**” აირჩიეთ ქვემენიუ “**ასლი**”, ხოლო შემდეგ “**ასლიდან მონაცემების აღდგენა**”:




იხილავთ გაფრთხილების ეკრანს:



რაც ნიშნავს, რომ ასლის აღდგენის შემთხვევაში პროგრამაში ყველა ბუღალტერიაში აღდგება ის მონაცემები, რაც გქონდათ ასლის აღების დროს. ანუ თუკი გაქვთ ყველა ბუღალტერიის ერთი თვის წინანდელი ასლი და აღადგენთ ამ ასლს, პროგრამაში აღდგება ერთი თვის წინანდელი მონაცემები, ხოლო მის მერე შეტანილი ინფორმაცია დაგეკარგება.

იმ შემთხვევაში, თუ გექნებათ მხოლოდ ერთი ორგანიზაციის ასლი, რომელიც დაგიზიანდათ და აღადგენთ მას, ასლის აღდგენა შეეხება მხოლოდ ამ ორგანიზაციას.

დააჭირეთ **OK** - ს. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს:




ამ ეკრანში უნდა მიუთითოთ ის წამკითხავი მონყობილობა (მარშრუტი), სადაც გაქვთ ასლი შენახული. იმ შემთხვევაში, თუ ასლი აღებული გაქვთ დისკეტებზე და იგი შედგება რამოდენიმე დისკეტისგან, ასლის აღდგენის დროს წამკითხავ მონყობილობაში უნდა ჩადოთ პირველი დისკეტი ანუ რომელზეც **RAR** ფორმატის ფაილია მოთავსებული.


ასლის აღსადგენად უნდა მონიშნოთ ასლის ფაილი და აირჩიოთ ლილავი **Open** ან ორჯერ დააჭიროთ “თავი” - ს მარცხენა ლილავს. რის შემდეგაც დაიწყება ასლის აღდგენის პროცესი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აღდგება ის მონაცემები, რომლებიც გქონდათ შენახული ამ ასლში.

## პროგრამის განახლება ინტერნეტით

კომპანია “ორისთან”, პროგრამის შექმნის თაობაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ მომხმარებელს პროგრამის უფასო განახლება ეკუთვნის შექმნიდან ერთი წლის განმავლობაში. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კერძოდ როდემდე გეკუთვნით პროგრამის უფასო განახლება შეგიძლიათ ნახოთ პროგრამაში. ამისათვის, ძირითადი მენიუდან “Help”, უნდა აირჩიოთ ქვემენიუ “სისტემის შესახებ”:




იხილეთ ეკრანი:




სადაც, ეკრანის ქვედა ნაწილში წითელი ფერის ასოებით წერია, რომელ თარიღამდე გეკუთვნით პროგრამის უფასო განახლება.

პროგრამის “ორის-ბუღალტერია” განახლების ფაილების გადმოწერა შესაძლებელია შპს “ორისი” - ს ვებ გვერდიდან - [www.oris.ge](http://www.oris.ge). ამ გვერდის გამოძახებას შესძლებთ პირდაპირ პროგრამიდან თუ მთავარი მენიუდან “Help” აირჩევთ ქვემენიუს “ვებ გვერდი”:




ეკრანზე იხილავთ შპს “ორის” - ის ვებ გვერდს:



როგორც ეკრანზე ხედავთ ვებ გვერდი არის ინგლისური ინტერფეისით. დააჭირეთ ზედა მარჯვენა კუთხეში მდებარე ლილვს - **ქართული**, რათა გადახვიდეთ ქართულ ინტერფეისზე:



ორის ბუღალტერიის ახალი ვერსიის ფაილების გადმოსაწერად დააჭირეთ “თავი” - ს მარცხენა ლილვით ველზე - **“გადმოწერეთ ორის ბუღალტერიის ბოლო ვერსია”** ან ეკრანის მარცხენა მხარეს მოცემულ სარჩევში აირჩიეთ **“გადმოწერა”**. ეკრანზე იხილავთ:



ორის ბუღალტერიის ლიცენზირებული ვერსიის გადმოსაწერად აირჩიეთ - **“ორის ბუღალტერიის განახლება”**. ეკრანზე იხილავთ:




როგორც ხედავთ, სვეტში **“აღწერა”** ნაჩვენებია “ორის ბუღალტერიის” ბოლო ვერსიის ნომერი და მისი გამოშვების თარიღი.

**! გაითვალისწინეთ ის, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ გეკუთვნით “ორის ბუღალტერიის” ახალი ვერსია, განახლების ფაილების დაინსტალირების შემდეგ თქვენ ვეღარ შესძლებთ სისტემაში შესვლას.**

იმისათვის, რომ ნახოთ თუ რა სიახლეებია ახალ ვერსიაში გადმოიწერეთ სიახლეების ფაილი. ამას შესძლებთ თუ აირჩევთ ველს **“სიახლე ვერსიაში”**.

როგორც ხედავთ აქვე მოცემულია რვა დისკი, რომლებიც რიგრიგობით უნდა გადმოიწეროთ თქვენს კომპიუტერზე, რომელიმე ერთ საქალაქო დისკში. განახლების ფაილების გადმოსაწერად დააჭირეთ

“თაგვი” - ს მარცხენა ლილავს “დისკი 1” - ზე. იხილავთ ეკრანს:




აღნიშნულ ეკრანში დააჭირეთ ლილავს - **Save**, რათა დაიმახსოვროთ ეს ფაილები თქვენს კომპიუტერზე. იხილავთ ეკრანს:



გამოსულ ეკრანში მიუთითეთ გზა თუ სად უნდა დაიმახსოვროთ “ორის ბულეტენის” განახლების ფაილები. ველში “Save in” ლილავის - **დ** დახმარებით აირჩიეთ **C** დისკი და შექმენით ახალი საქალაქე მაგალითად, “OrisUpgrade”. მონიშნეთ იგი და დააჭირეთ ლილავს “Open”, შემდეგ კი “Save” - ს. ნახავთ, რომ დაინყება თქვენს მიერ არჩეული ფაილის “OrisUpgrade” საქალაქეში გადმონერა.

რვავე დისკის გადმონერის შემდეგ გახსენით “OrisUpgrade” საქალაქე. იხილავთ ეკრანს:



**! სისტემის განახლების პროცესში პროგრამა “ორის ბულეტენია”**

**დახურული უნდა იყოს. იმ შემთხვევაში თუ გაქვთ სისტემის ქსელური ვერსია, პროგრამა უნდა დახუროთ როგორც სერვერზე, ასევე ყველა მუშა კომპიუტერზე.**

სისტემის ახალი ვერსიის დასაინსტოლირებლად გაუშვით **ORIS\_UPGRADE.EXE** ფაილი და განაგრძეთ სისტემის ინსტოლაციის პროცესი ისე, როგორც ეს აღწერილია თავში “**პროგრამის ინსტოლაცია**”.

გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ გაქვთ პროგრამის ქსელური ლიცენზია, პროგრამის განახლება უნდა მოახდინოთ ქსელში მომუშავე ყველა კომპიუტერზე ცალ-ცალკე.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში თუ გსურთ სისტემის ახალი ვერსიის დაინსტოლირება ისეთ კომპიუტერზე სადაც აქამდე არ გქონდათ დაინსტოლირებული სისტემა, მაშინ ინტერნეტიდან გადმონერილი განახლების ფაილები თქვენ არ გამოგადგებათ, რადგან ეს არის სისტემის განახლების და არა საინსტოლაციო ფაილები.

ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა დააინსტოლიროთ სისტემა “ორის ბულეტენია” საინსტოლაციო დისკიდან და მხოლოდ ამის შემდეგ დააინსტოლიროთ ინტერნეტიდან გადმონერილი განახლების ფაილები.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ დაგიზიანდათ ან დაგეკარგათ “ორის ბულეტენის” საინსტოლაციო დისკი დაუკავშირდით შპს “ორის”.

## თავი 1

### პროგრამასთან მუშაობის სწრაფად დაწყების სახელმძღვანელო

სისტემის დანიშნულებაა ორგანიზაციის საბუღალტრო და სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვის სრული ავტომატიზაცია. სისტემა მოქნილია და იოლად მოერგება თქვენი ფირმის საქმიანობას.

სისტემასთან მუშაობის სწრაფად ასათვისებლად ერთ-ერთი სავაჭრო ფირმის მაგალითზე განვიხილოთ პროგრამის შესაძლებლობები.

დავუშვათ, ჩამოყალიბდა ფირმა შპს „დარიალი“, რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 6000 ლარს. ბანკში შეტანილი იქნა თანხა - 4000 ლარი, ხოლო სალაროში - 2000 ლარი. (1-ლი ოპერაცია).

ორგანიზაცია შედგება 2 თანამშრომლისგან: დირექტორი - ვ.ზ.თარხნიშვილი და მთ.ბუღალტერი - ი.კ.ლომიძე, რომელთაც ერიცხებათ ხელფასი შესაბამისად - 240 ლარი და 150 ლარი.

ორგანიზაციას ყავს მომწოდებელი: შპს „განთიადი“ და რეალიზატორი შპს „მედია“.

დავუშვათ, 6.06 - ში მომწოდებლისგან შპს „განთიადი“ ორგანიზაციამ შეიძინა 3 ცალი ფაქსი - 750 ლარად და 2 ცალი პრინტერი - 1600 ლარად დღგ - ს გარეშე, უნაღდო ანგარიშსწორებით, მთლიანი თანხიდან იმ დღესვე დაფარული იქნა მხოლოდ 2000 ლარი, ხოლო 350 ლარი ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს 20 დღის განმავლობაში. (მე-2 ოპერაცია).

12.06 - ში გაიყიდა 1 ცალი პრინტერი - 850 ლარად, ნაღდი ანგარიშსწორებით. (მე-3 ოპერაცია).


18.06 - ში რეალიზატორმა წაიღო 2 ცალი ფაქსი - 580 ლარად, შემდგომი გადახდით. (მე-4 ოპერაცია).

24.06 - ში ორგანიზაციამ დაფარა მომწოდებლის ვალი - 773 ლარი. გამოიწერა შესაბამისი საგადასახადო დავალება. (მე-5 ოპერაცია).

თვის ბოლოს თანამშრომლებზე დაირიცხა კუთვნილი ხელფასები, შესრულებული იქნა დარიცხვის შესაბამისი გატარებები და გაიცა პერსონალზე ხელფასები. (მე-6 ოპერაცია).


ხელფასის დათვლის და გაცემის შემდეგ ორგანიზაციამ საგადასახადო ინსპექციაში წარსადგენად მოამზადა ფიზიკურ პირებზე დავალებული სამემოსავლო გადასახადის ყოველთვიური განგარიშება. (მე-7 ოპერაცია).



ესლა ვნახოთ, როგორ შეიძლება სისტემის მეშვეობით შპს “დარიალი” - ს ოპერაციების შესრულება, ხელფასის დათვლა, პირველადი დოკუმენტებისა და უწყისების ბეჭდვა და მათი შესრულების შემდეგ მიღებული შედეგების ნახვა, საცდელი ბალანსის და მოგება-ზარალის უწყისის შედგენა.


სისტემაში შესასვლელად “Desktop” – ზე აირჩიეთ -  და დააჭირეთ “Enter” – ს ან “თავი” – ს მარცხენა ლილავს ორჯერ (ან მოიქცით ისე როგორც აგისნიან სისტემის ავტორები). იხილავთ ეკრანს:





დააჭირეთ “OK” - ს ან “Enter” - ს (თქვენთვის სასურველი პაროლის მითითებას შესძლებთ სისტემაში შესვლის შემდეგ მენიუში “ფაილისპაროლის შეცვლა”). სისტემაში შესვლისას იხილავთ ეკრანს:





ამ ეკრანში და პროგრამის სხვა დანარჩენ ეკრანებშიც, ველებს შორის გადაადგილებას შესძლებთ “Tab” ლილავს ან “თავი” - ს საშუალებით. სისტემაში ქართულ შრიფტზე გადასასვლელად ეკრანის ქვედა მარჯვენა კუთხეში აირჩიეთ კლავიატურის გადამრთველი ნიშანი - . (კლავიატურის გადამრთველის დაინსტოლირება აღწერილია თავში “პროგრამის ინსტოლაცია” გვ.4). იხილავთ პატარა ეკრანს , სადაც აირჩიეთ “Finnish”. ამის შემდეგ თქვენ შესძლებთ ქართული ტექსტის აკრეფას. შეავსეთ ორგანიზაციის რეკვიზიტები, მაგ. შემდეგნაირად:




ბანკის რეკვიზიტების დასამატებლად ეკრანის მარჯვენა მხარეს აირჩიეთ ლილავი -  “დამატება”. იხილავთ ეკრანს, სადაც უნდა დაამატოთ თქვენი ბანკის რეკვიზიტები და ანგარიში:




დააჭირეთ ლილავს - , რის შემდეგაც გახვალთ პროგრამაში არსებულ ბანკების სიაზე, სადაც ჩვენნი მაგალითისთვის მონიშნეთ ბანკი

“საქართველოს აგრობიზნესბანკი” და აირჩიეთ იგი ღილაკით -  . დაინახავთ, რომ ამ ბანკის ყველა რეკვიზიტი ჩაჯდება შესაბამის ველებში. შემდეგ ველში “ორგანიზაციის ანგარიში”, ავრიფეთ მაგალითად, 3612001304. უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:




დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ სისტემის პარამეტრების ეკრანის მარჯვენა ნაწილში დაემატება ორგანიზაციის მომსახურე ბანკი ყველა რეკვიზიტით და აგრეთვე, ანგარიში ამ ბანკში:



**შენიშვნა:** თუ თქვენს ორგანიზაციას ბანკებში გახსნილი აქვს რამოდენიმე ანგარიში. აქვე შეგიძლიათ დაამატოთ სხვა ანგარიშებიც. რაც დაწვრილებით განხილულია მე-2 თავში “ახალი ორგანიზაციის შექმნა”.

დააჭირეთ **“OK”** - ს. იხილავთ ძირითად ეკრანს :



ეკრანზე ჩანს ძირითადი მენიუ: **ფაილი, რედაქტირება, ოპერაციები, ფონდები, ხელფასი, Window, Help**. მის ქვემოთ განლაგებულია ღილაკები. თუ თქვენ, ისარს გააჩერებთ რომელიმე მათგანზე, ცოტა ხანში გამოჩნდება მისი შინაარსი. ღილაკის არჩევა შესაძლებელია მასზე “თავი” - ს მარცხენა ღილაკის დაჭერით. ძირითადი მენიუს ქვემოთ ჩანს თუ რომელი საანგარიშო პერიოდით ხორციელდება ოპერაციები სისტემის მიერ (დაწვრილებით ამ პერიოდის დანიშნულება აღწერილია მე-4 თავში “საოპერაციო და ანალიზური პერიოდები”).

ესლა შევასრულოთ შპს “დარიალი” - ს პირველი ოპერაცია, ანუ როდესაც ბანკში შეტანილი იქნა 4000 ლარი, ხოლო სალაროში - 2000 ლარი.

უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

დ.კ. N	დებიტი	კრედიტი	თანხა	საფუძველი
1	1210	5150	4000 GEL	თანხის ბანკში შეტანა
2	1110	5150	2000 GEL	თანხის სალაროში შეტანა

**შენიშვნა:** თუ თქვენს ორგანიზაციას ემსახურება რამოდენიმე ბანკი, მაშინ 1210 ანგარიშზე მიზანშეწონილი იქნება გახსნათ ბანკის სახეობის ანგარიშები. რაც დაწვრილებით განხილულია მე-3 თავში “ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტარტო ნაშთების დასმა”.

გატარებების შესასრულებლად აირჩიეთ ღილაკი “გატარებები” -




(**Ctrl + 2**). იხილავთ ეკრანს :




ყოველი ახალი გატარების დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს -

“დამატება” იხილავთ ეკრანს :




ყოველი გატარების დამატების დროს, ველში “თარიღი”, მითითებული იქნება კომპიუტერის მიმდინარე თარიღი. შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



მეორე გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს -

და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



დააჭირეთ “OK” - ს. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ 2 გატარებას:




როგორც ეკრანზე ხედავთ ორივე გატარების საკრედიტო ნაწილში მონაწილეობს ერთი და იგივე ანგარიში. პროგრამაში არსებობს ე.წ. T გატარების მცნება, რომლის საშუალებითაც ასეთი სახის გატარებების შესრულება შეიძლება ბუნებრივი სახით.


მოდით, ეს შემთხვევა განვიხილოთ შპს “დარიალი” - ს შემდეგი ოპერაციის მაგალითზე.

როგორც გახსოვთ ორგანიზაციას ყავს მომწოდებელი შპს “განთიადი”, რომლისგანაც 6.06 - ში შეიძინა 3 ცალი ფაქსი - 750 ლარად და 2 ცალი პრინტერი - 1600 ლარად დღგ - ს გარეშე.





ამ ოპერაციის შესასრულებლად საჭიროა ორგანიზაციების სიაში დავამატოთ შესაბამისი მომწოდებელი, ხოლო სასაქონლო სიაში შესაბამისი საქონელი და გავხსნათ ანგარიშები, რისი გაცეთებაც შესაძლებელია უშუალოდ გატარების შესრულების დროსაც. უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:


დოკ. N	დღეები	კრედიტი	რაოდენობა	თანხა	საფუძველი
3	1610	3110	3 ცალი	750 GEL	შეძენილია მომწოდებლისგან ფაქსი
3	1610	3110	2 ცალი	1600 GEL	შეძენილია მომწოდებლისგან პრინტერი
3	3340	3110		423 GEL	დოკ. N3, დღგ



გატარებების ეკრანში დააჭირეთ ღილაკს -  "ოპერაციის დამატება Ctrl+Ins": იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე მარტივი გატარების დამატება. დაუშვებელია ერთდროულად რამდენიმე სადებეტო და საკრედიტო ანგარიშის გამოყენება და ოპერაციაში მონაწილე ერთადერთი ანგარიში, რომელსაც რამდენიმე ანგარიში ეკორესპოდენტება, უნდა დაემატოს პირველ რიგში. ჩვენი შემთხვევისთვის ასეთი ანგარიშია - 3110.


რადგანაც ორგანიზაციამ მომწოდებლისგან საქონელი შეიძინა 6.06 - ში, ამიტომ ველში "თარიღი"  ან  ღილაკების გამოყენებით აირჩიეთ შესაბამისი თარიღი. შემდეგ ავრიფეთ დოკ.ნომერი - 3, საფუძველი - **შეძენილია მომწოდებლისგან**. დააჭირეთ დამატების ღილაკს -  დანახავთ, რომ გააქტიურდება ველი "ანგარიში", სადაც ავრიფეთ 3110 და დააჭირეთ ამ ველში მოთავსებულ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:



ამ ეკრანში 3110 ანგარიშს უნდა გაუხსნათ ორგანიზაციის სახეობის ანგარიში დასახელებით შპს "განთიადი", ამისათვის, დააჭირეთ დამატების ღილაკს -  , იხილავთ ანგარიშის დამატების ეკრანს, სადაც ველში "სახეობა"  - ღილაკის საშუალებით აირჩიეთ "ორგანიზაციის":



რის შემდეგაც პროგრამა გაგიყვანთ ორგანიზაციების სიაზე:



აქ უნდა დაამატოთ თქვენი მომწოდებელი. ამისათვის, ეკრანის ზედა ნაწილში გამოიყენეთ დამატების ღილაკი და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ სიაში დაემატება შპს "განთიადი" სით მომდევნო კოდით - 3. ხოლო ეკრანის ქვედა ნაწილში შესაბამისი ლილავით დაამატეთ ამ ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიში ამ ბანკში. შეავსეთ მოცემული ეკრანი მაგალითად შემდეგნაირად:


დააჭირეთ **OK** - ს. შემდეგ აირჩიეთ ახლად დამატებული ორგანიზაცია **OK** - ლილავის საშუალებით. იხილავთ ეკრანს:

როგორც ეკრანზე ხედავთ გაიხსნება ორგანიზაციის სახეობის ანგარიში 3110 3 დასახელებით - შპს "განთიადი". დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ გახსნილი ანგარიში დაემატება ანგარიშთა გეგმაში, რომელიც აირჩიეთ **OK** - ლილავის საშუალებით. რის შემდეგაც დაბრუნდებით ოპერაციის დამატების ეკრანში. ანუ პროგრამა საშუალებას გაძლევთ უშუალოდ ოპერაციის შესრულების დროს დაამატოთ გატარებისთვის საჭირო სახეობის ანგარიში:


ანგარიში	დასახელება	დებიტი	კრედიტი	ვალ.კურსი	კრედიტურა	ბრუნულ/მთლიანი	კოორდინატი	გვერდი
3110 3	შპს "განთიადი"			GEL 1.00000000		მონიშნული	0	3

რადგანაც 3110 ანგარიში საკრედიტოა და შპს "განთიადი" - სთვის გადასახდელი მთლიანი თანხაა - 2773 (750+1600+423(დღგ)) ლარი, ველში "კრედიტი" ავრიფეთ შესაბამისი რიცხვი და დააჭირეთ **Enter** - ს. შემდეგი ჩანაწერის დასამატებლად კვლავ დააჭირეთ დამატების ლილავს. გააქტიურებულ ანგარიშის ველში ავრიფეთ 1610 და დააჭირეთ ამ ველში მოთავსებულ ლილავს - **OK**. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ანგარიშთა გეგმის ეკრანს, სადაც 1610 ანგარიშს უნდა გაუხსნათ სასაქონლო სახეობის ანგარიში დასახელებით "ფაქსი". ამისათვის, მონიშნეთ ეს ანგარიში და დააჭირეთ დამატების ლილავს. იხილავთ


თქვენთვის ნაცნობ ანგარიშის დამატების ეკრანს, სადაც ველში "სახეობა" აირჩიეთ - **სასაქონლო**. ამის შემდეგ პროგრამა გაეცვანთ სასაქონლო სიაზე:




ესლა უნდა დამატოთ საქონელი "ფაქსი". ამისათვის, დააჭირეთ დამატების ღილაკს. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეაგეთ:



დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ დამატებული საქონელი გაჩნდება სიაში კოდით 00002. აირჩიეთ ეს საქონელი **OK** - ღილაკის საშუალებით. შემდეგ ანგარიშის გახსნის ეკრანშიც დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ გახსნილი ანგარიში დაემატება ანგარიშთა გეგმაში, რომელიც აირჩიეთ - ღილაკის საშუალებით. რის შემდეგაც დაბრუნდებით ოპერაციის დამატების ეკრანში.




როგორც ხედავთ, კურსორით ავტომატურად მოინიშნა ველი "დებიტი", სადაც ავრიფეთ - 750, ხოლო ველში "რაოდენობა" - 3. შემდეგი ჩანაწერის დასამატებლად კვლავ დააჭირეთ დამატების ღილაკს და - ღილაკის გამოყენებით ანგარიშის ველში დამატეთ სასაქონლო ანგარიში დასახელებით "პრინტერი", ზუსტად იგივე წესით როგორც ფაქსის შემთხვევაში. ხოლო შემდეგ დამატეთ დღე - ს გატარება. საბოლოოდ ოპერაციის ეკრანს ექნება შემდეგი სახე:




ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს.

როგორც გახსოვთ, ამავე დღეს მომწოდებელს ორგანიზაციაში გადაუხადა 2000 ლარი. ამ გატარების შესასრულებლად დააჭირეთ დამატების ღილაკს - და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



დააჭირეთ **OK** - ს. ესლა ენახოთ როგორ აისახა ანგარიშებზე თქვენს მიერ შესრულებუ-

ლი გატარებები. ამის ნახვას შესძლებთ თუ აირჩევთ ლილავს -  "ანგარიშები Ctrl+I". იხილავთ ანგარიშთა გეგმას:

ანგარიში	სახელი	დასაბუღება	მონაცემები	რეზერვაციები	პალატი	
			დამები	კორიბი	დამები	კორიბი
1000	აბგ	მიმდინარე აკტივები				
1100	აბგ	ნაღდი ფული				
1110	აბგ	ნაღდი ფული სავაჭრო				
1120	აბგ	ნაღდი ფული უსაქონლო				
1200	აბგ	ფული საბანკო ანგარიშზე				
1210	აბგ	პროცენტული პალატი რაზმად				
1220	აბგ	უსაქონლო პალატი რაზმად				
1230	აბგ	უსაქონლო პალატი არარაზმად				
მიჯნა:		პალატი	0.00		0.00	

აქ ხდება ანგარიშებზე სასტატო ნაშთების დასმა, რომელიც დაწერილებით განხილულია მე-3 თავში "ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტატო ნაშთების დასმა". აგრეთვე, ხედავთ ბარათებს: ნაშთები, ბრუნვები, ბარათი (კონკრეტული ანგარიშისთვის), სახეობები (ორგანიზაციის, სასაქონლო, თანამშრომლის, ბანკის სახეობის ანგარიშებზე მდგომარეობა), შედეგები (საცდელი ბალანსი, მოგება-ზარალი), რომლებიც დაწერილებით განხილულია მე-6 თავში "კონტროლის და ანალიზის ინსტრუმენტები".

ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ ბარათი "ნაშთები". იხილავთ თქვენს მიერ შესრულებული გატარებების შედეგებს:

ანგარიში	სახელი	დასაბუღება	მონაცემები	რეზერვაციები	პალატი	კორიბი
1000	აბგ	მიმდინარე აკტივები	8,350.00			
1100	აბგ	ნაღდი ფული	2,000.00			
1110	აბგ	ნაღდი ფული სავაჭრო	2,000.00			
1200	აბგ	ფული საბანკო	2,000.00			
1210	აბგ	პროცენტული პალატი	2,000.00			
1500	აბგ	საპროცენტო	2,350.00			
1610	აბგ	საპროცენტო	2,350.00			
1610 00002	აბგ	ზაბა	750.00	250.00	3,000.00	
1610 00003	აბგ	პროცენტო	1,600.00	800.00	2,000.00	
3000	აბგ	მიმდინარე აკტივები	2,423.00		350.00	
3100	აბგ	მრეწველობა	2,000.00		773.00	
3110	აბგ	მრეწველობა	2,000.00		773.00	
3110 3	აბგ	მრეწველობა	2,000.00		773.00	
3300	აბგ	საპროცენტო	423.00			
3340	აბგ	საპროცენტო	423.00			
5000	აბგ	საპროცენტო	6,000.00		6,000.00	
5100	აბგ	საპროცენტო	6,000.00		6,000.00	
5150	აბგ	საპროცენტო	6,000.00		6,000.00	
მიჯნა:		პალატი	6,350.00		6,350.00	

როგორც ეკრანზე ხედავთ ანგარიშებზე ასახულია საბოლოო

ფინანსური და რაოდენობრივი მდგომარეობა. ამ ნაშთების გასაშიფრად შეგიძლიათ აირჩიოთ ბარათი "ბრუნვები". იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	სახელი	დასაბუღება	მონაცემები	რეზერვაციები	პალატი	კორიბი
1000	აბგ	მიმდინარე აკტივები	8,350.00	2,000.00	6,350.00	
1100	აბგ	ნაღდი ფული	2,000.00		2,000.00	
1110	აბგ	ნაღდი ფული სავაჭრო	2,000.00		2,000.00	
1200	აბგ	ფული საბანკო	4,000.00	2,000.00	2,000.00	
1210	აბგ	პროცენტული პალატი	4,000.00	2,000.00	2,000.00	
1500	აბგ	საპროცენტო	2,350.00		2,350.00	
1610	აბგ	საპროცენტო	2,350.00		2,350.00	
1610 00002	აბგ	ზაბა	750.00		750.00	3,000.00
1610 00003	აბგ	პროცენტო	1,600.00		1,600.00	2,000.00
3000	აბგ	მიმდინარე აკტივები	2,423.00	2,773.00	250.00	
3100	აბგ	მრეწველობა	2,000.00	2,773.00	773.00	
3110	აბგ	მრეწველობა	2,000.00	2,773.00	773.00	
3110 3	აბგ	მრეწველობა	2,000.00	2,773.00	773.00	
3300	აბგ	საპროცენტო	423.00		423.00	
3340	აბგ	საპროცენტო	423.00		423.00	
5000	აბგ	საპროცენტო	6,000.00	6,000.00	6,000.00	
5100	აბგ	საპროცენტო	6,000.00	6,000.00	6,000.00	
5150	აბგ	საპროცენტო	6,000.00	6,000.00	6,000.00	
მიჯნა:		პალატი	10,773.00	10,773.00	6,350.00	6,350.00


როგორც ეკრანზე ხედავთ, 1210 ანგარიშის მაგალითზე, საწყისი ნაშთი არ ყოფილა, იყო სადებეტო ბრუნვა 4000 ლარი, საკრედიტო ბრუნვა 2000 ლარი, ბრუნვის სხვაობა 2000 ლარი და შედეგად დარჩა საბოლოო სადებეტო ნაშთი 2000 ლარი. ხოლო თუ დაგაინტერესებთ ეს ანგარიში რომელ ანგარიშებთან იყო კორესპოდენციაში, რომელ თარიღში და რა თანხებით, ამისათვის, უნდა მონიშნოთ ეს ანგარიში და აირჩიოთ "ბარათი". იხილავთ ეკრანს:

თარიღი	დღა	მისი ანგარიში	დასაბუღება	მისი ბრუნვა	მისი დამები	ბრუნვა კორიბი	ნაშთი დამები	ნაშთი კორიბი	საფუძველი
1.01.2006			საწყისი						
1.06.2006	1	5150	საპროცენტო	4,000.00			4,000.00		თანხა სასაქონლო
6.06.2006	4	3110 3	მრეწველობა		2,000.00			2,000.00	გაბანკდასა
1.01.2007			საბოლოო	4,000.00		2,000.00	2,000.00		

ესლა დაუბრუნდეთ შპს "დარიალი" - ს ოპერაციებს. როგორც გახსოვთ 12.06 - ში გაიყიდა 1 ცალი პრინტერი - 850 ლარად, ნაღდი ანგარიშსწორებით. მოდით შევასრულოთ საქონლის რეალიზაციის ოპერაცია და შესრულების პროცესში დავბეჭდოთ სალაროს შემოსავლის ორდერი.

უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

დოკ. N	ღებუტი	კრედიტო	რაოდენობა	თანხა	საფუძველი
5	7210	1610	1 ცალი	800 GEL	რეალიზებული პრინტი
5	1410	6110		850 GEL	შემოსავალი რეალიზაციიდან
5	1410	3330		153 GEL	დოკ. N5, დღგ
6	1110	1410		1003 GEL	თანხის გადახდა რეალიზაციის მიერ


ამ გატარებების შესასრულებლად დაბრუნდით გატარებების შესრულების ეკრანში ლილავით -  და დაამატეთ ახალი გატარება,

რომლის ველები შეავსეთ შემდეგნაირად:

დოკ. N - 5 ,  
 თარიღი - 12.06,  
 სადებეტო ანგარიში - 7210,  
 საკრედიტო ანგარიში - 1610 00003,


დაინახავთ, რომ როგორც კი საკრედიტო ანგარიშის ველში მოხვდება სასაქონლო სახეობის ანგარიში, ეკრანზე გაჩნდება რაოდენობის ველი და თანხის გამოთვლის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება საქონლის თვითღირებულების გამოსათვლელად.

რაოდენობის ველში ავრიფეთ 1 და ჩვენი შემთხვევისთვის დააჭირეთ მეთოდს - FIFO. დაინახავთ, რომ პროგრამა ავტომატურად გამოითვლის ამ მეთოდის შესაბამის თანხას და ჩანერს შესაბამის ველში:


ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე ლილავს - , რომლის საშუალებითაც ამ და სხვა დანარჩენ ეკრანებშიც შეგიძლიათ ნახოთ ანგარიშზე მდგომარეობა. ჩვენი მაგალითისთვის თუ საკრედიტო ანგარიშის გასწვრივ დააჭერთ აღნიშნულ ლილავს, იხილავთ 1610 00003 "პრინტიერი"


ანგარიშზე მდგომარეობას:


დახურტეთ ეს ეკრანი **Cancel** ლილავის საშუალებით.


მომდევნო გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ლილავს -  შემდეგი >>.


როგორც გახსოვთ სადებეტო ანგარიშში მოწინააღმდეგეობს 1410, რომელსაც უნდა გაუხსნათ რეალიზაციის შპს "მედია" - ს ანგარიში. გახსენით ეს ანგარიში იგივე წესით, როგორც მომწოდებლის შპს "განთიადი" - ს შემთხვევაში. გაიხსნება ანგარიში - 1410 4 დასახელებით - შპს "მედია" და შეავსეთ გატარების დამატების ეკრანის ველები შემდეგნაირად:


კვლავ დააჭირეთ ლილავს -  შემდეგი >> და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



ესლა შევასრულეთ რეალიზატორის მიერ სალაროში თანხის შემოტანის გატარება და ამავდროულად პროგრამას დავაბეჭდინით სალაროს შემოსავლის ორდერი. ამისათვის, კვლავ დააჭირეთ ღილაკს -  და შევსეთ ველები შემდეგნაირად:




ესლა სალაროს შემოსავლის ორდერის დასაბეჭდად მონიშნეთ ველი "ბეჭდვა". ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი ველი "დოკუმენტის ფორმა", რომლის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:





ამ ეკრანში "Open" ღილაკის გამოყენებით გახსენით Pirveladi

formebi, ხოლო შემდეგ Sevsebuli. ეკრანზე იხილავთ პროგრამაში არსებულ პირველადი დოკუმენტების სიას, სადაც აირჩიეთ ბოლო ჩანანერი Salaros shemosavlis orderi. საბოლოოდ გატარების დამატების ეკრანს ექნება შემდეგი სახე:



დააჭირეთ OK - ს. იხილავთ ეკრანს:



როგორც ხედავთ, პროგრამამ შესრულებული გატარების მონაცემების მიხედვით ავტომატურად შეავსო სალაროს შემოსავლის ორდერი. თუ გსურთ ორდერის დაბეჭდვა, ამას შესძლებთ ამ ეკრანშიც და ყველა სხვა ეკრანებშიც ღილაკით - . ხოლო ჩვენს შემთხვევაში დააჭირეთ

ლილავს -  ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს:


მაჩვენებელი	თარიღი	საბუღალტრო	გადასახდელი	სანაწი	საზღ	საბუ	საბუ	საბუ	საბუ	საბუ	საბუ	საბუ
1	1.06.2006	1210	3 5150	ს	4.000.00 GEL	80.0000	0	მონხს ანგზი	შეხება			
2	1.06.2006	1110	6 5150	ს	2.000.00 GEL	80.0000	0	მონხს სასაბუღალტრო	შეხება			
3	6.06.2006	1610 00002	3 3110 3	ჰ	750.00 GEL	1.00000000	3.000 0420	80.0000	0			
3	6.06.2006	1610 00003	3 3110 3	ჰ	1.600.00 GEL		2.000 0420	80.0000	0			
3	6.06.2006	2340	3 3110 3	ჰ	423.00 GEL			80.0000	0			
4	6.06.2006	3110 3	3 1210	ჰ	2.000.00 GEL			80.0000	0			
5	12.06.2006	7210	3 1610 00003	ჰ	300.00 GEL		1.000 0420	80.0000	0			
5	12.06.2006	1410 4	3 6110	ჰ	350.00 GEL			80.0000	0			
5	12.06.2006	1410 4	3 3330	ჰ	153.00 GEL			80.0000	0			
6	12.06.2006	1110	6 1410 4	ჰ	1.003.00 GEL			80.0000	0			
13.579.00 GEL												

ამით დასრულდა პრინტერის რეალიზაციის ოპერაცია. ამ ოპერაციას დასჭირდა 4 გატარება. რომლებიც შესრულებულ ცალ-ცალკე, რაც საკმაოდ შრომატევადია და გატარების შესრულების დროს მომხმარებელი არ არის დაზღვეული შეცდომებისგან. პროგრამა საშუალებას გაძლევთ თავიდან აიცილოთ ეს პრობლემები. ამისათვის, პროგრამაში არსებობს ანყობილი ტიპიური ოპერაციები. დაწვრილებით ამ ოპერაციების შესრულებისა და ახალი ოპერაციების ანყობის ტექნიკა განხილულია მე-12 თავში "სამეურნეო ოპერაციები". ესლა კი შპს "დარიალი" - ს მომდევნო ოპერაციის მაგალითზე ვნახოთ, როგორ შეიძლება პროგრამაში ტიპიური სამეურნეო ოპერაციის შესრულება.



როგორც გახსოვთ, 18.06 - ში რეალიზატორმა წაიღო 2 ცალი ფაქსი - 580 ლარად შემდგომი გადახდით. უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

დოკ.N	დებეტი	კრედიტი	რაოდენობა	თანხა	საფუძველი
ბბ-06 123456	7210	1610	2 ცალი	500 GEL	რეალიზებულია ფაქსი
ბბ-06 123456	1410	6110		580 GEL	შემოსავალი რეალიზაციიდან
ბბ-06 123456	1410	3330		104.40 GEL	დოკ.N5, დღგ


სამეურნეო ოპერაციების გამოძახება შესაძლებელია ლილავით -


 "სამეურნეო ოპერაციების შესრულება/ანყობა Ctrl+3". იხილავთ ეკრანს:

თარიღი	პროცენტი	შესრულებული	შეგდებილი	შეგდებილი
6.06.2006	80.0000	1	1 - ბა-არსა	2.820.00 GEL
		3	31 10 3 333 "დარიალი"	2.820.00 GEL


ეკრანის ზედა ნაწილში ჩანს პროგრამაში არსებული ტიპიური ოპერაციები, ხოლო ქვედა ნაწილში გამოჩნდება როგორც სამეურნეო, ისე პროგრამის სხვა ეკრანებიდან (ხელფასი, ძირითადი საშუალებები, პირველადი დოკუმენტები) შესრულებული ოპერაციები. ამ მომენტისთვის ჩანს T-გატარებით შესრულებული საქონლის შექმნის ოპერაცია. როგორც ეკრანის ზედა ნაწილში ხედავთ ოპერაციები დაფუძვნილია შინაარსის მიხედვით, რაც ადვილებს საჭირო ოპერაციის პოვნას და რადგანაც შესასრულებელი ოპერაციაა - საქონლის რეალიზაცია, ოპერაციების სიაში უნდა მოძებნოთ ჩანანერი "საქონელი დღგ 18%". მონიშნეთ შესაბამისი ჩანანერი და დააჭირეთ ნიშანს - . ეკრანზე იხილავთ ამ ფუძეში შემავალ ოპერაციებს, რომლებშიც ჩვენ გვჭირდება "რეალიზაცია". მონიშნეთ იგი და კვლავ დააჭირეთ ნიშანს - . იხილავთ ეკრანს:

თარიღი	8.06.2006
პროცენტი	80.0000


ყოველი ოპერაციის შესრულება იწყება გატარების თარიღისა და პროექტის მითითებით. თარიღის ველში მიუთითეთ 18.06 და დააჭირეთ ლილავს - , რომლის გამოყენებითაც პროგრამა გაძლევთ საშუალებას გადახვიდეთ დიალოგის შემდეგ ეკრანზე. ამ ეკრანში პროგრამა ითხოვს ანგარიშ-ფაქტურის ნომერს, რომელიც მომავალში ავტომატურად ჩაჯდება გატარებაში. შეავსეთ იგი შემდეგნაირად:




მომდევნო ეკრანში პროგრამა ითხოვს რეალიზატორის ანგარიშს:




როგორც გახსოვთ რეალიზატორის ანგარიში უკვე გახსნილია, რაც ნათლად ჩანს ეკრანზე, თუმცა ამავე ეკრანში შესაძლებელია ახალი ანგარიშების დამატებაც, თქვენთვის ნაცნობი ლილავის გამოყენებით. აირჩიეთ ანგარიში - 1410 4 და გადადით დიალოგის შემდეგ ეკრანზე, სადაც პროგრამა საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ გასაყიდი საქონელი:




აირჩიეთ "ფაქსი" და გადადით შემდეგ ეკრანზე, სადაც ნაჩვენებია იქნება ფაქსის ფასი (ეს არის ბრუნვის საბოლოო შედეგად მიღებული საშუალო ფასი). ამ ეკრანში უნდა მიუთითოთ საქონლის ერთეულის სარეალიზაციო ფასი. ჩვენთვის ეს თანხა იქნება  $342.20 = 580 (2ც.ფაქსი) + 104.40 (დღგ) / 2$ , რომელიც აკრიფეთ შესაბამის ველში:




შემდეგ ეკრანში პროგრამა მოგთხოვთ გასაყიდი საქონლის რაოდენობას, სადაც აკრიფეთ 2:




შესაბამისი ლილავით გადადით შემდეგ ეკრანზე:




როგორც ხედავთ პროგრამა გეკითხებათ არის თუ არა კიდევ გასაყიდი საქონელი. რაც ნიშნავს, რომ თუ რეალიზატორმა წაიღო რამოდენიმე დასახელების საქონელი, ამის შესრულება შეიძლება ერთი ოპერაციით და პროგრამა ავტომატურად შეასრულებს შესაბამის გატარებებს ყველა საქონლისთვის. ჩვენს შემთხვევაში, რადგანაც გაყიდულია მხოლოდ ერთი დასახელების საქონელი მონიშნეთ "არა" და გადადით შემდეგ ეკრანზე:



სადაც დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ლილავით. ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება თქვენს მიერ შესრულებული ოპერაცია:



რომლის ტექსტიდანაც ნათლად ჩანს შესრულებული ოპერაციის შინაარსი, ხოლო ოპერაციის გატარებებს ნახავთ თუ ამავე ეკრანში აირჩევთ ბარათს “გატარებები”:



როგორც ხედავთ, პროგრამამ ავტომატურად შეასრულა საქონლის რეალიზაციის შესაბამისი გატარებები და ავტომატურად ჩასვა გატარებებში შესაბამისი ველის მნიშვნელობები. რაც ძალზედ მარტივია და მოსახერხებელი და თავიდან აგაცილებთ შეცდომებს.

დაეუბრუნდეთ შპს “დარიალი” - ს ოპერაციებს. როგორც გახსოვთ, 24.06 - ში ორგანიზაციამ დაფარა მომწოდებლის ვალი - 773 ლარი. გამოინერა შესაბამისი საგადასახადო დავალება. უნდა შესრულდეს შემდეგი გატარება:

დღე	№	დებეტი	კრედიტი	თანხა	საფუძველი
7		3110	1210	773 GEL	გადახდილია მომწოდებლისთვის


ამ ოპერაციის შესრულება პროგრამაში შესაძლებელია სამი გზით:

1. გატარებების ეკრანში, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-3 ოპერაციის შესრულების დროს.
2. ტიპიური სამეურნეო ოპერაციების დახმარებით. ამ ოპერაციის შესრულება შეიძლება ოპერაციით **მომწოდებლები/კრედიტორები - საქონ.სამუშ.მომსახურ.ღირებ.გადახდა(კრედიტორული დავალიანება)**. ასეთი შემთხვევაზე განვიხილეთ მე-4 ოპერაციის შესრულების დროს.
3. პირველადი დოკუმენტების შევსებით. განვიხილოთ ეს შემთხვევა. პროგრამაში არსებობს პირველადი დოკუმენტები, რომელთა შევსება შეიძლება როგორც უშუალოდ გატარების შესრულების დროს, რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-3 ოპერაციაში, ასევე პირველადი დოკუმენტების


ეკრანში, სადაც პირიქით ხდება, იგსება პირველადი დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ იწვევს საბუღალტრო გატარების შესრულებას მაშინვე ან მოგვიანებით.

პირველადი დოკუმენტების ეკრანის გამოძახებას შესძლებთ ლილავით

-  იხილავთ ეკრანს:





როგორც ხედავთ, ამ ეკრანზე მოცემულია პირველადი დოკუმენტების ჩამონათვალი. თავიდანვე გააქტიურებულია ბარათი “საგადასახადო დავალება”, რომელიც საჭიროა ჩვენი შესასრულებელი ოპერაციისთვის. ახალი დავალების დასამატებლად დააჭირეთ **Insert** - ს ან თქვენთვის ნაცნობ დამატების ლილავს. იხილავთ ეკრანს:



როგორც ეკრანზე ხედავთ, ფორმაში ავტომატურად ჩაჯდა გადახდილი ორგანიზაციის რეკვიზიტები. ეს რეკვიზიტები მოვიდა სისტემის პარამეტრებიდან, რომლებიც პროგრამის გახსნის დროს თავიდანვე იქნა შეტანილი. მომავალშიც ყოველი ახალი პირველადი დოკუმენტის დამატებისას თქვენი ორგანიზაციის რეკვიზიტები შეივსება ავტომატურად. მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ დავალებას


ავტომატურად მიენიჭა ნომერი - 1. ყოველი ახალი დოკუმენტის დამატებისას პროგრამა ავტომატურად მიანიჭებს მას მომდევნო ნომერს. თარიღის ველში აქვს, ისევე როგორც სხვა ეკრანებში ავტომატურად ვდება კომპიუტერის მიმდინარე თარიღი. ჩვენი მაგალითისთვის მიუთითეთ 24.06.


მიმღები ორგანიზაციის მითითება შეიძლება სამი მეთოდით: 1. ხელით შეავსოთ ყველა ველი, რაც საკმაოდ შრომატევადია. 2. აირჩიოთ (აქვე შეიძლება ახლის დამატებაც) ორგანიზაციების სიიდან ლილავით - . 3. აირჩიოთ ანგარიშთა გეგმიდან, თუკი ანგარიშთა გეგმაში გახსნილია ამ ორგანიზაციის დასახელების ანგარიში, ლილავით - .


ჩვენი მაგალითისთვის ისარგებლეთ მე-3 მეთოდით, რადგანაც საგადასახადო დავალებას უნდა მოყვეს შესაბამისი გატარება. აირჩიეთ ანგარიში 3110 3 შპს "განთიადი". დაინახავთ, რომ მიმღები ორგანიზაციის რეკვიზიტებიც ჩაჯდება შესაბამის ველებში. შემდეგ ავრიფეთ თანხა - 773 და დააჭირეთ Tab - ს, დაინახავთ, რომ პროგრამა ავტომატურად ჩასვავს თანხას სიტყვიერად შესაბამის ველში. საბოლოოდ დავალების ეკრანს ექნება შემდეგი სახე:


ამით დასრულდა ფორმის შევსება. ესაა იმისათვის, რომ დოკუმენტმა გამოიწვიოს გატარების შესრულება, საჭიროა მონიშნოთ ველი "შევასრულოთ გატარებები". ეკრანზე იხილავთ დამატებით ველებს:

დებანი	კრედიტი	შენიშვნა	საღირებულება
31.10.3	შპს "გა"		0
	შპს "განთიადი" / თანხა - 773.00		773
			GEL



როგორც ეკრანზე ხედავთ, გატარების ზოგიერთი ველი ავტომატურად შეივსო საგადასახადო დავალების მიხედვით. მიუთითეთ გატარების შესაბამისი თარიღი და საკრედიტო ანგარიშში  - ლილავის დახმარებით აირჩიეთ 1210.


შევსებული დოკუმენტის დაბეჭდვა შეიძლება ეხლავე ან მოგვიანებით, ბეჭდვის  - ლილავით. საგადასახადო დავალებას ექნება სახე:

დასურეთ ეკრანი ლილავით - . პროგრამა დაგაბრუნებთ საგადასახადო დავალების ფორმაში, სადაც დაასრულეთ ოპერაცია OK - ს საშუალებით. დაინახავთ, რომ ფორმა დაემატება დოკუმენტების სიაში:




თარიღი	N	ბალანსი	ბალანსი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი
24.06.2006	1	3,36	7,00	3,36	7,00	3,36	7,00	3,36	7,00

ამით დასრულდა შპს “დარიალი” - ს მე-5 ოპერაცია. პროგრამის სხვადასხვა ეკრანებში შესრულებული ოპერაციების გატარებები საბოლოოდ თავს იყრის ძირითადი გატარებების ეკრანში. ამაში დარწმუნდებით თუ დაბრუნდებით გატარებების ეკრანში ლილავით - . იმისათვის, რომ ეკრანზე გამოჩნდეს სრული ინფორმაცია დააჭირეთ ლილავს -  “ეკრანის განახლება (Refresh) - F9”. ეკრანზე იხილავთ პროგრამაში სხვადასხვა მეთოდით შესრულებულ გატარებებს:





თარიღი	საბალანსო	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი	ბიუჯეტი
1.06.2006	1210	5-5150	ლ	4.000,00	GEL	80,00	0	0	0
1.06.2006	1110	5-5150	ლ	2.000,00	GEL	80,00	0	0	0
4.06.2006	1610 00002	3-3110 3	ლ	750,00	GEL	1.000.000,00	2.000	0	0
6.06.2006	1610 00003	3-3110 3	ლ	1.600,00	GEL	2.000	0	0	0
6.06.2006	2040	3-3110 3	ლ	423,00	GEL	80,00	0	0	0
6.06.2006	3110 3	3-1210	ლ	2.000,00	GEL	80,00	0	0	0
12.06.2006	7210	3-1610 00003	ლ	900,00	GEL	1.000	0	0	0
12.06.2006	1410 4	3-6110	ლ	850,00	GEL	80,00	0	0	0
12.06.2006	1410 4	3-3330	ლ	153,00	GEL	80,00	0	0	0
12.06.2006	1110	3-1410 4	ლ	1.003,00	GEL	80,00	0	0	0
18.06.2006	7210	3-1610 00002	ლ	500,00	GEL	2.000	0	0	0
18.06.2006	1410 4	3-6110	ლ	580,00	GEL	80,00	0	0	0
18.06.2006	1410 4	3-3330	ლ	104,40	GEL	80,00	0	0	0
24.06.2006	3110 3	3-1210	ლ	773,00	GEL	80,00	0	0	0

როგორც ეკრანზე ხედავთ, ზოგიერთ გატარებას თარიღის ველში უზის ნიშანი - , რაც ნიშნავს, რომ ეს გატარებები შესრულებულია პროგრამაში არსებული ერთ-ერთი ოპერაციის გამოყენებით და არა ძირითადი გატარებების ეკრანში.

დაუბრუნდეთ შპს “დარიალი” - ს ოპერაციებს. როგორც გახსოვთ, ორგანიზაცია შედგება ორი თანამშრომლისგან: დირექტორი - ვ.ზ.თარხნიშვილი და მთ.ბუღალტერი - ი.კ.ლომიძე, რომელთაც ერიცებათ ხელფასი შესაბამისად - 240 ლარი და 150 ლარი.

განვიხილოთ, როგორ ხდება პროგრამაში თანამშრომელთა ბარათების შედგენა, ხელფასის დარიცხვა, ანგარიში და დარიცხვების უწყისის მიღება.


ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციები სრულდება ხელფასის ეკრანში. გამოიძახეთ იგი ლილავით -  “კადრები/ხელფასი Ctrl+7”. იხილავთ ეკრანს:



კოდი	No	განყოფილება	თანამშრომელი	თანამდებობა	კალკი	მისაგარი	ინფორმაცია	ბიუჯეტი	ორბი რეკვირ

როგორც ხედავთ, ეს ეკრანი შედგება ორი ნაწილისგან. ზედა ნაწილში იქნება თანამშრომლების გვარები და რეკვირები, ხოლო ქვედა ნაწილში გამოჩნდება ზემოთ მონიშნული თანამშრომლის მონაცემები.

თანამშრომლის ბარათის შესაქმნელად უნდა ისარგებლოთ დამატების ლილავით. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:



ფორმა: **დამატება**

თანამშრომელი:  მისაგარი:  სასალონო მონაცემები:  ბანკი:

კოდი:  0001

გვარი:  თარხნიშვილი

სახელი:  ვახტანგი

ბანკის სახელი:  ზაქარია

განყოფილება:

რეკვირის ნომერი:  1 (საბუღალტრო რეკვირ)

დაბადების თარიღი:  6.12.1971

მოსვლის თარიღი:  1.06.2006

თანამდებობა:  დირექტორი

კომენტარი:

OK Cancel

შემდეგ აირჩიეთ ბარათი “მისამართი” და შეავსეთ მაგალითად, შემდეგნაირად:

ხოლო ბარათი “საპასპორტო მონაცემები”, მაგალითისთვის შეავსეთ შემდეგნაირად:

მომდევნო ბარათია “ბანკი”, რომელიც უნდა შეავსოთ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასებს გასცემთ პლასტიკური ბარათების მეშვეობით (ასეთი შემთხვევა დაწვრილებით განხილულია მე-10 თავში “ხელფასი”).

დააჭირეთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ დამატებულ თანამშრომელს ყველა რეკვიზიტით:

ს.ნ.	No	ბანკი	თანამშრომელი	თანამდებობა	ქალაქი	მისამართი	ინდექსი	ტელეფონი	საპროგრამო რეკვიზიტები
0001	1		თანამშრომელი ვ.ზ.	დირექტორი	თბილისი	გარეულ გელოვანის 15	380056	53-26-89	000123456789

ზუსტად იგივე წესით დაამატეთ მთ.ბუღალტერი - ი.კ. ლომიძე, რომლის რეკვიზიტები შეავსეთ მაგალითად შემდეგნაირად:

დაასრულეთ მონაცემების შეტანა **OK** - ს საშუალებით. ეკრანზე იხილავთ კადრების სიას.

ამის შემდეგ შესაძლებელია თითოეულ მათგანზე ხელფასის მონაცემების შეტანა. ამისათვის, მონიშნეთ ჯერ თანამშრომელი - თარსნიშვილი, შემდეგ ეკრანის ქვედა ნაწილში სვეტში “**A დარიცხული**” იანვრის თვეში ჩანერეთ 240 და დააჭირეთ **Enter** - ს. შემდეგ მონიშნეთ მეორე თანამშრომელი და იგივე წესით შეიტანეთ მასზე დარიცხული ხელფასი - 150 ლარი. ეკრანის ქვედა ნაწილში იხილავთ თანამშრომლებზე შესაბამისად დარიცხულ ხელფასებს:

კოდი	No	ანგარიშება	მანამორი	მანამორი	კაპიტი	მანამორი	ინფოსი	ბალანსი	საკაპიტო რეკონსტრუქცია
0001	1	მარგინალი	240.00						
0002	2	ლორესი	150.00						

ესლა გადავიდეთ ხელფასის დანაგარიშებზე. ამისათვის, გამოიყენეთ ლილავი - "ხელფასის ანგარიში - F7". იხილავთ პატარა ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეაჯვრეთ:


ე.ი. პროგრამა დაითვლის 2006 წლის ივნისის თვის ხელფასის უწყისის ნომრით - 1. OK - ზე დაჭერით დაინებთ ხელფასის დათვლა, რომლის დასრულების შემდეგ გააქტიურდება ბარათი "ხელფასის უწყისი", სადაც იხილავთ სრულ ინფორმაციას დათვლილი ხელფასის შესახებ:

NN No	თანამშრომლის მანამორი	მანამორი	მუშაობის დღეები	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი
1	მარგინალი	240.00		240.00	240.00	26.80	26.80	211.20	
2	ლორესი	150.00		150.00	150.00	16.00	16.00	132.00	


ანუ ფორმაში მოცემულია დათვლილი ხელფასის სრული ინფორმაცია ყველა თანამშრომლისთვის. თუ გასურთ დაბეჭდვა, ისარგებლეთ ბეჭდვის ლილავით. ჩვენს შემთხვევაში დახურეთ ეკრანი ბეჭდვის გარეშე. პროგრამა დაგაბრუნებთ წინა ეკრანზე (ბეჭდვის ეკრანი), სადაც შეგიძლიათ დაბეჭდოთ სხვა ფორმებიც. მაგალითად, თუ გასურთ ერთი კონკრეტული თანამშრომლისთვის დაბეჭდოთ დარიცხვის, ხელფასის ან თანამშრომლის ბარათის ფორმა, ამისათვის, უნდა აირჩიოთ "თანამშრომლის ბარათი". ეკრანზე იხილავთ თანამშრომლების სიას:

NN	ანგარიშება	მანამორი	მანამორი	მუშაობის დღეები	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი	საშუალო ხელფასი
1	მარგინალი	240.00			240.00	240.00	26.00	26.00	211.20
2	ლორესი	150.00			150.00	150.00	16.00	16.00	132.00

ამ ინფორმაციის დაბეჭდვა საბუღალტრო დოკუმენტის სახით შესაძლებელია ბეჭდვის ლილავის გამოყენებით. თუ აირჩევთ ამ ლილავს, იხილავთ ეკრანს:



დავბეჭდოთ მაგალითად, ლომიდის ბარათი. ამისათვის, უნდა მონიშნოთ შესაბამისი თანამშრომელი და ველი "თანამშრომლის ბარათი". შემდეგ დააჭირეთ OK - ს, ეკრანზე იხილავთ შესაბამის დოკუმენტს:




დახურეთ ეკრანი ბეჭდვის გარეშე. პროგრამა კვლავ დაგაბრუნებთ წინა ეკრანზე, რომელზეც დააჭირეთ Cancel - ს.


პროგრამა საშუალებას გაძლევთ, ავტომატურად შეარულოთ ხელფასთან დაკავშირებული დარიცხვების ყველა გატარება. ამისათვის, უნდა ისარგებლოთ ხელფასის უწყისის ეკრანში არსებული ღილაკით -



"ხელფასის გატარებები". იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




გატარებების შესასრულებლად დააჭირეთ OK - ს. პროგრამის მიერ შესრულებული ხელფასის გატარებების ნახვას შესძლებთ როგორც ძირითადი გატარებების ეკრანში, სადაც როგორც აღვნიშნეთ თავს იყრის პროგრამის ყველა ეკრანიდან შესრულებული ოპერაციების გატარებები, ასევე სამეურნეო ოპერაციების ეკრანში, სადაც გაჩნდება შესაბამისი შესრულებული ოპერაციის ჩანაწერი და თუ მონიშნავთ ამ ჩანაწერს და აირჩევთ ბარათს "გატარებები", ეკრანზე იხილავთ:




როგორც ხედავთ, ხელფასის ოპერაციამ შეასრულა სამი საბუღალტრო გატარება, რითაც დაფიქსირდა ორგანიზაციის გარკვეული ვალდებულებები და რომლებიც აისახა კიდევ შესაბამის ანგარიშებზე.


პერსონალზე ხელფასის გასაცემად, გატარებების ეკრანიდან ხელით უნდა შეასრულოთ შესაბამისი გატარება, ან ისარგებლოთ პროგრამაში გაშვებული ოპერაციით, რომელიც ავტომატურად შეასრულებს საჭირო გატარებას. ეს ოპერაცია მოცემულია სამეურნეო ოპერაციებში, დაჯგუფებაში "სალარო / ბანკი", დასახელებით "საწარმოს პერსონალზე ხელფასის გაცემა".



ამ ოპერაციის შესასრულებლად დააჭირეთ მის წინ მოთავსებულ ნიშანს - **+**. მოცემულ ეკრანზე თარიღის მითითების შემდეგ გადადით დიალოგის მომდევნო ეკრანზე შესაბამისი ლილავით. იხილავთ ეკრანს:



სადაც, პროგრამა ავტომატურად გაჩვენებთ გასაცემი ხელფასის თანხას. შესაბამისი ლილავით გადადით დიალოგის შემდეგ ეკრანზე, სადაც პროგრამა ითხოვს სალაროს გასავლის ორდერის ნომერს. მიუთითეთ მაგალითად, 7 და გადადით მომდევნო ეტაპზე, სადაც პროგრამა ავტომატურად დააფორმირებს სალაროს გასავლის ორდერს:



დაბეჭდეთ ეს ფორმა ან დახურეთ ეკრანი ბეჭდვის გარეშე. ბოლოს დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ლილავით.

ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება შესრულებული ოპერაციის ტექსტი, ხოლო ბარათში "გატარებები", გამოჩნდება ამ ოპერაციის შესაბამისი გატარება.

ესლა შევასრულოთ შპს "დარიალი" - ს მე-7 ოპერაცია. როგორც გახსოვთ, თვის ბოლოს ორგანიზაციამ საგადასახადო ინსპექციაში წარსადგენად მოამზადა ფინანსურ პირებზე დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური განგარიშება. ენახოთ, პროგრამის მეშვეობით როგორ ხდება ამის შესრულება.


პროგრამაში არსებობს ყველანაირი საბუღალტრო ფორმა, რომელიც ავტომატიზებულია, რაც ნიშნავს, რომ ეს ფორმები ავტომატურად შეიცვება პროგრამაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.

რადგანაც ჩვენს შემთხვევაში უნდა შევივსოთ ფორმა ყოველთვიური (ივნისის თვის) განგარიშებისთვის. ამისათვის, საჭიროა პროგრამაში ჯერ დააყენოთ ანალიზური პერიოდი შესაბამისი თვისთვის (დანვრილებით


ანალიზური და საოპერაციო პერიოდების დანიშნულება პროგრამაში აღწერილია მე-4 თავში “ანალიზური და საოპერაციო პერიოდები”).


ანალიზური პერიოდის შესაცვლელად უნდა ისარგებლოთ პროგრამაში ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებული ლილავით -

ანალიზური პერიოდი 1.01.2006 - 1.01.2007  
 საოპერაციო პერიოდი 1.01.2006 - 1.01.2007. იხილავთ ეკრანს, სადაც თვეების ჩამონათვალი მონიშნეთ “იენისი”:




ამით, პროგრამას ეუბნებით, რომ გაფილტვოს მონაცემები მონიშნული თვის მიხედვით. დააჭირეთ **OK** - ს.


ესლა პროგრამას შევავსებინოთ საჭირო ფორმა. ამის გაკეთებას შესძლებთ ლილავით -  “უწყისის ფორმირება **Ctrl+6**”. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, რომელიც უკვე შეგხვდათ სალაროს შემოსავლის ორდერის შევსებისას. ამ შემთხვევისთვის გახსენით საქალაქდ **Saboloo formebi**. ეკრანზე იხილავთ:




აქ მონიშნეთ საქალაქდ **Axali**, ხოლო მომდევნო ეკრანში **Shevsebuli**. იხილავთ ეკრანს:



ამ ეკრანზე მოცემულია პროგრამაში ახალი ანგარიშთა გეგმისთვის ავტომატურ აწყობილი საბოლოო ფორმები. მონიშნეთ ჩანანერი - **piz-ikur pirebze dakavebuli sashemosavlo gadasaxadis koveltviuri gaangarisheba.rl** და გახსენით ეს ფორმა შესაბამისი ლილავით ან “თაგვი” - ს მარცხენა ლილავზე ორჯერ დაჭერით. იხილავთ პატარა ეკრანს:



სადაც მონიშნეთ “**ეკრანზე**”, რათა შევსებული ფორმა ვნახოთ ჯერ ეკრანზე, ხოლო შემდეგ სურვილის მიხედვით დავბეჭდოთ. დააჭირეთ **OK** - ს. იხილავთ გაფორმების ეკრანს:



რადგანაც იენისის თვის ხელფასი უკვე დათვლილია და შესაბამისი გატარებებიც შესრულებულია, დააჭირეთ **OK** - ს. რის შემდეგაც იხილავთ შეკითხვის ეკრანს, რომელიც საჭიროა ამ ფორმის შესავსებად, სადაც მაგალითისთვის აკრიფეთ !:



რა მდგომარეობა ანგარიშებზე (ნაშთები, ბრუნვები, ბარათი). გარდა ამისა, პროგრამაში გათვალისწინებულია საცდელი ბალანსის და მოგება-ზარალის ავტომატურად მიღების საშუალება.

ამ უწყისების მისაღებად გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა. ხოლო შემდეგ აირჩიეთ ბარათი “შედევები”. ეკრანზე იხილავთ სტანდარტული სახის საცდელ ბალანსს:

აკოდები	შანსა	აკოდები და აღწერა	შანსა
1100	2,559.00	3320	46.00
1200	1,227.00	3380	257.40
1410	594.40	3370	70.00
3340	423.00		382.20
	4,994.20		
1610	1,050.00	5100	6,000.00
	1,050.00	5330	338.00
	6,044.20		5,662.00
			6,044.20

ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშების მისაღებად უნდა აირჩიოთ შესაბამისი ბარათი - “მოგება-ზარალი”. შევსებულ ფორმას ექნება შემდეგი სახე:

აპონაჟი		1,430.00
რეალური კრედიტი	1,300.00	
აღმოსტრიალებული ხარჯები	468.00	
ჯამი	1,768.00	1,430.00
საპროექტო მართვის სერვისები	338.00	

როგორც ეკრანზე ხედავთ შპს “დარიალი” - ს საქმიანობიდან გვაქვს ზარალი - 338 ლარი.


ამრიგად, თქვენ გაცვანით სისტემის “ორის - ბუღალტერია” მინიმალურ შესაძლებლობებს. მომდევნო თავებში დაწვრილებით არის აღწერილი თითოეული ეს შესაძლებლობა ყველა იმ “ინსტრუმენტების” თანხლებით, რომელთა საშუალებითაც შესძლებთ მოარგოთ სისტემა თქვენი ორგანიზაციის მოთხოვნილებებს.

## თავი 2


### ახალი ორგანიზაციის შექმნა

სისტემაში შესაძლებელია რამოდენიმე ორგანიზაციის ბუღალტერიის წარმოება. ყოველი ახალი ორგანიზაციის ბუღალტერიის სანარმოებლად პროგრამაში უნდა შეიქმნას მისი ბაზა, რომელიც შეინახება ცალკეულ საქალაქდებში. ეს მოსახერხებელია და მიზანშეწონილიც, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი ორგანიზაციის ბუღალტერიას შეესაბამება თავისი ანგარიშთა გეგმა, ნაშთები, გატარებები და ა.შ. (მონაცემთა ბაზა), რომლებიც ინახება ცალკეულ ფაილებში, ხოლო ეს ფაილები ინახება ცალკეული ორგანიზაციის საქალაქდებში. თითოეული შექმნილი ორგანიზაციის მონაცემების ცალკეულ საქალაქდებში მოთავსება მოსახერხებელია იმიტაც, რომ მომავალში შესაძლებელია მონაცემების ასლის აღება (რაც ძალზედ მნიშვნელოვანია და აუცილებელი ყველა მომხმარებლისთვის. იხ. თავში “მონაცემების ასლის აღება/აღდგენა” გვ.15), როგორც თითოეული ორგანიზაციისთვის, ასევე ყველასი ერთად. იგივე პრინციპით ხდება სისტემაში ორგანიზაციის ბუღალტერიების წაშლა. სისტემა აგრეთვე საშუალებას გაძლევთ, პროგრამაში შესვლისას პირველად გაჩვენოთ ის ორგანიზაცია, რომელთანაც უფრო სწორად გინვთ მუშაობა და პროგრამიდან გამოუსვლელად გახსნათ სხვა უკვე შექმნილი ორგანიზაციის ბუღალტერია.


ესლა ერთ-ერთი ორგანიზაციის მაგალითზე განვიხილოთ როგორ ხდება პროგრამაში ახალი ორგანიზაციის შექმნა. ამისათვის, ძირითადი მენიუდან “ფაილი” აირჩიეთ ქვემენიუ “ახალი ორგანიზაციის შექმნა”:




იხილავთ ეკრანს:




როგორც ამ ეკრანზე ხედავთ, მონიშნულია “საწყისი პაზა”, რაც ნიშნავს, რომ შეიქმნება ახალი ორგანიზაცია ნულოვანი მონაცემებით. მეორე ვარიანტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია უკვე გახსნილია, ამ ორგანიზაციაში ნამუშევარი არის და გვინდა ახალი ორგანიზაციის გახსნა იგივე მონაცემებით. ამ შემთხვევაში ახალ ბაზაში გადავა კადრების სია, სასაქონლო სია, ანგარიშთა გეგმა და ძველი ორგანიზაციის საბოლოო ნაშთები დაჯდება სასტარტო ნაშთებად. ჩვენი შემთხვევისთვის დატოვეთ მონიშნული “საწყისი პაზა”. ამის შემდეგ, დიალოგის რეჟიმში პროგრამას უნდა მიეთითოს: ორგანიზაციის საქალაქის დასახელება, ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა (ძველი, ახალი თუ საბიუჯეტო), მენიუს ენა (ქართული, რუსული ან ინგლისური), და ბოლოს ბაზური ვალუტა. ყოველ მომდევნო ეკრანზე გადასვლა ხდება ლილავის - **შემდეგი >** მეშვეობით. დააჭირეთ მას. იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში უნდა ავრიფოთ ორგანიზაციის საქალაქის დასახელება, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ სახელი უნდა შედგებოდეს ლათინური ასოებისგან ან ციფრებისგან. დაუშვებელია ყველანაირი სიმბოლოს გამოყენება, გარდა სიმბოლოსი “\_” (ქვედა ტირე). მაგალითისთვის, ავრიფეთ დასახელება EKO\_2005 და შესაბამისი ლილავით გადადით შემდეგ ეკრანზე:



როგორც ეკრანზე ხედავთ პროგრამაში მუშაობა შეიძლება სამი სახის ანგარიშთა გეგმით. ჩვენი შემთხვევისთვის აირჩიეთ “**ახალი სტანდარტით**”, რომელიც უკვე მონიშნულია და გადადით შემდეგ ეკრანზე:



როგორც ეკრანზე ხედავთ, პროგრამას აქვს საშუალება იმუშაოს სამ ენაზე. ანუ ახალი ორგანიზაციის გახსნისას, რომელ ენასაც აირჩევთ, პროგრამა შესაბამისად გახსნის ანგარიშთა გეგმას და ყველა მენიუს თქვენს მიერ მითითებულ ენაზე. ჩვენი შემთხვევისთვის აირჩიეთ “**ქართული**”, რომელიც უკვე მონიშნულია და გადადით შემდეგ ეკრანზე:




ამ ეკრანზე პროგრამას უნდა მიუთითოთ რომელი ენაზე ამ ორგანიზაციის ძირითადი ვალუტა. რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამა ნაშთების და ბრუნვების ნაერთ უწყისებს გაჩვენებთ თქვენს მიერ არჩეული ვალუტის მამართ. მომავალში იმის ნახვა, თუ რომელია


ორგანიზაციის საბანკო ვალუტა შეგიძლიათ მენიუში “ფონდები / სისტემის პარამეტრები / ვალუტა”:




ჩვენი შემთხვევისთვის დატოვებთ უკვე არჩეული ვალუტა და დაასრულეთ ორგანიზაციის შექმნა შესაბამისი ლილავით. იხილავთ ეკრანს:





რომელიც თქვენ უკვე შეგვხვდათ დოკუმენტაციის პირველ თავში “სისტემა “ორის-ბუღალტერიასთან” მუშაობის სწრაფად დაწყების სახელმძღვანელო”. შეავსეთ ეკრანის მარცხენა ნაწილი შემდეგნაირად:





ხოლო ეკრანის მარჯვენა ნაწილში უნდა დაამატოთ ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები. ამასთან, ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე ანგარიში სხვადასხვა ბანკებში, რომელთა დამატებაც შესაძლებელია ამავე ეკრანში. დავუშვათ ორგანიზაციას ემსახურება



ორი ბანკი - “ქართუ” და “საქართველოს ბანკი”, რომელთა რეკვიზიტების შესატანად დააჭირეთ დამატების ლილავს - . იხილავთ ეკრანს:






ამ ეკრანში  - ლილავის საშუალებით გახვალთ პროგრამაში არსებულ ბანკების სიაზე:




სადაც ლილავებით:  - შეგიძლიათ დაამატოთ ახალი ბანკი,


 - გააკორექტიროთ არსებული,  - წაშალოთ არასასურველი და


 - მოძებნოთ სიაში უკვე არსებული თქვენთვის სასურველი ბანკი.

ჩვენი შემთხვევისთვის ისარგებლეთ ძიების ლილავით - , სადაც საძიებელი მნიშვნელობა მოკლებულია დასახელებით. ამისათვის,  - ლილავის საშუალებით აირჩიეთ “დასახელება”:




შემდეგ აკრიფეთ საძიებელი ბანკი “ქართუ” და დააჭირეთ OK -

ს. დაინახავთ, რომ მოინიშნება პირველივე ჩანაწერი რომელშიც მონაწილეობს თქვენს მიერ ავრეფილი სიტყვა. ისარგებლეთ ღილაკით **OK** მანამდე, სანამ არ მოინიშნება სასურველი ჩანაწერი, ანუ ბანკი “ქართუ”. შემდეგ დააჭირეთ **Cancel** - ს, ხოლო მოძებნილი ბანკი აირჩიეთ ღილაკით - . დაინახავთ, რომ თქვენს მიერ არჩეული ბანკი თავისი რეკვიზიტებით ჩაჯდება შესაბამის ველებში:




ბოლო ველში ავრეფეთ ორგანიზაციის ანგარიში, მაგ: 1234567891 და დააჭირეთ **OK** - ს. ამით დასრულდა ორგანიზაციის ერთ-ერთი საბანკო მონაცემების დამატება. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შექმნილი ორგანიზაციის რეკვიზიტებს:



ზუსტად იგივე წესით დაამატეთ “საქართველოს ბანკი” - ს რეკვიზიტები, ხოლო ანგარიშის ველში ავრეფეთ მაგალითად - 4567891230 და დაასრულეთ მონაცემების შეტანა **OK** - ს საშუალებით.


ამ ეკრანში შეტანილ მონაცემებს შემდგომში სისტემა ავტომატურად ჩასვავს სხვადასხვა საბუღალტრო ფორმებში და თქვენ ყოველი ახალი დოკუმენტის დამატებისას არ დაგჭირდებათ თქვენი რეკვიზიტების ხელით ავრეფვა. ასეთი ფორმა მაგალითად, საგადასახადო დავალება,

რომლის დაფორმირებისას პროგრამა ავტომატურად ჩასვავს ორგანიზაციის დასახელებას, საიდენტიფიკაციო კოდს და ბანკის რეკვიზიტებს.

შემდეგ სისტემის პარამეტრების ეკრანზე დააჭირეთ **OK** - ს. იხილავთ თქვენს მიერ შექმნილი ორგანიზაციის ძირითად ეკრანს, სადაც ეკრანის ქუდზე ნათლად ჩანს რა დასახელების ორგანიზაციაში (საქალაქდები) მუშაობთ: . მომავალში თუ საჭირო გახდება შექმნილი ორგანიზაციის რეკვიზიტების შეცვლა, ამის გაცეუებას შესძლებთ თუ ძირითადი მენიუდან “ფონდები” აირჩევთ ქვემენიუს “სისტემის პარამეტრები”:




იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც შესძლებთ სასურველი ცვლილებების შეტანას.

ამდგავარი ორგანიზაციები პროგრამაში შესაძლებელია გახსნათ დიდი რაოდენობით, რომელთა გამოძახებაც შემდგომში შესაძლებელია ორი გზით: 1. პროგრამაში შესვლისას. ამისათვის, უნდა ჩამოშალოთ ორგანიზაციების სია ღილაკით - :




და სიდან აირჩიეთ სასურველი ორგანიზაცია.

2. უკვე პროგრამაში ყოფნისას სხვა ორგანიზაციაზე გადასვლა. ანუ თუ გინდათ უკვე გახსნილ ორგანიზაციასთან მუშაობის დამთავრება და პროგრამის დაუხურავად, სხვა ორგანიზაციასთან მუშაობის გაგრძელება, მაშინ ძირითადი მენიუდან **“ფაილი”** უნდა გამოიძახოთ **“არსებული ორგანიზაციის გახსნა”**:



იხილავთ ზემოთ (1 გზა) განხილულ ეკრანს, სადაც ორგანიზაციის არჩევა ხდება ზუსტად იგივე წესით.


თუ თქვენ გაქვთ გახსნილი დიდი რაოდენობით ორგანიზაციები (საქალაქდები), სისტემა საშუალებას გაძლევთ პროგრამაში შესვლისას ავტომატურად იქნას არჩეული ის ორგანიზაცია, რომელთანაც უმეტესად გინევთ მუშაობა. ამისათვის, ერთხელ უნდა დააფიქსიროთ ეს ორგანიზაცია სისტემის პარამეტრებში შესაბამის ველში და შემდგომში პროგრამაში შესვლისას ავტომატურად მოინიშნება სასურველი ორგანიზაცია და აღარ დაგჭირდებათ ორგანიზაციების სიის ჩამოშლა და მისი ძებნა. ორგანიზაციის დაფიქსირებას შესძლებათ, თუ ძირითადი მენიუდან **“ფონდები”** აირჩევთ ქვემენიუს **“სისტემის პარამეტრები”**, შემდეგ ლილავს **“სხვა...”** და ბოლოს ბარათს **“შესვლა”**:



როგორც ეკრანზე ხედავთ, მონიშნულია ველი **“ორგანიზაციების სია სისტემაში შესვლისას”**. სწორედ ამიტომ ხდება შესაძლებელი

პროგრამის გაშვების დროს ორგანიზაციების სიის გამოტანა და საჭიროს არჩევა. თუ თქვენ ამ ველს გადანიშნავთ, პროგრამა აღარ გაჩვენებთ მასში შესვლისას ორგანიზაციების სიას. უმჯობესია ეს ველი ყოველთვის მონიშნული იყოს. ხოლო რაც შეეხება პროგრამაში შესვლისას სასურველი ორგანიზაციის დაფიქსირებას, ამისათვის, ველში **“ორგანიზაცია”** გამოიყენეთ ლილავი -  და სიიდან აირჩიეთ ის ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე ხშირად დაგჭირდებათ. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ - **EKO\_2005**. შემდეგ დააჭირეთ **OK** - ს.

ეხლა თუ თქვენ ძირითადი მენიუდან **“ფაილი”** აირჩევთ ქვემენიუს **“არსებული ორგანიზაციის გახსნა”**, ეკრანზე დაინახავთ, რომ ორგანიზაციების ველში ზის სისტემის პარამეტრებში დაფიქსირებული ორგანიზაცია **EKO\_2005** და არა **ORIS** - ი:




დააჭირეთ **OK** - ს.


ეხლა განვიხილოთ, რატომ და როგორ შეიძლება არასაჭირო ორგანიზაციის წაშლა პროგრამაში.


ზემოთ განხილული წესით თქვენ პროგრამაში შეიძლება შექმნათ სხვადასხვა ორგანიზაციები მაგალითად, ვარჯიშის ან სხვა მიზნით, ხოლო შემდგომში დაგჭირდეთ ამ ორგანიზაციის წაშლა. ამ პროცესის განხილვის მიზნით შექმენით პროგრამაში კიდევ ერთი ახალი ორგანიზაცია (საქალაქდე) დასახელებით - **VAZIANI**. შემდეგ დაბრუნდით ისევ **EKO\_2005** - ში ბრძანებების შემდეგი თანმიმდევრობით: **“ფაილი / არსებული ორგანიზაციის გახსნა...”**. ეხლა დავუშვათ საჭირო გავხად **VAZIANI** - ს წაშლა. ამას მოახერხებთ თუ ძირითადი მენიუდან


“ფაილი” აირჩევთ “არსებული ორგანიზაციის ნაშლა...” - ს:





იხილავთ ეკრანს:




ეკრანზე ხედავთ პროგრამაში შექმნილ ყველა ორგანიზაციას (საქალაქებს). ნასაშლელად უნდა მონიშნოთ ის საქალაქე რომლის ნაშლაც გინდათ, ჩვენს შემთხვევაში ეს არის **VAZIANI** და დააჭირეთ ღილაკს -  **წაშლა**. გამოვა გაფრთხილების ეკრანი:



სადაც, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ პროგრამის რეკომენდაცია, ანუ ნაშლამდე აიღოთ ნასაშლელი ორგანიზაციის მონაცემების ასლი, ხოლო შემდეგ ნაშლოთ. ჩვენი შემთხვევისთვის, რადგანაც **VAZIANI** - ს მონაცემები აღარასოდეს დაგჭირდება დააჭირეთ ღილაკს -  **წაშლა**. დაინახავთ, რომ ორგანიზაციების სიიდან ამოვარდება **VAZIANI**. ეკრანიდან გამოსასვლელად ისარგებლეთ ღილაკით -  **შარი**.

**შენიშვნა:** გაითვალისწინეთ, რომ პროგრამა არ მოგცემთ იმ ორგანიზაციის ნაშლის საშუალებას რომელშიც იმყოფებით ანუ ჩვენი შემთხვევისთვის როცა გახსნილი გვაქვს ორგანიზაცია **EKO\_2005** და შევეცდებით მის ნაშლას, გამოვა შეტყობინება:




დააჭირეთ **OK** - ს. გამოვა კიდევ იგივე ტიპის შეტყობინება, რომელზეც კვლავ დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ ორგანიზაცია **EKO\_2005** არ წაიშლება.


### თავი 3

## ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტარგო ნაშთების დასმა

პროგრამაში არსებობს სტანდარტული ანგარიშთა გეგმა, რომელიც წარმოადგენს პროგრამის უმთავრეს კომპონენტს. ანგარიშთა გეგმის გამოძახებას პროგრამაში შესაძლებელია სამი გზით:

1. თუ ძირითადი მენიუდან “ფონდები” აირჩევთ ქვემენიუს ანგარიშები:



2. პროგრამის ძირითად ეკრანზე ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებული ლილავით - .

3. კლავიატურაზე აკრებთ, ლილავების კომბინაციას **CTRL+1**.  
სამივე შემთხვევაში ეკრანზე იხილავთ ანგარიშთა გეგმას:

ანგარიში	ტიპი	დასახელება	ფინანსური		რეზერვაციები		პალატა
			ფონდი	სტრუქტურა	ფონდი	სტრუქტურა	
1000	აბ	მიმდინარე აქტივები					
1100	აბ	წალღი ფული ანგარიში					
1110	აბ	წალღი ფული ბიზნეს კალ					
1120	აბ	წალღი ფული უბიზნეს კალ					
1200	აბ	ფული საბანკო ანგარიშები					
1210	აბ	ფონდური პალატა რეზერვ					
1220	აბ	უბიზნესი პალატა რეზერვ					
1230	აბ	უბიზნესი პალატა არარეზერვ					
1290	აბ	ფული სტა საბანკო ანგარი					

როგორც ხედავთ ეკრანზე ჩანს ანგარიშის ნომერი, ტიპი, დასახელება, ფინანსური და რეზერვაციული ნაშთები და ვალუტა. ანგარიშთა გეგმას გააჩნია ხის სტრუქტურა, ანუ დაყოფილია დონეებად,

რაც იძლევა მსგავსი ანგარიშების დაჯგუფების საშუალებას და უფრო მოხერხებულს ხდის მას შემდგომი გამოყენების მიზნით. პირველი დონე არის 1000, 2000, 3000 და ა.შ. მომდევნო დონე 1100, 1200, 1300, 2100, 2200 და ა.შ., ხოლო მესამე - 1110, 1120, 1210, 1220 და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაამატოთ მეოთხე, მეხუთე და ა.შ. დონის ანგარიშები. ანუ როგორც ანგარიშთა გეგმის სტრუქტურულიდან ჩანს ანგარიშები ერთმანეთშია ჩალაგებული და ანგარიშებზე ნაშთების აჯამება ხდება ბოლო დონიდან ზევით. მაგალითად, 1110-ის და 1120-ის ნაშთები აიჯამება 1100-ზე, ხოლო თავის მხრივ 1100-ის, 1120-ის, 1300-ის ნაშთები აიჯამება 1000-ზე.

ორგანიზაციის ბუღალტრული გატარებების შესრულებამდე პროგრამაში არსებული ანგარიშთა გეგმა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ორგანიზაციის საბუთებთან (ჩანაწერებთან). რაც ნიშნავს, რომ ანალიზური არღიცივის მიზნით ანგარიშთა გეგმის სინთეზურ ანგარიშებზე უნდა დაემატოს საჭირო ქვეანგარიშები. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია და მას თავიდანვე კარგი გააზრება ესაჭიროება, რადგან შემდგომში ანგარიშთა გეგმის გადაკეთება რთული და შრომატევადი იქნება. ხოლო ანგარიშთა გეგმის დაპროექტება დამოკიდებულია კონკრეტული ორგანიზაციის მოთხოვნილებებზე.

ესლა განვიხილოთ როგორ შეიძლება ახალი ანგარიშის გახსნა, როგორი ტიპის ანგარიშები არსებობს პროგრამაში და რა მიზნით.

პროგრამაში არსებობს ხუთი სახეობის ანგარიში: ფინანსური, სასაქონლო, ორგანიზაციის, თანამშრომლის და ბანკის. რომელთაც, დასახელებიდან გამომდინარე პროგრამაში სხვადასხვა დანიშნულება და სხვადასხვა შეფერილობა აქვთ. ანგარიშის გახსნის დროს სახეობის მითითება დამოკიდებულია იმაზე, რისი აღრიცხვისთვის იხსნება ეს ანგარიში. მაგალითად, თუ ორგანიზაციას, როგორც წინა თავში, ახალი ორგანიზაციის შექმნის დროს განვიხილეთ, ემსახურება ორი ბანკი და ცალ-ცალკე გვანტიერესებს ამ ბანკებში ანგარიშებზე მდგომარეობა, ანალიზური აღრიცხვის მიზნით 1210 ანგარიშს უნდა გაუხსნათ ბანკის სახეობის ანგარიშები. მარაგების და ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად, მათზე ოპერაციების სანარმოებლად (ფინანსური და რაოდენობრივი აღრიცხვა, თვითღირებულების დაანგარიშება, ჩამონერა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, გადაფასება და ა.შ.) უნდა გაიხსნას სასაქონლო სახეობის ანგარიშები. დებიტორ-კრედიტორების შემთხვევაში - ორგანიზაციის, ხოლო ანგარიშვალდებული პირების შემთხვევაში - თანამშრომლის. დანარჩენ შემთხვევებში, საკმარისია

ფინანსური სახეობის არჩევა. ფინანსური სახეობის ანგარიშების გახსნისას ხელით უნდა ავრიფოთ (მიანიჭოთ) ქვეანგარიშის კოდი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სისტემა ავტომატურად ანიჭებს გასახსნელ ანგარიშებს შესაბამის კოდებს. ამის ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ ერთი და იგივე დასახელების საქონელი, ორგანიზაცია, თანამშრომელი ან ბანკი შეიძლება რამდენიმე ანგარიშზე იქნას გახსნილი.

ესლა ყოველივე ზემოთ აღწერილი განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე.

დავუშვათ, ორგანიზაციას EKO\_2005 აქვს საწყობი, სადაც შემოაქვს ორგტექნიკა: კომპიუტერი, ფაქსი და საკანცელარიო საქონელი: ფაქსის ქალაქი, რომლებიც შემდეგ გადააქვს მაღაზიაში. ასეთი შემთხვევისთვის, თითოეული საქონლის მოძრაობის აღსარიცხავად, აგრეთვე ცალ-ცალკე მარაგების: ორგტექნიკის და საკანცელარიო მასალების და თავის მხრივ მთლიანად საწყობის და მაღაზიის ანალიზური აღრიცხვის მიზნით მიზანშეწონილი იქნება დაპროექტოთ ანგარიშთა გეგმა შემდეგი სტრუქტურით:

პირველი დონე - 1000 მიმდინარე აქტივები (რომელიც სტანდარტულად არსებობს ანგარიშთა გეგმაში).

მეორე დონე - 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგები (ეს ანგარიშიც არსებობს ანგ.გეგმაში).

მესამე დონე - 1610 საქონელი (ეს ანგარიშიც არსებობს ანგ.გეგმაში).



მეოთხე დონე - 1610 1 საწყობი, 1610 2 მაღაზია (ეს ანგარიშები უნდა გახსნათ როგორც ფინანსური სახეობის).

მეხუთე დონე - 1610 1 1 ორგტექნიკა, 1610 1 2 საკანცელარიო საქონელი (ეს ანგარიშებიც უნდა გახსნათ როგორც ფინანსური სახეობის).

მეექვსე დონე - ანგარიშებზე: 1610 1 1, 1610 1 2, 1610 2 კონკრეტული საქონლის ჩამონათვალი (ეს ანგარიშები უნდა გახსნათ როგორც სასაქონლო სახეობის ანგარიშები).

ასეთი სტრუქტურა იმით არის კარგი, რომ გვეცოდინება ჯამურად როგორც საწყობის და მაღაზიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ასევე მთლიანად ყველანაირი საქონლის ნაშთი, რომელიც აისახება 1610 ანგარიშზე.


ესლა განვიხილოთ ტექნიკურად, როგორ ხდება ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით ფინანსური და სასაქონლო სახეობის ანგარიშების გახსნა. რადგანაც, პირველი, მეორე და მესამე დონის ანგარიშები უკვე არსებობს ანგარიშთა გეგმაში, ამიტომ გავხსნათ მეოთხე დონის ანგარიშები - 1610 1 დასახელებით "საწყობი" და 1610 2 - "მაღაზია".

ამისათვის, ანგარიშთა გეგმაში მოძებნეთ ანგარიში 1610. ამას მოახერხებთ ორი გზით: 1. ინსტრუმენტების პანელზე ისარგებლოთ ძიების ღილაკით - , რომლის არჩევას შემთხვევაში იხილავთ პატარა ეკრანს, სადაც საძიებელი მნიშვნელობა შეგიძლიათ მოძებნოთ სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით. ამ კომპონენტებიდან ერთ-ერთის არჩევას შესძლებთ ღილაკით - :




პროგრამაში ავტომატურად მონიშნულია “ანგარიში”, ხოლო თუ ცარიელ ველში ავრევთ - 1610-ს და დააჭერთ OK - ს, დაინახავთ, რომ ანგარიშთა გეგმაში მონიშნება საძიებელი ანგარიში. ძიების დასრულების შემდეგ დააჭირეთ Cancel - ს.


2. ანგარიშის სწრაფი ძიების მეთოდი. რომელიც ძალზედ მოსახერხებელია საჭირო ანგარიშზე პირდაპირ გადაადგილებისთვის. კლავიატურაზე დაიწყოთ საძიებელი ანგარიშის ნომრის ავრევა. დაინახავთ, ყოველი ციფრის ავრევის შემდეგ კურსორი როგორ მიუახლოვდება საჭირო ანგარიშს. ამასთან, თქვენს მიერ ავრევილი ანგარიში იწერება ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში:





161-ის ავრევის შემდეგ დაინახავთ, რომ საძიებელი ანგარიში

მონიშნულია. ხოლო თუ ანალოგიური წესით სხვა ანგარიშის მოძებნა დაგჭირდათ, ამისათვის, ჯერ უნდა გაასუფთაოთ ძიების ველი კლავიატურის BackSpace ღილაკის ან ეკრანზე მონიშნული ველის (კურსორის) ერთი ხაზით ზევით ან ქვევით წანაცვლებით.

ამრიგად, ძიების ერთ-ერთი მეთოდის გამოყენებით 1610 ანგარიში მონიშნულია. დაეუბრუნდეთ ანგარიშის გახსნას. ამისათვის, ინსტრუმენტების პანელზე დააჭირეთ დამატების ღილაკს - . იხილავთ დღის რჩევის ეკრანს:




თუ გინდათ, რომ მომავალში ეს ეკრანი აღარ გამოვიდეს, მონიშნეთ ველი “აღარ გამოვიყვანოთ ეს შეტყობინება” და დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:



სადაც, როგორც ხედავთ ველში “სახეობა” არჩეულია “ფინანსური” და რადგანაც ჯერ უნდა გახსნათ ფინანსური ანგარიში 1610 1 - “საწყობი”, ამიტომ დატოვებთ არჩეული სახეობა. შემდეგ ველში “ანგარიში” 1610-ის შემდეგ ავრევთ 1, ხოლო ველში “დასახელება” - საწყობი. უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:



დააჭირეთ **OK** - ს. დანახავთ, რომ ანგარიშთა გეგმაში დაემატება თქვენს მიერ გახსნილი ანგარიში:


ესლა ზუსტად იგივე წესით გახსენით ანგარიში 1610 2 - მალაზია. რის შემდეგაც ანგარიშთა გეგმას ექნება სახე:

როგორც გახსოვთ საწყობში არის ორი ტიპის საქონელი: ორგტე-ქნიკა და სავანცელარო საქონელი. ამ ანგარიშების გასახსნელად მონიშნეთ (დადებით კურსორით) ანგარიში - 1610 1 და დააჭირეთ დამატების ლილავს - . იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს,


რომელიც შემდეგნაირად შეგვსეთ:

დააჭირეთ **OK** - ს. შემდეგ ზუსტად იგივე წესით გახსენით ანგარიში 1610 1 2 - სავანცელარო საქონელი. ანგარიშთა გეგმას ექნება შემდეგი სახე:

ამით დასრულდა ფინანსური სახეობის ანგარიშების დამატება. ესლა როგორც გახსოვთ ორგანიზაციას საწყობში შემოაქვს კომპიუტერი, ფაქსი და ფაქსის ქალაღი. ე.ი. საჭიროა შესაბამისი სასაქონლო სახეობის ანგარიშების გახსნა. რადგანაც კომპიუტერი და ფაქსი ეკუთვნის ორგტექნიკას, ამიტომ, ჯერ მონიშნეთ ანგარიში 1610 1 1 - ორგტექნიკა და დააჭირეთ დამატების ლილავს - . იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც ველში "სახეობა"  - ლილავის დახმარებით აირჩიეთ - "სასაქონლო". რის შემდეგაც სისტემა გაგიყვანთ პროგრამაში არსებულ სასაქონლო სიაზე:



ამ ეკრანში უნდა დაამატოთ საქონელი დასახელებით - **კომპიუტერი**. ამისათვის, კვლავ ისარგებლეთ დამატების ღილაკით ან დააჭირეთ **Insert** - ს, იხილავთ ეკრანს:




რომლის ველები უნდა შეავსოთ შემდეგნაირად:  
**“ძირითადი საშუალება”** - თუ საქონელი ძირითადი საშუალებაა, მაშინ უნდა მონიშნოთ ეს ველი. მოცემულ შემთხვევაში კი ეს ველი არ გვესაჭიროება და უმჯობესია არც შევცხოთ.

**“კოდი”** - გასახსნელ საქონელს კოდს პროგრამა ანიჭებს ავტომატურად. კოდები საქონელს ენიჭება თანმიმდევრობით ანუ ბოლოს გახსნილი საქონლის კოდი + 1. თუმცა პროგრამა საქონლის დამატების დროს გაძლევთ კოდის ცვლილების საშუალებას. მაგრამ, არ მოგცემთ ორი სხვადასხვა საქონლის ერთიდაიგივე კოდით დამატების საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში დატოვებთ პროგრამის მიერ მინიჭებული კოდი - 00002.


**“დასახელება”** - აქ შედის საქონლის ზუსტი დასახელება. მოცემულ შემთხვევაში აკრიფეთ **კომპიუტერი**.


**“სასაქონლო ჯგუფი”** - ამ ველის შევსება არ არის აუცილებელი, მაგრამ თუ ორგანიზაციას გააჩნია დიდი რაოდენობის და სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი, მაშინ სასარგებლო იქნებოდა მათი გაერთიანება ჯგუფებში, რათა შემდგომში ადვილი გახდეს სასაქონლო სიის გაფილტვრა, დალაგება და ა.შ.. ჯგუფების დასახელება და მათი რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული ორგანიზაციის საქმიანობაზე

და ეს მომხმარებლის გადასანყვეტია. ახალი ჯგუფის დასამატებლად უნდა დააჭიროთ შესაბამისი ველის გასწვრივ მოთავსებულ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:



სადაც ისარგებლეთ დამატების ღილაკით და მოცემული ეკრანი შეავსეთ შემდეგნაირად:




დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ ჯგუფების სიაში დაემატება ახლად შექმნილი სასაქონლო ჯგუფი, რომელიც აირჩიეთ ხელის გამოსახულების ღილაკით - .


**“მინიმალური ერთეული”** - ამ ველში უნდა აკრიფოთ საქონლის მინიმალური საზომი ერთეული. პროგრამა საშუალებას გაძლევთ ერთი საქონელი გქონდეთ 10 სხვადასხვა ერთეულში. ეს მოსახერხებელია იმ თვალსაზრისით, რომ საქონელი შეიძლება შექმნილი გქონდეთ სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, ფაქსის ქალაქი შეიძლება შეიძინოთ ცალით, ნონით და ყუთებით. ველში **“მინიმალური ერთეული”** შედის ერთეულს შორის ყველაზე მცირე, მაგ.: ცალი, ხოლო ეკრანის მარჯვენა ნაწილში ველში **“სხვა ერთეული”** - ყუთი და ველში **“რაოდენობა სხვა ერთეულში”** - 10 ე.ი. დავუშვით, რომ 1 ყუთი = 10 ცალს. მოცემულ (კომპიუტერის) შემთხვევაში ველში **“მინიმალური ერთეული”** აკრიფეთ - **ცალი**.


**“გაყიდვის ფასი”** - ეს ველი ივსება იმ შემთხვევაში თუ მოცემული საქონლის გასაყიდი ფასი ფიქსირებულია. რეალიზაციის ოპერაციის შესრულების დროს **FIX** მეთოდის არჩევის შემთხვევაში პროგრამა გაყიდვის ფასს ავტომატურად აიღებს სწორედ ამ ველიდან (ეს საკითხი დანვრილებით განხილულია მე-5 თავის ქვეთავში **“სასაქონლო გატარება”**). მოცემულ შემთხვევაში არაფერი არ მიუთითოთ.


**“ანგარიში”** - აქ შეიძლება მითითებული იქნას ის ანგარიში, რომლის ქვეანგარიშადაც გაიხსნება ეს საქონელი. ამ ანგარიშის არჩევა

შეიძლება ანგარიშთა გეგმიდან ღილაკის -  დახმარებით. მოცემულ შემთხვევაში ამის გაცემა არ არის საჭირო, რადგანაც თქვენ უკვე ანგარიშთა გეგმიდან უხსნით 1610 1 1 - ს სასაქონლო ანგარიშს.

საბოლოოდ საქონლის დამატების ეკრანს ექნება სახე:




დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ სასაქონლო სიაში დამატება ახლად შექმნილი საქონელი, რომელიც აირჩიეთ ღილაკით -  **OK** . დაბრუნდებით ანგარიშის გახსნის ეკრანზე:





სადაც, როგორც ხედავთ პროგრამამ ავტომატურად მიანიჭა გასახსნელ ანგარიშს სასაქონლო კოდი და დასახელება. რაც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.


დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ ანგარიშთა გეგმაში დამატება ახლად გახსნილი სასაქონლო ანგარიში:



როგორც ეკრანზე ხედავთ, სასაქონლო სახეობის ანგარიშები პროგრამაში ლურჯი ფერისაა. თუმცა სისტემა გაძლევთ საშუალებას მიანიჭოთ ნებისმიერი სახეობის ანგარიშს სასურველი ფერი. ამის გაცემა შეიძლება თუ ძირითადი მენიუდან **“ფონდები”** აირჩევთ ქვემენიუს **“სისტემის პარამეტრები”**, ხოლო შემდეგ ღილაკს **“ფერები”**. იხილავთ ეკრანს:




ეკრანზე ხედავთ, რომ სხვადასხვა სახეობის ანგარიშებს მინიჭებული აქვთ სხვადასხვა ფერი. თუ გასურთ რომელიმე მათგანის ფერის ცვლილება, ამისათვის, ჯერ უნდა მონიშნოთ შესაბამისი სახეობის ჩანაწერი, ხოლო შემდეგ ისარგებლოთ კორექტირების ღილაკით -  ან კლავიატურაზე დააჭიროთ **F2** - ს. იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში შესაძლებელია, როგორც ფერის, ასევე ფონტის, ზომის და სტილის შეცვლა. მოცემულ შემთხვევაში დააჭირეთ **Cancel** - ს ამ ეკრანზე და მომდევნო ეკრანზე.

ეხლა დავუბრუნდეთ ანგარიშთა გეგმას. როგორც გახსოვთ, გასახსნელია კიდევ ორი სასაქონლო ანგარიში: ფაქსი და ფაქსის ქალაქი. გაუხსენით 1610 1 1 - ს სასაქონლო ანგარიში დასახელებით - **ფაქსი** ზუსტად იგივე წესით, როგორც კომპიუტერის შემთხვევაში. ხოლო რადგანაც **“ფაქსის ქალაქი”** ეკუთვნის სავანცელარიო საქონელს, ამიტომ, ანგარიშთა გეგმაში მონიშნეთ ანგარიში 1610 1 2 და შემდეგ დაამატეთ სასაქონლო სახეობის ანგარიში დასახელებით **ფაქსის ქალაქი**, ზუსტად იგივე წესით როგორც წინა შემთხვევაში. ამასთან, განვიხილოთ როგორ ხდება საქონლის დამატების დროს სხვა ერთეულების დამატება. რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანუ როდესაც 1 ყუთში ჩადის 10 ცალი ფაქსის ქალაქი. ასეთ შემთხვევაში საქონლის დამატების ეკრანი შეავსეთ შემდეგნაირად:




როგორც ეკრანის მარჯვენა მხარეს ხედავთ, გააქტიურებულია ბარათი **“გვერდი 1”**, სადაც შევიტანეთ საქონლის სხვა ერთეული. ამის გარდა არის 5 ბარათი და თითოეულზე შეიძლება ორ-ორი სხვადასხვა ერთეულის დამატება. ე.ი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პროგრამაში

შეიძლება ერთი საქონელი გეგმით 10 სხვადასხვა ერთეულში. მოცემულ ეკრანზე დააჭირეთ **OK** - ს. სასაქონლო სიას ექნება შემდეგი სახე:



როგორც ხედავთ, ეკრანის მარჯვენა ნაწილში გამოჩნდა მონიშნული საქონლის სხვა ერთეულები. დაასრულეთ ანგარიშის გახსნა, რის შემდეგაც ანგარიშთა გეგმას ექნება შემდეგი სახე:



ამით დასრულდა სასაქონლო სახეობის ანგარიშების დამატება. რომლის დროსაც თითოეული ახალი საქონელი სასაქონლო სიაში დავამატეთ უშუალოდ ანგარიშის გახსნის დროს. ხოლო თვით სასაქონლო სიის ნახვა პროგრამაში შესაძლებელია სამი გზით: 1. ძირითადი მენიუდან **“ფონდები”** აირჩიეთ **“სასაქონლო სია”**:



2. ძირითადი ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე აირჩიეთ ღილაკი




3. კლავიატურაზე ავრჩიეთ ღილაკების კომბინაცია **Ctrl+5**.

სამივე შემთხვევაში პროგრამა გაგიყვანთ სასაქონლო სიაზე, სადაც შეგიძლიათ დაამატოთ ახალი საქონელი, გააკორექტიროთ არსებული, წაშალოთ არასაჭირო, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ პროგრამა არ მოგცემთ ისეთი საქონლის ნაშლის საშუალებას, რომელზეც გახსნილია ანგარიში, გაკეთებულია საბუღალტრო გატარებები ან დასმულია სასტარტო ნაშთი.


ესლა დავუბრუნდეთ ანგარიშთა გეგმას და განვიხილოთ, როგორ ხდება პროგრამაში ორგანიზაციის სახეობის ანგარიშების დამატება.

მოგეხსენებათ, რომ თითოეულ ორგანიზაციას ყავს მომწოდებლები, რეალიზატორები და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, რომლებთანაც აქვთ საქმიანი ურთიერთობა. მათთან მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმაში საჭიროა გაიხსნას ანგარიშები თითოეული ასეთი ორგანიზაციისთვის. ამასთან, გვესაჭიროება გარკვეული ინფორმაციის (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი და ა.შ.) შენახვა ამ ორგანიზაციების შესახებ, რაც შემდგომში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების შესავსებად. ამიტომ, ყოველ საჭირო ორგანიზაციას პროგრამაში სასაქონლო სიის მსგავსად ეხსენება ინდივიდუალური ბარათი, სადაც უნდა შეიტანოთ ზემოთ ნახსენები ინფორმაცია. სასაქონლო სიის მსგავსად შეიძლება ჯერ მოამზადოთ ორგანიზაციების ბარათები (შეიტანოთ ინფორმაცია მათ შესახებ), ხოლო ორგანიზაციის სახეობის ანგარიშები გახსნათ მოგვიანებით საჭიროების შემთხვევაში ან პირიქით უშუალოდ ანგარიშთა გეგმაში გახსნათ ორგანიზაციის სახეობის ანგარიში და თან შეიტანოთ საჭირო ინფორმაცია ამ ორგანიზაციის შესახებ. განვიხილოთ მეორე შემთხვევა.

დავუშვათ, ორგანიზაციას ყავს მომწოდებელი შპს "ვერე", რომელთანაც წარმოქმნილი ვალდებულებების აღსარიცხავად საჭიროა გაიხსნას ორგანიზაციის სახეობის ანგარიში 3110-ზე. ამისათვის, ანგარიშთა გეგმაში მოქმედეთ ეს ანგარიში, მონიშნეთ იგი და ისარგებლეთ დამატების ღილაკით. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც ველში "სახეობა" აირჩიეთ "ორგანიზაციის", რის შემდეგაც სისტემა გაგიყვანთ პროგრამაში არსებულ ორგანიზაციების სიაზე:




სადაც ეკრანის ზედა ნაწილში უნდა დაამატოთ საჭირო ორგანიზაცია, ხოლო ეკრანის ქვედა ნაწილში უნდა დაამატოთ ამ ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ორგანიზაციაა შპს "ვერე", რომლის ბარათის შესაქმნელად ეკრანის ზედა ნაწილში დააჭირეთ დამატების ღილაკს. იხილავთ ეკრანს, რომელიც მაგალითისთვის შეავსეთ შემდეგნაირად:




როგორც ხედავთ, ველში "კოდი" პროგრამამ ახალ ორგანიზაციას


ავტომატურად მინიჭა ორგანიზაციების სიაში რიგით მომდევნო ნომერი. დააჭირეთ OK - ს. დაინახეთ, რომ სიაში განჩნდება ახლად დამატებული ორგანიზაცია:




ესლა შეეცადეთ ამ ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები. ამისათვის, ეს ორგანიზაცია მონიშნული უნდა იყოს და ეკრანის ქვედა ნაწილში დააჭირეთ დამატების ღილაკს. იხილავთ ეკრანს:



ამ ეკრანში თუ დააჭერთ ღილაკს - **...**, სისტემა გაგიყვანთ პროგრამაში არსებულ ბანკების სიაზე, რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-2 თავში "ახალი ორგანიზაციის შექმნა". მოცემული ბანკების სიიდან მაგალითისთვის აირჩიეთ კბ "საქართველო", ხოლო ველში "ორგანიზაციის ანგარიში" ავრიფეთ - 3802002305. საბოლოოდ ეკრანს ექნება შემდეგი სახე:



დაასრულეთ მონაცემების შეტანა OK - ზე დაჭერით და აირჩიეთ ახლად დამატებული ორგანიზაცია ღილაკის - **OK** საშუალებით. პროგრამა დაგაბრუნებთ ანგარიშის გახსნის ეკრანზე, სადაც კვლავ დააჭირეთ OK - ს. ეკრანზე იხილავთ ორგანიზაციის სახეობის ანგარიშს, რომელიც როგორც ხედავთ მწვანე ფერისაა:




ამით დასრულდა ორგანიზაციის სახეობის ანგარიშის გახსნა. მომავალში თუ საჭირო იქნება ამ ან სხვა რომელიმე ორგანიზაციის რეკვიზიტების ცვლილება, ამას მოახერხებთ ორგანიზაციების სიაში, რომელსაც გამოიხატებთ ძირითადი მენიუდან "ფონდები / ორგანიზაციები":




იხილავთ ორგანიზაციების სიას, სადაც შესაძლებელი იქნება ახლის დამატება, არსებულის კორექტირება, არასაჭიროს წაშლა და ა.შ. შესაბამისი ღილაკებით.

ესლა განვიხილოთ, როგორ და რისთვის შეიძლება პროგრამაში თანამშრომლის სახეობის ანგარიშების გახსნა. მოგეხსენებათ, რომ ორგანიზაციას გარკვეული მოთხოვნები და ვალდებულებები შეიძლება წარმოეშვას არა მარტო სხვა ორგანიზაციებთან, არამედ საკუთარ პერსონალთანაც. ამ მოთხოვნების და ვალდებულებების ანალიზური აღრიცხვისთვის მიზანშეწონილია გაიხსნას შესაბამისი (თანამშრომლის) სახეობის ანგარიშები. ამასთან, პერსონალზე საჭირო იქნება დამატებითი ინფორმაცია (საპასპორტო მონაცემები, სამსახურში მიღების თარიღი, განყოფილება, რომელშიც მუშაობს ეს თანამშრომელი და ა.შ.). რისთვისაც, როგორც ორგანიზაციის და სასაქონლო ანგარიშების შემთხვევაში, აქაც იქმნება ბარათი თანამშრომლისთვის, სადაც შეიტანება საჭირო ინფორმაცია.


დავუშვათ, საწარმოს თანამშრომლის დავით მირიანის ძე ჭავჭავაძის მიმართ წარმოიშვა გარკვეული მოთხოვნა, რისთვისაც საჭირო გახდა ანგარიშის გახსნა. ამისათვის, ანგარიშთა გეგმაში მონიშნეთ ანგარიში 1430 (მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ) და დააჭირეთ დამატების ღილაკს. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც სახეობის ველში აირჩიეთ **“თანამშრომლის”**, რის შემდეგაც პროგრამა გაგიყვანთ კადრების სიის ეკრანზე:




როგორც ხედავთ, ჯერჯერობით კადრების სია ცარიელია. თანამშრომლის ბარათის შესაქმნელად დააჭირეთ დამატების ღილაკს და შეავსეთ მიღებული ეკრანი მაგალითად შემდეგნაირად:




როგორც ეკრანზე ხედავთ, არის თანამშრომელზე ინფორმაციის შესავსები სხვა ველებიც, რომლებიც გადადის რამოდენიმე გვერდზე. ამ ველების შევსების ტექნიკა დანვრილებით აღწერილია მე-10 თავში **“ხელფასი”**. მოცემულ შემთხვევაში დააჭირეთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ დამატებულ თანამშრომელს:



აირჩიეთ ახლად დამატებული თანამშრომელი ღილაკით - .

პროგრამა დაგაბრუნებთ ანგარიშის გახსნის ეკრანზე, სადაც დაასრულეთ ანგარიშის გახსნა **OK** - ს საშუალებით. დაინახავთ, რომ ანგარიშთა გეგმაში დაემატება თანამშრომლის სახეობის ანგარიში, რომელიც, როგორც ხედავთ წითელი ფერისაა:



ამით დასრულდა თანამშრომლის სახეობის ანგარიშის გახსნა. მომავალში თუ საჭირო გახდა თანამშრომლის მონაცემების ცვლილება, ამის გაკეთებას შესძლებთ სამი გზით: 1. თუ ძირითადი მენიუდან “ხელფასი” აირჩიეთ ქვემენიუს “კადრები”:




2. ძირითადი ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე აირჩიეთ ლილავს



3. კლავიატურაზე ავრეფთ ლილავების კომბინაციას **Ctrl+7**.


სამივე შემთხვევაში პროგრამა გაგიყვანთ კადრების სიაზე, სადაც შესძლებთ ახალი თანამშრომლების დამატებას, არსებულის კორექტირებას და ა.შ. დაწვრილებით კარდების სიის მომზადება როგორც აღვნიშნეთ განხილულია მე-10 თავში “ხელფასი”.

ესლა განვიხილოთ ბანკის სახეობის ანგარიშის გახსნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი სახეობის ანგარიშები მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, როცა მაგალითად, ორგანიზაციას გააჩნია ორი საბანკო ანგარიში სხვადასხვა ბანკში და საჭიროა ამ ანგარიშების ცალ-ცალკე ანალიზური აღრიცხვა. ჩვენი მაგალითისთვის, როგორც მე-2 თავში “ახალი ორგანიზაციის შექმნა” განვიხილეთ ასეთი ბანკებია “ქართუ” და “საქართველოს ბანკი”. მოდით გავუხსნათ 1210 - ს შესაბამისი ანგარიშები. ამისათვის, ანგარიშთა გეგმაში მონიშნეთ - 1210 და დააჭირეთ დამატების ლილავს. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც სახეობის ველში აირჩიეთ “ბანკის”. იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანზე ხედავთ, სისტემა გაძლევთ საშუალებას გახსნათ

ბანკის სახეობის ანგარიში, როგორც პროგრამაში არსებული ორგანიზაციების სიიდან, ასევე სისტემის პარამეტრებიდან, სადაც უკვე დამატებული გვაქვს საერთო ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები. მოცემულ შემთხვევაში გვჭირდება მეორე ვარიანტი, რადგან სისტემის პარამეტრებში უკვე დამატებულია საჭირო ბანკები. ამიტომ, მონიშნეთ ჩანაწერი “სისტემის პარამეტრებიდან” და დააჭირეთ **OK** - ს. რის შემდეგაც პროგრამა გაგიყვანთ სისტემის პარამეტრებში გახსნილ ბანკების სიაზე:



აირჩიეთ პირველივე მონიშნული ბანკი ლილავით - **OK**.

პროგრამა დაგაბრუნებთ ანგარიშის გახსნის ეკრანზე, სადაც დაასრულეთ ანგარიშის გახსნა **OK** - ს საშუალებით. ზუსტად იგივე წესით გახსნით მეორე ბანკის ანგარიში. საბოლოოდ ანგარიშთა გეგმას ექნება სახე:




როგორც ეკრანზე ხედავთ ბანკის სახეობის ანგარიშები პროგრამაში ცისფერი ფერისაა.

ამით დავსრულეთ პროგრამაში არსებული სხვადასხვა სახეობის ანგარიშების შექმნის განხილვა.

ყოველი ახალი ანგარიშის დამატების დროს შეამჩნევდით, რომ თითოეულ ანგარიშს დამატების ეკრანში მონიშნული აქვს ველები:

**“გადაფასებადი” და “მულტისავალუტო”:**



რომელთაგან პირველი ნიშნავს, რომ ყოველი ანგარიში, რომელსაც მონიშნული ეწება ეს ველი, გადაფასდება საკურსო სხვაობის ოპერაციის შესრულების დროს (ეს ოპერაცია დაწვრილებით განხილულია მე-11 თავში “ვალუტა და საკურსო სხვაობა”).

ხოლო მეორე, ანუ “მულტისავალუტო” ნიშნავს, რომ ყოველი ანგარიში, რომელსაც მონიშნული ეწება ეს ველი, გატარების შესრულების დროს ავტუმბატურად გაიხსნება იმ ვალუტაში, რომელშიც შესრულდება ეს გატარება და შესაბამისად ამ ანგარიშის საბოლოო შედეგებსაც იხილავთ ამავე ვალუტაში (დაწვრილებით ეს პროცესი განხილულია მე-5 თავში “საბუღალტრო გატარებები”, ქვეთავი “სავალუტო გატარება”).

ანგარიშის დამატების ეკრანში არის კიდევ ველი “დახურული”. ამ ველის გამოყენება (მონიშვნა) დაგჭირდებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გარკვეული მუშაობის შემდეგ საჭირო გახდება ამ ანგარიშის დახურვა, რის შემდეგაც ანგარიში მიიღებს ნაცრისფერ ფერს და დახურვის შემდეგ პროგრამა აღარ მოგცემთ ამ ანგარიშზე არანაირი ოპერაციის შესრულების უფლებას.


აგრეთვე, ყოველი ახალი ანგარიშის დამატების დროს შეამჩნევდით, რომ თითოეულ ანგარიშს დამატების ეკრანის ქვედა ნაწილში აქვს სასტატო ნაშთის დასმის ველები. განვიხილოთ რისთვის გამოიყენება ეს ველები და რა შემთხვევაშია საჭირო სასტატო ნაშთების დასმა.


სასტატო ნაშთების დასმა ორგანიზაციას ესაჭიროება იმ შემთხვევაში, თუ ის ორისის პროგრამის შექმნამდე ბუღალტერიას ანარმოებდა ხელით ან სხვა პროგრამით. რა თქმა უნდა მთელი ნამუშევარი ინფორმაციის შეტანა პროგრამაში დიდ დროს და შრომას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში, მუშაობის შედეგად მიღებული საბოლოო


ნაშთები პროგრამაში უნდა დასვათ რაიმე თარიღისთვის სასტატო ნაშთებად. უმჯობესია ეს თარიღი იყოს წლის დასაწყისი. ხოლო ამ რიცხვიდან მოყოლებული ოპერაციები ანარმოით პროგრამის საშუალებით.

ცხადია, თუ ორგანიზაციამ დაარსებისთანავე შეიძინა ორისის პროგრამა და პროგრამის გამოყენებით აპირებს ყველა საბუღალტრო ოპერაციის აღრიცხვას, მას სასტატო ნაშთები არ ეწება.

ესლა განვიხილოთ როგორ ხდება პროგრამაში სასტატო ნაშთების დასმა. ამისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უნდა შეირჩეს სასტატო ნაშთის დასმის თარიღი, რომლის მითითებას პროგრამაში შესძლებთ ანგარიშთა გეგმის ეკრანში:



თარიღის შესაცვლელად ისარგებლეთ მის გვერდით მოთავსებული კალენდრის ლილაკით - :




მაგალითისთვის აირჩიეთ 2006 წლის 2 იანვარი და დააჭირეთ OK - ს. დაინახავთ, რომ შესაბამის ველში ჩაჯდება არჩეული თარიღი.

ესლა დავინიშოთ სასტატო ნაშთების დასმა. დავუშვათ, არჩეული თარიღისთვის გვაქვს შემდეგი ნაშთები:


- “ბანკი ქართუ” - 4000 ლარი,
- “საქართველოს ბანკი” - 2000 ლარი,
- სალარო - 1000 ლარი,
- სანესდებო კაპიტალი შპს-ში - 7000 ლარი.

თუ ყველა ნაშთი ერთი და იმავე ვალუტაშია, როგორც ჩვენს მაგალითში, მაშინ შეგიძლიათ თავიდანვე დააყენოთ საჭირო ვალუტა, რომელშიც თქვენი ნაშთებია გამოსახული და ნაშთების დასმის დროს აღარ დაგჭირდებათ ყოველ ანგარიშზე სათითაოდ ვალუტის მითითება. თუმცა პროგრამა გაძლევთ საშუალებას, უშუალოდ ნაშთის დასმის დროს მიუთითოთ სასურველი ვალუტა. ჩვენი მაგალითისთვის ვალუტის არჩევა არ დაგჭირდებათ, რადგანაც პროგრამაში თავიდანვე მონიშნულია ველი “ვალუტა” და არჩეულია ქართული ლარი (GEL):




ხოლო თუ საჭირო გახდება ვალუტის შეცვლა, ამის გაკეთებას შესძლებთ ლილავის - გამოყენებით.

ესლა დავსვათ პირველი სასტარტო ნაშთი “ბანკი ქართუ” - 4000 ლარი ანგარიშზე - 1210 3. ამისათვის, მონიშნეთ ეს ანგარიში და დააჭირეთ კორექტირების ლილავს - . იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს:



რადგანაც არჩეული ანგარიში აქტიურია, ამიტომ ეკრანის ქვედა ნაწილში კურსორით დადევით ველში “დებეტი” და აკრიფეთ - 4000. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ველში “ვალუტა” უკვე არჩეულია ქართული ლარის აბრევიატურა. ეს იმიტომ, რომ ჩვენ თავიდანვე გვქონდა დაყენებული შესაბამის ველში მთელი ანგარიშთა გეგმისთვის ქართული ლარი. თუმცა ამავე ველში ლილავის - საშუალებით თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ სასურველი ვალუტა. ჩვენი შემთხვევისთვის დატოვეთ GEL. თანხის აკრიფვის შემდეგ კლავიატურაზე დააჭირეთ ლილავს - Tab. დაინახავთ, რომ ველში “ექვივალენტი” პროგრამა გაიმეორებს იგივე თანხას, რაც ჩანერეთ დებეტში. ეს იმიტომ, რომ დასმული ნაშთი ლარშია და რადგანაც ახალი ორგანიზაციის გახსნის დროს (იხ. მე-2 თავი) ბაზური ვალუტა ლარია, ლარის მიმართ ექვივალენტური თანხა იგივე გამოდის. თუ თქვენ დასვავთ სასტარტო ნაშთს სხვა ვალუტაში, მაშინ ველში “ექვივალენტი” ჩაჯდება ამ ვალუტის ექვივალენტური თანხა ლარებში, ნაშთის დასმის თარიღში პროგრამაში ვალუტების სიაში დაფიქსირებული კურსის მიხედვით (ვალუტების კურსების დაფიქსირება განხილულია მე-11 თავში “ვალუტა და საკურსო სხვაობა”). დაასრულეთ სასტარტო ნაშთის დასმა OK ლილავზე დაჭერით. ეკრანზე იხილავთ:



როგორც ხედავთ დასმული ნაშთი პროგრამამ ავტომატურად გაიმეორა ზედა დონის ანგარიშზე, რადგანაც ეს ერთადერთი ნაშთია.

ზემოთ აღწერილი წესით დასვით სასტარტო ნაშთი ანგარიშზე - 1210 4 - 2000 ლარი. რის შემდეგაც მიიღებთ შემდეგ ეკრანს:

ანგარიში	მისი	მსახურება	ფასი	საბალანსო	კარგები
1000	ს/მ	800806.000 კაპიტალი	6,000.00		
1100	ს/მ	60000 ფული საბანკო			
1110	ს/მ	60000 ფული პროცენტული			
1120	ს/მ	60000 ფული უბიძგო			
1200	ს/მ	ფული საბანკო ანგარიშზე	6,000.00		
1210	ს/მ	პროცენტული კაპიტალი	6,000.00		
1210 3	ს/მ	123456789 - მონეტის ს. უბიძგო	4,000.00		
1210 4	ს/მ	456789123 - მონეტის ს. უბიძგო	2,000.00		
1220	ს/მ	უბიძგო კაპიტალი			
1300	ს/მ	7000000.00	6,000.00	0.00	

როგორც ეკრანზე ხედავთ, ზედა დონის ანგარიშებზე ავტომატურად აიჯამა ნაშთები. ანუ ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ანგარიში 1210) არის 6000 ლარი, აგრეთვე, ფული საბანკო ანგარიშებზეც (ანგარიში 1200) არის 6000 ლარი და საბოლოოდ მიმდინარე აქტივებიც (ანგარიში 1000) 6000 ლარია.

დასვით დანარჩენი სასტარტო ნაშთები ზუსტად იგივე წესით, როგორც “ბანკი ქართუ” - ს შემთხვევაში. საბოლოოდ ანგარიშთა გეგმას ექნება შემდეგი სახე:

ანგარიში	მისი	მსახურება	ფასი	საბალანსო	კარგები
1000	ს/მ	800806.000 კაპიტალი	7,000.00		
1100	ს/მ	60000 ფული საბანკო	1,000.00		
1110	ს/მ	60000 ფული პროცენტული	1,000.00		
1120	ს/მ	60000 ფული უბიძგო			
1200	ს/მ	ფული საბანკო ანგარიშზე	6,000.00		
1210	ს/მ	პროცენტული კაპიტალი	6,000.00		
1210 3	ს/მ	123456789 - მონეტის ს. უბიძგო	4,000.00		
1210 4	ს/მ	456789123 - მონეტის ს. უბიძგო	2,000.00		
1220	ს/მ	უბიძგო კაპიტალი			
1300	ს/მ	7,000.00	7,000.00		

ეკრანის ქვედა ნაწილში ჩანს ბალანსი, რომელიც მომხმარებელს ეხმარება ნაშთების კონტროლში. როგორც ეკრანზე ხედავთ, ბალანსი არ არის დარღვეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ანგარიშებზე ნაშთები სწორად არის დასმული. აგრეთვე, ეკრანის ქვედა მარჯვენა კუთხეში ჩანს ველი “ექვ”. თუ თქვენ მონიშნავთ ამ ველს, მაშინ ეკრანზე ფინანსურ და რაოდენობრივ ველებს დაემატება ექვივალენტური თანხების ველებიც.


ამით დასრულდა სასტარტო ნაშთების დასმა.

**შენიშვნა:** სასტარტო ნაშთების მნიშვნელობა შემდგომში აღარ შეიცვლება. მომავალში ყველა შესრულებული ოპერაციის შედეგები აისახება ამავე ეკრანის ბარათებში: ნაშთები, ბრუნვები, ბარათი,


სახეობები, შედეგები.

ესლა განვიხილოთ, როგორ შეიძლება პროგრამაში სასტარტო ნაშთის კორექტირება და წაშლა. ამისათვის, უნდა მონიშნოთ ის ანგარიში, რომელსაც უნდა შეუცვალოთ სასტარტო ნაშთი (გააკორექტიროთ ან წაშალოთ) და დააჭიროთ ღილაკს - . იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც შესძლებთ გააკორექტიროთ შესაბამისი ნაშთი ან წაშალოთ იგი, რითაც გააუქმებთ ანგარიშზე დასმულ ნაშთს.

იმ შემთხვევაში თუ რაღაც მიზეზების გამო თქვენ არასწორად დასვით სასტარტო ნაშთები და გასურთ ყველა დასმული სასტარტო ნაშთის გაუქმება. ამას შესძლებთ, თუ ძირითადი მენიუდან “ფონდები” აირჩევთ ქვემენიუს “სისტემის პარამეტრები”, ხოლო შემდეგ აირჩევთ ღილაკს - “სწვა...”. იხილავთ ეკრანს:





სადაც თუ დააჭერთ ჩანანერს - “გავანულოთ ანგარიშების სასტარტო ნაშთები”, იხილავთ გაფრთხილების ეკრანს:




თუ ამ ეკრანზე დააჭერთ Yes - ს, გაუქმდება მიმდინარე ბუღალტერიაში დასმული ყველა სასტარტო ნაშთი. ჩვენს შემთხვევაში დააჭიროთ No - ს და დახურეთ სისტემის პარამეტრების ეკრანი Cancel - ის საშუალებით.


დავუბრუნდეთ ანგარიშთა გეგმას. როგორც ეკრანზე ხედავთ, ანგარიშთა გეგმა გაშლილია, ანუ ჩანს ყველა დონის ანგარიში. იმ შემთხვევაში თუ თქვენთვის მოსახერხებელი იქნება მხოლოდ პირველი ან მეორე დონის ანგარიშების ხილვა, ამისათვის, პროგრამაში არსებობს ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შეკუმშვისა და გაშლის საშუალებები.


რაც შეიძლება ორი გზით განხორციელდეს: 1. ისარგებლოთ ანგარიშების წინ მოთავსებული ნიშნებით: “+” ან “-”. 2. ლილავით -  “ანგარიშების ხის შეკუმშვა F10”, რომლის არჩევის შემდეგ იხილავთ ეკრანს:





როგორც ხედავთ პირველ ველში “ანგარიშის შეკუმშვის დონე” ზის ციფრი - 0. აგრეთვე, ყველა დანარჩენი ველიც მონიშნულია. რაც ნიშნავს, რომ ანგარიშთა გეგმა გაშლილია და ჩანს ყველა სახეობის ანგარიშები. პირველ ველში უნდა შეიტანოთ ის ციფრი, რომელ დონემდეც გინდათ იხილოთ ანგარიშთა გეგმა. მაგალითად, თუ ჩანერთ 1 - ს და დააჭერთ OK - ს, ეკრანზე გამოჩნდება მხოლოდ პირველი დონის ანგარიშები:








კვლავ აირჩიეთ ლილავი - . იხილავთ ნაცნობ ეკრანს, სადაც პირველ ველში ჩანერთ - 0 და მაგალითისთვის გადანიშნეთ ველი “ვაჩვენოთ ბანკის ანგარიშები”. ეკრანზე იხილავთ გაშლილი სახის ანგარიშთა გეგმას, მაგრამ არ გამოჩნდება მხოლოდ ბანკის სახეობის ანგარიშები:




ესლა განვიხილოთ, როგორ შეიძლება არასაჭირო ანგარიშის წაშლა. ასეთი ანგარიშების წასაშლელად უნდა მონიშნოთ ეს (არასაჭირო) ანგარიში და ისარგებლოთ ლილავით -  “წაშლა Delete”. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ თუ წასაშლელ ანგარიშზე შესრულებულია საბუღალტრო გატარება ან დასმულია სასტარტო ნაშთი, პროგრამა არ მოგცემთ ასეთი ანგარიშის წაშლის უფლებას. მაგალითად, თუ შეცვდებით ანგარიშის 1210 4 ნაშლას, ეკრანზე იხილავთ შეტყობინებას:




აქედან გამომდინარე, ანგარიშის წასაშლელად ჯერ უნდა გააუქმოთ (წაშლოთ) მასზე შესრულებული ყველა ოპერაცია და შემდეგ წაშლოთ იგი შესაბამისი ლილავით.

ესლა განვიხილოთ ანგარიშთა გეგმის ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე არსებული ლილავები. ზოგიერთი მათგანი ჩვენ უკვე განვიხილეთ, ესენია:  - დამატება Ins,  - კორექტირება F2,  - წაშლა Delete,  - ანგარიშების ხის შეკუმშვა F10,  - ძიება F5. განვიხილოთ დანარჩენებიც.

 - “მონიშნული ველების ჯამი”, რომელიც როგორც ლილავის დასახელებიდან გამომდინარეობს გაჩვენებთ მონიშნული ველების რიცხვების ჯამს. ხოლო ველების მონიშვნა პროგრამაში ხდება სტანდარტულად როგორც Windows - ში ანუ Ctrl+A - თი მონიშნავთ

ეკრანზე არსებულ ყველა ჩანაწერს, ხოლო **Ctrl** ან **Shift** ლილაკების გამოყენებით რალაც ნაწილს. ამასთან, **Shift** ლილაკით შეიძლება ერთი მთლიანი პორციის მონიშვნა. მაგალითად, ანგარიშთა გეგმაში გინდათ მონიშნოთ 1110 - დან 1220 - მდე ყველა ანგარიში. ამისათვის, უნდა დადგეთ კურსორით (მონიშნოთ) ერთ-ერთ მაგ., 1110 ანგარიშზე, შემდეგ კლავიატურაზე დააჭიროთ **Shift** ლილაკს და მასზე ხელის აუღებლად “თავი” - თ მონიშნეთ მეორე ანგარიში - 1220. დაინახავთ, რომ ამ ანგარიშებთან ერთად მონიშნება მათ შორის მოთავსებული ყველა ანგარიშიც. ხოლო **Ctrl** ლილაკით შესაძლებელია გაბნეულად სხვადასხვა ჩანაწერის მონიშვნა. მაგალითად, თუ გინდათ უკვე მონიშნულ პორციასთან ერთად კიდევ 1290 და 1320 ანგარიშების მონიშვნა. ამისათვის, უნდა დააჭიროთ **Ctrl** ლილაკს და მასზე ხელის აუღებლად “თავი” - თ მონიშნოთ სასურველი ანგარიშები. ამ ოპერაციების ჩატარების შემდეგ ეკრანზე იხილავთ შემდეგ მონიშნულ ველებს:


ანგარიში	ტიპი	ფასობრება	დენარი	კოდეფი	ფუნქცია	კოდეფი	პარობა
1000	ანგ	მონიშნული პარობები	7,000.00	კოდეფი	ფუნქცია	კოდეფი	
1100	ანგ	საპროცენტო ხარჯები	1,000.00				
1110	ანგ	საპროცენტო ხარჯები	1,000.00				
1120	ანგ	საპროცენტო ხარჯები	1,000.00				
1200	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1210	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1210 2	ანგ	123456789 - მონიშნული	4,000.00				
1210 4	ანგ	456789123 - მონიშნული	2,000.00				
1220	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1230	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1290	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1300	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1310	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1320	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1330	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				
1390	ანგ	მონიშნული პარობები	6,000.00				


ხოლო თუ დააჭერთ ლილაკს - . იხილავთ ეკრანს:

საბუღალტრო მონიშვნა	ჯამი
დებიტო	19,000.000
კრედიტო	19,000.000
დებიტო	
კრედიტო	


ანუ პროგრამამ შეაჯამა მონიშნული ველების მნიშვნელობები.

ეკრანის დასახურად დააჭიროთ **OK** ლილაკზე.

 - “ბეჭდვა”, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ დაბეჭდოთ ანგარიშთა გეგმა. თუ დააჭერთ ამ ლილაკს ეკრანზე იხილავთ:



როგორც ხედავთ მონიშნულია ველი “სტანდარტული”. რაც ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში დაიბეჭდება სტანდარტული ანგარიშთა გეგმა, ხოლო თუ მონიშნავთ მეორე ველს “ეკრანზე არსებული”. ამ შემთხვევაში დაიბეჭდება ანგარიშთა გეგმა ყველა იმ ველით რომელსაც ხედავთ ეკრანზე. დატოვებთ მონიშნული ველი “სტანდარტული” და დააჭიროთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ :




სადაც მონიშნულია ველები “პრინტერზე” და “ყველა”, რაც ნიშნავს, რომ დაიბეჭდება სრული ანგარიშთა გეგმა. თუ თქვენ გინდათ, რომ ჯერ ეკრანზე იხილოთ დასაბეჭდი ანგარიშთა გეგმა, ხოლო მოგვიანებით დაბეჭდოთ, მაშინ უნდა მონიშნოთ ველი “ეკრანზე”. ხოლო თუ გსურთ არასრული ანგარიშთა გეგმის დაბეჭდვა, მაშინ ანგარიშთა გეგმაში ჯერ უნდა მონიშნოთ სასურველი ანგარიშები და შემდეგ ამ ეკრანზე აირჩიოთ ველი “მონიშნული”. აქვე ეკრანის ქვედა ნაწილში არის ველი “კომპიუტერის რაოდენობა”, სადაც უნდა მიუთითოთ ის ციფრი, რამდენ ეგზემპლარადაც გინდათ ანგარიშთა გეგმის დაბეჭდვა. ჩვენი შემთხვევისთვის მონიშნეთ ველი “ეკრანზე”, ხოლო დანარჩენი ველები დატოვებთ უცვლელი და დააჭიროთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ ანგარიშთა გეგმას იმ სახით, რა სახითაც დაიბეჭდება პრინტერზე:


ანგარიში	ტიპი	დასაბუთება	სატარაპო რაოდენობა	
			ფაბრიკა / ნაწი	კაპიტალიზაცია
1000	პატ	ფინანსური პარამეტრი		7,000.00
1100	პატ	საბუნებისუნარი		1,000.00
1110	პატ	საბუნებისუნარი		1,000.00
1120	პატ	საბუნებისუნარი		1,000.00
1200	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1210	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1220	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1230	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1240	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1250	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1300	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1310	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1320	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1330	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1340	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1350	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1360	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1400	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1410	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1415	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1420	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1430	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1430 0001	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1440	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00
1450	პატ	ფულადი სახსრების მართვა		6,000.00

თუ გსურთ დაბეჭდვა დააჭირეთ ღილაკს - . ხოლო ბეჭდვის გარეშე ამ ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ ღილაკს - .

- “ექსპორტი”, რომლის არჩევს შემთხვევაში ეკრანზე იხილავთ:



პროგრამა გაძლევთ საშუალებას გაექსპორტოთ ინფორმაცია სამ სხვადასხვა ფორმატში, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევას შესძლებთ პირველ ველში “ექსპორტის ფაილის ფორმატი” ღილაკის - საშუალებით:




როგორც ეკრანზე ხედავთ ეს ფორმატებია: 1. Excel - ის (\*.xls), ანუ თქვენ შეგიძლიათ გაიტანოთ სასურველი ინფორმაცია Excel - ში და იქ გააგრძელოთ მისი დამუშავება. ზოგიერთი ბუღალტრისთვის მონაცემების შემდგომი დამუშავება Excel - ში შეიძლება უფრო

მოსახერხებელი აღმოჩნდეს. ამიტომ, პროგრამის კავშირი Excel - თან აუცილებელი მომენტი. 2. ტექსტური (\*.txt), რომლის არჩევს შემთხვევაში ინფორმაცია გაექსპორტდება ტექსტურ ფორმატში. ეს ფორმატი შეიძლება გამოიყენოთ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე დანტერესებული ორგანიზაცია თქვენს ფინანსურ მონაცემებს მოითხოვს ელექტრონულ ფორმატში. 3. პროგრამის სპეციალური ფორმატი (\*.CSV), რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ საჭიროა პროგრამიდან ექსპორტირებული ინფორმაციის მიღება იმპორტით. მაგალითად, ინფორმაციის (გატარებები, საქონელი, კადრები და ა.შ.) გადატანა ერთი ბუღალტერიიდან მეორეში. ეს შემთხვევა დაწვრილებით განხილულია მე-5 თავში “საბუღალტრო გატარებები”.


ჩვენი მაგალითისთვის აირჩიეთ Excel - ის ფორმატი. მეორე ველში “ექსპორტის ფაილი” მითითებულია გასატანი ინფორმაციის ფაილის დასახელება და მარშრუტი: C:\ORIS\Export.xls. ამ ჩანაწერიდან გამომდინარეობს, რომ ექსპორტირებული ანგარიშთა გეგმა შეინახება C - ზე ORIS - ის საქალაქო დირექტორიაში დასახელებით - Export. თუმცა თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი მარშრუტი და ფაილსაც დაარქვათ სასურველი დასახელება. ჩვენი მაგალითისთვის დატოვეთ ჩანაწერი უცვლელად და დააჭირეთ OK - ს. იხილავთ Excel - ის სტანდარტულ ეკრანს, სადაც უკვე გატანილი იქნება ანგარიშთა გეგმა:


ანგარიში	ტიპი	დასაბუთება	ფაბრიკა / ნაწი	კაპიტალიზაცია	ფინანსური პარამეტრი	ფულადი სახსრების მართვა	ფულადი სახსრების მართვა	ფულადი სახსრების მართვა	ფულადი სახსრების მართვა	ფულადი სახსრების მართვა	ფულადი სახსრების მართვა
2	1000	პატ	809806არ	7000	0	7000	0	0	0	0	0
3	1100	პატ	5ალლი ფლ	1000	0	1000	0	0	0	0	0
4	1110	პატ	5ალლი ფლ	1000	0	1000	0	0	0	0	0
5	1120	პატ	5ალლი ფლ	0	0	0	0	0	0	0	0
6	1200	პატ	ფული საზ	8000	0	8000	0	0	0	0	0
7	1210	პატ	არონს ული	8000	0	8000	0	0	0	0	0
8	1210 3	პატ	123456789	4000	0	4000	0	0	0	0	0
9	1210 4	პატ	456789123	2000	0	2000	0	0	0	0	0
10	1220	პატ	უმწირობი	0	0	0	0	0	0	0	0
11	1230	პატ	უმწირობი	0	0	0	0	0	0	0	0


დახურეთ ეს ეკრანი ღილაკით - . შემდეგ შეკითხვაზე უპასუხეთ “Yes”. დაბრუნდებით პროგრამაში, სადაც პატარა ეკრანზე -




დააჭირეთ Cancel - ს.

 - “სიის აწყობა F11”. ამ ღილაკს პროგრამის სხვა ეკრანებში (მაგალითად, გატარებები) უფრო დიდი ფუნქცია ეკისრება და დაწვრილებით განვიხილავთ მე-5 თავში “საბუღალტრო გატარებები”. ხოლო ანგარიშთა გეგმის ეკრანში, თუ აირჩევთ ამ ღილაკს, საშუალება მოგეცემათ შეცვალოთ სტრიქონის სიმაღლე:



 - ღილაკების გამოყენებით შეგიძლიათ გაზარდოთ ან შეამციროთ სტრიქონის სიმაღლე. დახურეთ ეს ეკრანი.

 - “ეკრანის განახლება F9”. ეს ღილაკი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ეკრანზე მაშინვე არ აისახება.

ამით დასრულდა ღილაკების აღწერა. აქვე შევნიშნავთ, რომ ყველა ზემოთ განხილულ ღილაკს, პროგრამის სხვა ეკრანებშიც იგივე ფუნქცია ეკისრებათ. ამიტომ, მომდევნო თავებში მათ აღარ განვიხილავთ.

## თავი 4

### საოპერაციო და ანალიზური პერიოდები

პროგრამაში არსებობს საოპერაციო და ანალიზური პერიოდები, რომლებიც უნდა დაყენდეს საბუღალტრო ოპერაციების დაწყებამდე. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.


#### საოპერაციო პერიოდი

საოპერაციო პერიოდი, როგორც სათაურიდან გამომდინარეობს, არის ის პერიოდი, რომელშიც უშუალოდ გვინდა საბუღალტრო ოპერაციების შესრულება (გატარების დამატება, არსებულის კორექტირება, წაშლა და ა.შ.). ანუ საბუღალტრო ოპერაციის (გატარების) თარიღი უნდა ხვდებოდეს საოპერაციო პერიოდის დიაპაზონში. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა არ მოგცემთ ამ ოპერაციის შესრულების საშუალებას.


პერიოდის დასაყენებლად უნდა აირჩიოთ ძირითადი მენიუს ქვეშე მოთავსებული ლილავი - 


ანალიზური პერიოდი	1.01.2006 - 1.01.2007
საოპერაციო პერიოდი	2.01.2006 - 1.01.2007


 იხილავთ ეკრანს:





სადაც ხედავთ ანალიზური პერიოდის ბარათს, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ. ხოლო საოპერაციო პერიოდის დასაყენებლად უნდა აირჩიოთ ბარათი "საოპერაციო პერიოდი". ეკრანზე იხილავთ დღის რჩევას:






ყურადღებით გაცნობთ ამ ინფორმაციას. თუ გინდათ, რომ მომავალში აღარ გამოვიდეს ეს ეკრანი, მონიშნეთ ველი "აღარ გამოვიყენო ეს შეტყობინება" და დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:






როგორც ეკრანზე ხედავთ, პერიოდის პირველი თარიღი გაუფერულებულია და ავტომატურად ზის ის რიცხვი, რომელიც დააყენეთ სასტარტო ნაშთების ეკრანში, ნაშთების დასმის დროს. ანუ საოპერაციო პერიოდის პირველი თარიღი სასტარტო ნაშთების თარიღის იდენტურია და იცვლება მის შესაბამისად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ ვერ შესძლებთ საოპერაციო პერიოდის პირველი თარიღის შეცვლას ამ ეკრანში. ხოლო პერიოდის მეორე თარიღის შეცვლას შესძლებთ ღილაკებით -  ან , რომლებითაც შეგიძლიათ დააყენოთ თქვენთვის სასურველი თარიღი. გაითვალისწინეთ, რომ პროგრამაში ვერ შესძლებთ საბუღალტრო ოპერაციების შესრულებას ისეთი თარიღით, რომელიც არ შედის თქვენს მიერ დაყენებულ საოპერაციო პერიოდში. მაგალითად, თუ საოპერაციო პერიოდი გაქვთ მხოლოდ იანვრის თვე 1.02.2006-მდე, მაშინ შეუძლებელი იქნება ოპერაციების შესრულება დეკემბრის ან თებერვლის თარიღით.

პროგრამაში გარკვეული საბუღალტრო ოპერაციების შესრულების შემდეგ, გეძლევათ საშუალება დახუროთ ესა თუ ის საოპერაციო პერიოდი. ეს სასარგებლო (მაგრამ არა აუცილებელი) საშუალებაა ბევრი ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც რამოდენიმე წელია იყენებენ პროგრამა "ორის-ბუღალტერია" - ს და სურთ წინა წლების ან სხვა გარკვეული საოპერაციო პერიოდების დახურვა, რათა თავიდან აიცილონ უნებლიე (ან განზრახ) შეცდომები. აგრეთვე, პროგრამა თქვენს მიერ დაყენებული საოპერაციო პერიოდის მიხედვით ანარმობს ნაშთების და ბრუნვების გადათვლას. ამიტომ, რაც უფრო დიდი მონაცემთა ბაზა გექნება და შესაბამისად დიდი საოპერაციო პერიოდი, პროგრამა მით მეტ დროს მოანდომებს ნაშთების, ბრუნვების და ა.შ. გამოტანას ეკრანზე. ამასთან, საკურსო სხვაობის ოპერაციაც (იხ. თავი №1 "ვალუტა და საკურსო სხვაობა") სრულდება მთელი საოპერაციო პერიოდისთვის, ამიტომ თუ თქვენ არ გინდათ, რომ ეს ოპერაცია შეეხოს გარკვეულ პერიოდში შესრულებულ გატარებებს, საჭიროა დახუროთ ეს პერიოდი.


მაგალითისთვის დახუროთ ეკრანზე არჩეული დიაპაზონი. ამისათვის, დააჭირეთ ღილაკს -  , რომელზეც ასახულია არჩეული საოპერაციო პერიოდი. ეს თარიღები ავტომატურად იცვლება საოპერაციო პერიოდის შეცვლასთან ერთად. იხილავთ გაფრთხილების ეკრანს:




სადაც დააჭირეთ **OK** - ს. შემდეგ კი კვლავ აირჩიეთ ღილაკი -  . იხილავთ ეკრანს:



დააჭირეთ **OK** - ს. პროცესის დასრულების შემდეგ ეკრანზე იხილავთ:



როგორც ხედავთ ველში “დახურული პერიოდები” გაჩნდა პერიოდი: 2.01.2006 - 1.01.2007, ხოლო საოპერაციო პერიოდის პირველ თარიღში ავტომატურად ჩაჯდა 1.01.2007, ანუ დახურული პერიოდის ბოლო თარიღი, რაც ნიშნავს, რომ საბუღალტრო ოპერაციების შესრულება შეგეძლებათ ამ თარიღიდან. აგრეთვე, ეკრანზე ხედავთ, რომ გააქტიურდა ლილავი - **დახურული პერიოდები**, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში (გამოგრჩათ რომელიმე გატარების შესრულება, საჭირო გახდა გატარების კორექტირება ან ზედმეტი გატარების წაშლა) გახსნათ დახურული საოპერაციო პერიოდი, რადგანაც, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ თქვენ ვერ შესძლებთ დახურულ საოპერაციო პერიოდში ოპერაციების შესრულებას, კორექტირებას და წაშლას. თუ თქვენ შეეცდებით შეასრულოთ რაიმე საბუღალტრო ოპერაცია ისეთი თარიღით, რომელიც არ შედის საოპერაციო პერიოდში გამოვა შეტყობინება:




დახურული პერიოდის გახსნას შესძლებთ, თუ შესაბამის ველში მონიშნავთ დახურულ დიაპაზონს, ჩვენს შემთხვევაში ეს არის 2.01.2006 - 1.01.2007 და დააჭერთ ლილავს - **დახურული პერიოდები**.

გაითვალისწინეთ, რომ თუ გაქვთ რამოდენიმე დახურული პერიოდი, მაგალითად, სამი და გინდათ პირველი დახურული პერიოდის გახსნა, ჯერ უნდა გახსნათ მესამე, შემდეგ მეორე და ბოლოს პირველი (ანუ ბოლო დახურული პერიოდიდან მოყოლებული იქამდე, რომელშიც გჭირდებათ ცვლილებების შეტანა).

## ანალიზური პერიოდი

ანალიზური პერიოდი გამოიყენება უკვე შესრულებული საბუღალტრო ოპერაციების ანალიზისთვის, ნებისმიერი პერიოდისათვის, რომელიც მოიცავს დახურულ საოპერაციო პერიოდებსაც. ანუ პროგრამა მიუხედავად დახურული საოპერაციო პერიოდებისა, ანალიზური პერიოდის მიხედვით გაჩვენებთ ეკრანზე საბუღალტრო ოპერაციებს და მათგან გამომდინარე შედეგებს, რათა შესძლოთ გარკვეული ანალიზის ჩატარება ამ პერიოდის მონაცემებზე. ოღონდ, თუ ოპერაცია (გატარება) შედის დახურულ საოპერაციო პერიოდში, ვერ შესძლებთ მასზე ზემოქმედებას.


ანალიზური პერიოდის ცვლილებას შესძლებთ ლილავით - **ანალიზური პერიოდი** 1.01.2006 - 1.01.2007, რომლის არჩევს შემდეგ იხილავთ ეკრანს:



მოცემულ ეკრანზე შეგიძლიათ მონიშნოთ ნებისმიერი პერიოდი. რის შემდეგაც პროგრამა გაჩვენებთ ამ პერიოდში შესრულებულ გატარებებს და შესაბამისად ამ გატარებებიდან გამომდინარე ნაშთებს, ბრუნვებს და ა.შ. მაგალითად, თუ მონიშნავთ იანვრის თვეს, მაშინ გატარებების ეკრანზე გამოჩნდება მხოლოდ იანვრის თვის თარიღებით შესრულებული გატარებები და შესაბამისად საბოლოო შედეგებიც (ნაშთები, ბრუნვები, ანგარიშის ბარათი და ა.შ.) გექნებათ ამ გატარებებიდან გამომდინარე.

ანალიზურ პერიოდს აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. გამომავალი (RL) დოკუმენტების ფორმირებისთვის. ავტომატურად აწყობილი

ასეთი დოკუმენტების უმეტესობა ანგარიშებიდან იღებს მნიშვნელობებს სწორედ ანალიზური პერიოდის დიაპაზონში.

ზემოთ მოცემულ ეკრანზე OK და Cancel - ის გასწვრივ არის ლილაკი -  “დიაპაზონში ბრუნების ხელახალი გადათვლა”, რომელსაც შემდეგი დანიშნულება აქვს: თუ თქვენს მიერ რომელიმე ანალიზური პერიოდისთვის, ეკრანზე არაკორექტულად ჩანს გატარებების შესაბამისი შედეგები, მაშინ უნდა დააჭიროთ ამ ლილაკს და იგი პროგრამას თავიდან გადაათვლევენებს ბრუნებს მოცემულ დიაპაზონში. რის შემდეგაც ეკრანზე გამოტანილი უზუსტობები გამოსწორდება.

საოპერაციო პერიოდის დაყენების შემდეგ პროგრამაში შესაძლებელია საბუღალტრო ოპერაციების შესრულება. რასაც განვიხილავთ მომდევნო თავში.

## თავი 5

### საბუღალტრო გაგარებები

პროგრამაში საბუღალტრო გაგარებების შესასრულებლად უნდა გამოიძახოთ გაგარებების ეკრანი. ამას მოახერხებთ სამი გზით:


1. ძირითადი მენიუდან “ოპერაციები” აირჩიეთ ქვემენიუ “გატარებები”:



2. ძირითადი ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე აირჩიეთ ლილავი

-  “გატარებები”.

3. კლავიატურაზე აკრიფეთ ლილავების კომბინაცია **Ctrl+2**.  
სამივე შემთხვევაში მიიღებთ ერთი და იგივე ეკრანს:



მოცემულ ეკრანში შეიძლება ნებისმიერი შინაარსის საბუღალტრო გაგარების შესრულება, ხოლო შემდეგ მათზე მანიპულირება (კორექტირება, წაშლა, დუბლირება, ბეჭდვა, გაფილტვრა ან დალაგება რაიმე კომპონენტების მიხედვით და ა.შ.).

პროგრამაში გარდა ამ ეკრანისა საბუღალტრო ოპერაციების (ხელფასის, ოპერაციები ძირითად საშუალებებზე, პირველად დოკუმენტ-


ბზე, ანყობილი სამეურნეო ოპერაციებით, რომლებსაც მომავალში განვიხილავთ) შესრულება შესაძლებელია სხვა ეკრანებშიც, მაგრამ საბოლოოდ ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერი ხერხით შესრულებული ყველა გატარება თავს იყრის ამ ეკრანში.


პროგრამაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის გატარებების შესრულება: **ფინანსური, სასაქონლო (რაოდენობრივი) და სავალუტო.** განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

### ფინანსური გატარება

მაგალითისთვის შევასრულოთ შემდეგი გატარება:

დოკ.N	დღეეჭო	კრედიტო	თანხა	საფუძველი
1	1110	1430	70 GEL	შემოტანილია ანგარიშგაღ. პირის მიერ



ყოველი ახალი გატარების დამატებას შესძლებთ თუ მოცემულ ეკრანში აირჩევთ ღილაკს -  "დამატება" ან კლავიატურაზე დააჭერთ Insert - ს. იხილავთ ეკრანს:



რომელიც შემდეგი წესით უნდა შეივსოს:


**დოკუმენტის N** - იმ დოკუმენტის ნომერი, რომელიც თან ახლავს ამ გატარებას. ეს შეიძლება იყოს სალაროს შემოსავლის ან გასავლის ორდერის, საგადასახადო დავალების, ანგარიშ-ფაქტურის და ა.შ. ნომერი. მოცემულ შემთხვევაში ეს არის სალაროს შემოსავლის ორდერის ნომერი. ავრიფეთ ამ ველში - 1.


**დაუკავშიროთ დოკ.** - ამ ველს დანვრილებით განვიხილავთ ქვეთავში "პირველადი დოკუმენტების გაძლოა". მოცემულ შემთხვევაში გამოტოვეთ ეს ველი.


**თარიღი** - ოპერაციის შესრულების თარიღი შეიძლება ნებისმიერი იყოს თუ იგი ხვდება საოპერაციო პერიოდის დიაპაზონში. ყოველი ახალი გატარების დამატებისას ამ ველში ავტომატურად ჯდება კომპიუტერის მიმდინარე თარიღი. იგი შეგიძლიათ შეცვალოთ ღილაკების -  ან  საშუალებით ან აკრიფოთ ხელით შესაბამის უჯრაში. მოცემულ შემთხვევაში დატოვეთ ეკრანზე გამოტანილი თარიღი.

**პროექტი** - პროგრამის საშუალებით შეგიძლიათ გატარებები შეასრულოთ სხვადასხვა პროექტით. პროექტების დანიშნულება განხილულია მე-8 თავში "პროექტები". მოცემულ შემთხვევაში დატოვეთ მითითებული პროექტი - **მთ.წიგნი**.


**მემორიალი** - თუ გსურთ მემორიალების წარმოება, მაშინ ამ ველში უნდა მიუთითოთ გატარების შესაბამისი მემორიალის ნომერი. შემდგომში პროგრამა ავტომატურად დააფორმირებს ყველა მემორიალს. მთავარია, ყოველი გატარების დამატების დროს მითითებული იქნას შესაბამისი ნომერი. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში სალაროსთან დაკავშირებულ ყველა გატარებას მივაკუთვნოთ მემორიალი ნომრით - 1.

**სადებეტო ანგარიში** - უნდა შევიდეს გატარების სადებეტო ანგარიშის ნომერი. მოცემულ შემთხვევაში ეს არის 1110, რომელიც შეგიძლიათ აკრიფოთ ხელით ან ამ ველის გასწვრივ დააჭიროთ ღილაკს - . რის შემდეგაც იხილავთ ანგარიშთა გეგმას სადაც აირჩიეთ სასურველი ანგარიში.



**საკრედიტო ანგარიში** - უნდა შევიდეს გატარების საკრედიტო ანგარიშის ნომერი. მოცემულ შემთხვევაში ეს არის 1430, რომელიც აკრიფეთ ხელით და შემდეგ დააჭიროთ ღილაკს - . ეკრანზე იხილავთ არა მთელ ანგარიშთა გეგმას, არამედ მხოლოდ 1430 - ში შემავალ ქვევანგარიშებს:







ანგარიშის მითითების ასეთი მეთოდი მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, როცა ზეპირად არ გახსოვთ სრული ანგარიშის ნომერი, ხოლო პირდაპირ



ლილავის -  არჩევით პროგრამა გაგიყვანთ მთლიან ანგარიშთა გეგმაზე და საჭირო ანგარიშის ძიება მოგიწევთ მთელ ანგარიშთა გეგმაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ პროგრამა არ მოგცემთ არასწორი ან არასრული ანგარიშის შეტანის საშუალებას. ყოველთვის გადაგიყვანთ ანგარიშთა გეგმაში, რათა აირჩიოთ სწორი ანგარიშის ნომერი.

მოცემულ შემთხვევაში აირჩიეთ ანგარიში 1430 0001 (რომელიც გავსენით მე-2 თავში თანამშრომლის სახეობის ანგარიშების განხილვის დროს).

**თანხა** - უნდა შეიტანოთ გატარების თანხა. მოცემულ შემთხვევაში აკრეფეთ - 70. ამ ველის გვერდით მოთავსებულია კალკულატორი, რომლითაც გატარების შესრულების დროს, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოთვლების ჩატარება და გამოთვლილი თანხის ავტომატურად გადმოტანა თანხის ველში ლილავით - . აგრეთვე, ამ ველის გვერდით შესაძლებელია ვალუტის არჩევა. ავტომატურად ზის ორგანიზაციის გახსნის დროს თქვენს მიერ არჩეული საბაზო ვალუტა (განვიხილოთ მე-2 თავში “ახალი ორგანიზაციის შექმნა”). საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მისი ცვლილება ლილავის -  საშუალებით. სავალუტო გატარებები განხილულია ქვეთავში “სავალუტო გატარება”. მოცემულ შემთხვევაში დატოვეთ ქართული ლარის შესაბამისი აბრევიატურა - GEL.


**საფუძველი** - უნდა შეიტანოთ გატარების შინაარსი. როგორც ეკრანზე ხედავთ, ველის მარცხნივ ზის ნიშანი -  , რაც გულისხმობს, რომ საფუძვლის ველი გამოტანილია ეკრანზე. თუ თქვენთვის არ არის მნიშვნელოვანი გატარებების შესრულების დროს საფუძვლის მითითება, მაშინ შეგიძლიათ გადანიშნოთ ეს ველი, ზემოთ აღნიშნულ ნიშანზე “თავი” - ს მარცხენა ლილავის დაჭერით, რის შემდეგაც საფუძვლის ველი აღარ გამოჩნდება გატარების ეკრანზე, ხოლო მის წინ მოთავსებული ნიშანი მიიღებს ფორმას -  . საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ კვლავ გამოაჩინოთ საფუძვლის ველი, მის წინ მოთავსებულ ნიშანზე -  “თავი” - ს მარცხენა ლილავის დაჭერით. იმ შემთხვევაში თუ თქვენ გატარებების დამატებისას საფუძველში ხშირად უთითებთ ერთი და იგივე ტექსტს, მაშინ შეგიძლიათ გამოიყენოთ საფუძვლის ველის მარჯვნივ მოთავსებული ლილავი -  , რომლის არჩევის შემდეგ იხილავთ ეკრანს:





ამ ეკრანში შეგიძლიათ დაამატოთ სასურველი ტექსტები (საფუძვლის შინაარსი) და შემდეგში აირჩიოთ ნებისმიერი გატარების დამატების დროს. ყოველი ახალი ტექსტის დასამატებლად ისარგებლეთ დამატების ლილავით -  , გამოვა ეკრანი სადაც ჩვენი შემთხვევისთვის აკრეფეთ - “შემოტანილი ანგარიშვალდებული პირის მიერ” და დაასრულეთ ტექსტის აკრეფა OK - ზე დაჭერით, ხოლო შემდეგ აირჩიეთ იგი ლილავით -  . დაინახავთ, რომ აღნიშნული ტექსტი ჩაჯდება საფუძვლის ველში.

**ანალიზური ველი** - ეს ველი შეგიძლიათ გამოიყენოთ იმ შემთხვევაში თუ გარკვეული ტიპის გატარებებს გსურთ, რომ მიანიჭოთ გარკვეული კატეგორიები, მაგალითად, შემოსავლების და ხარჯების კატეგორიები (დანვრილებით განხილულია მე-6 თავში “კონტროლის და ანალიზის ინსტრუმენტები”).


**ბეჭდვა** - ეს ველი უნდა მონიშნოს (მონიშვნა ხდება ზუსტად იგივენაირად, როგორც განვიხილეთ საფუძვლის ველის განხილვისას) იმ შემთხვევაში, როდესაც გინდათ გატარების შესრულებასთან ერთად დაიბეჭდოს შესაბამისი დოკუმენტი. მაგალითად, მოცემული შემთხვევისთვის ეს არის სალაროს შემოსავლის ორდერი. ველის მონიშვნის შემდეგ გატარების დამატების ეკრანს ექნება შემდეგი სახე:




როგორც ხედავთ, გამოჩნდა ველი “დოკუმენტის ფორმა”, სადაც უნდა აირჩიოთ დასაბეჭდი დოკუმენტის ფორმა. პროგრამაში არის გამზადებული პირველადი დოკუმენტები (სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერები, საგადასახადო დავალება და ა.შ.), რომელთაგან შესაბამის ველში ერთ-ერთის არჩევის შემდეგ პროგრამა ავტომატურად შეავსებს დოკუმენტისთვის საჭირო ინფორმაციას გატარებიდან გამოდინარე. ხოლო საჭირო დოკუმენტის არჩევას შესძლებთ ველის გასწვრივ მოთავსებული ლილავით - . იხილავთ ეკრანს:




პროგრამაში გამზადებული დოკუმენტები ინახება საქალაქებში **Pirveladi formebi** და **Saboloo formebi**. მოცემული შემთხვევისთვის საჭირო დოკუმენტი არის საქალაქში **Pirveladi formebi**. გახსენით იგი, იხილავთ ეკრანს:



ამ ეკრანში გახსენით საქალაქე **Shevsebuli**, რაც გულისხმობს, რომ ამ საქალაქეში მოთავსებულია ავტომატზე აწყობილი დოკუმენტები (რომლებიც ავტომატურად ივსება ოპერაციის მონაცემების მიხედვით). იხილავთ ეკრანს:



ეკრანზე მოცემული დოკუმენტებიდან მონიშნეთ **Salaros shemosavlis orderi.rl** და დაჭირეთ ლილავს - “Open” ან მონიშნულ ჩანაწერს ორჯერ “თაგვი” - ს მარცხენა ლილავით. დანახავთ, რომ თქვენს მიერ არჩეული დოკუმენტის ფორმა ჩაჯდება შესაბამის ველში:




როგორც ეკრანზე ხედავთ ავტომატურად მონიშნულია ველი “ეკრანზე”, რაც ნიშნავს, რომ გატარების შესრულების შემდეგ დასაბეჭდი დოკუმენტს ჯერ იხილავთ ეკრანზე, ხოლო შემდეგ სურვილის მიხედვით შესძლებთ დაბეჭდვას.



**დადასტურებული** - თუ მონიშნავთ ამ ველს, გატარების შესრულების შემდეგ პროგრამის სხვა მომხმარებელი (მომხმარებლების დამატება და მათზე უფლებების განაწილება განხილულია მე-14 თავში) ველარ შესძლებს ამ გატარებაში ვერანაირი კორექტირების შეტანას და ვერც წაშლას, მანამდე სანამ თქვენ თვითონ არ გააკორექტირებთ მას და მოუხსნით

(გადანიშნავთ) დასტურს.

**გადადებული** - თუ მონიშნავთ ამ ველს, გატარების შესრულების შემდეგ, იგი დაემატება გატარებების ეკრანში, მაგრამ არ აისახება შედეგებში (ნაშთებში, ბრუნვებში და ა.შ.), სანამ არ გააოროექტირებთ მას და არ მოუხსნით (გადანიშნავთ) გადადებულობას.

დაასრულეთ გატარების დამატება  -ლილავის საშუალებით.

ეკრანზე იხილავთ სალაროს შემოსავლის ორდერს, შევსებულს გატარების მონაცემების მიხედვით:

თუ გინდათ დოკუმენტის დაბეჭდვა უნდა დააჭიროთ ლილავს - . ხოლო ბეჭდვის გარეშე ამ ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭიროთ ლილავს - . ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებას:


ეკრანის ქვედა ნაწილში გამოტანილ ფანჯარაში ჩანს გატარების თანხა და ვალუტა. გატარების თანხა იმიტომ მეორდება, რომ ჯერ მხოლოდ ერთი გატარებაა შესრულებული. ყოველი ახალი გატარების დამატების შემდეგ ამ ფანჯარაში აიჯამება გატარებების თანხები ვალუტების მიხედვით. ხოლო მის გვერდით შესაბამის ველში აისახება ეკრანზე გამოტანილი გატარებების რაოდენობა.


**სასაქონლო გატარება**

მაგალითისთვის შევასრულოთ შემდეგი ოპერაცია:  
დავუშვათ ორგანიზაციამ თანხის შემდგომი გადახდით მიმწოდებლისგან შეიძინა 4 ყუთი ფაქსის ქალაღი 188.80 ლარად და 3 ცალი პრინტერი 2832 ლარად დღგ - ს ჩათვლით. ამ ოპერაციის შესასრულებლად უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:


დოკ. N	დებიტი	კრედიტი	თანხა	რაოდენობა	საფუძველი
2	1610	3110	160 GEL	4 ყუთი	შექნილია მომწოდებლისგან ფაქსის ქალაღი
2	1610	3110	2400 GEL	3 ცალი	შექნილია მომწოდებლისგან პრინტერი
2	3340	3110	460.80 GEL		დოკ. N2; დღგ

ამ გატარებების შესასრულებლად გატარებების ეკრანში დაამატეთ ახალი გატარება და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

შემდეგ ველში "სადებეტო ანგარიში" ავრჩევთ 1610 და დააჭიროთ მის გასწვრივ მოთავსებულ ლილავს - . ეკრანზე იხილავთ 1610-ზე გახსნილ ქვეანგარიშებს:




როგორც ხედავთ შესაძენი საქონელი - ფაქსის ქალაქი ანგარიშთა გეგმაში უკვე გახსნილია (გავხსენით მე-3 თავში სასაქონლო სახეობის ანგარიშების განხილვის დროს). მონიშნეთ ანგარიში 1610 0004 - ფაქსის ქალაქი და აირჩიეთ იგი - ლილავის დახმარებით ან OK - ზე დაჭერით. დაინახავთ, რომ არჩეული ანგარიში ჩაჯდება სადებეტო ანგარიშის ველში:




მიუხედავად ყურადღება იმას, რომ სასაქონლო სახეობის ანგარიშის არჩევის შემდეგ ეკრანზე გაჩნდა ველი "რაოდენობა", ხოლო მის გვერდით ამ საქონლის მინიმალური ერთეული, რომელიც მითითებული იყო სასაქონლო სიაში ამ საქონლის დამატების დროს. სწორედ ამიტომ არის მზანშენილი ანგარიშთა გეგმაში გახსნათ სასაქონლო ანგარიშები როგორც სასაქონლო სახეობის (რაც დაწვრილებით განვიხილეთ მე-3 თავში).

შემდეგ, ველში "საჯრედიტო ანგარიში" აკრიფეთ 3110 და დააჭირეთ მის გასწვრივ მოთავსებულ ლილავს - . ეკრანზე იხილავთ 3110-ზე



გახსნილ ქვეანგარიშს (რომელიც ანგარიშთა გეგმაში დავამატეთ ორგანიზაციის სახეობის ანგარიშების განხილვის დროს მე-3 თავში):



აირჩიეთ ანგარიში 3110 3 - შპს "ვერე". დაინახავთ, რომ ეს ანგარიში ჩაჯდება საჯრედიტო ანგარიშის ველში. შემდეგ ველში "რაოდენობა" აკრიფეთ - 4. ხოლო რაღაცნაირ პროგრამა ერთეულების ველში ავტომატურად სვავს საქონლის მინიმალურ ერთეულს, ორგანიზაციამ კი საქონელი შეიძინა ყუთებში, ამიტომ, ერთეულების ველში - ლილავით ჩამოშალეთ ამ საქონლის ერთეულების სია:




როგორც ხედავთ, სიაში ჩანს ყველა ის ერთეული, რაც შეტანილი იყო სასაქონლოს სიაში ფაქსის ქალაქის დამატების დროს. აირჩიეთ - ყუთი. ხოლო გატარების დამატების დანარჩენი ველები შეავსეთ შემდეგნაირად:




ამით დასრულდა ფაქტის ქალაქის შექმნის გატარების დამატება. მომდევნო, ანუ პრინტერის შექმნის გატარების დასამატებლად დააჭირეთ ლილავს - . ეს ლილავი სასარგებლოა ზუსტად ასეთი შემთხვევებისთვის, როცა გატარებას მოჰყვება ისეთი გატარება, რომელიც ბევრი მონაცემი მეორდება მოცემული გატარებიდან: დოკუმენტის ნომერი, თარიღი, პროექტი, მემორიალი, სავრედიტო ანგარიში. მასზე დაჭერით დასრულდება მოცემული გატარება და გაიხსნება ახალი გატარების დამატების ეკრანი, სადაც განმეორდება იგივე ინფორმაცია და გადასაცემელი იქნება მხოლოდ ზოგიერთი მონაცემი. მოცემულ შემთხვევაში გამოვა დღის რჩევის ეკრანი:

ანუ მეორე გატარებიდან გამომდინარე შესაცვლელი იქნება მხოლოდ სადებეტო ანგარიში, რაოდენობა და თანხა.

სადებეტო ანგარიშის ველის გასწვრივ დააჭირეთ ლილავს - . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც უნდა გავხსნათ ახალი სასაქონლო ანგარიში დასახელებით - "პრინტერი", რადგანაც ასეთი სასაქონლო ანგარიში არ არის ანგარიშთა გეგმაში. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭირო ანგარიშის გახსნა პროგრამაში შესაძლებელია უშუალოდ გატარების დამატების დროსაც. რადგან დასამატებელი საჭირო მიეკუთვნება ორგტექნიკას, ამიტომ, მონიშნეთ ანგარიში 1610 1 1 - "ორგტექნიკა" და დაამატეთ ახალი სასაქონლო სახეობის ანგარიში დასახელებით - "პრინტერი", ზუსტად იგივე წესით, როგორც განხილულია მე-3 თავში "ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტარტო ნაშთების დასმა". ანგარიშის დამატების შემდეგ ანგარიშთა გეგმას ექნება შემდეგი სახე:




ყურადღებით გაეცანით ამ ინფორმაციას. თუ გინდათ, რომ მომავალში ეს ეკრანი აღარ გამოვიდეს, მონიშნეთ ველი "აღარ გამოვიყვანოთ ეს შეტყობინება" და დააჭირეთ ლილავს - . იხილავთ ეკრანს:




აირჩიეთ ახლად გახსნილი ანგარიში. დაინახავთ, რომ იგი ჩაჯდება

გატარების დამატების შესაბამის ველში. ხოლო ეკრანის დანარჩენი ველები შეავსეთ შემდეგნაირად:

დღგ - ს გატარების დასამატებლად კვლავ დააჭირეთ ღილაკს -



და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

დაასრულეთ საქონლის შეძენის ოპერაცია  - ღილაკის საშუალებით. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს:

დოკუმენტი	თარიღი	საღებავო ანგარიში	საკრედიტო ანგარიში	თანხა	კური	საწესდები	პროცენტი	საშუალო
1	21.02.2006	1110	6.1430.0001	70.00 GEL				
2	24.02.2006	16101200004	31103	160.00 GEL		4.000	3.000	
2	24.02.2006	16101100005	31103	2,400.00 GEL		3.000	ბალსი	
2	24.02.2006	3340	31103	460.80 GEL				


ამით დასრულდა საქონლის შეძენის ოპერაცია.

ესლა მომდევნო თარიღით შევასრულოთ კიდევ ერთი შემოსვლის ოპერაცია. შევიძინოთ თანხის შემდგომი გადახდით კიდევ 2 ცალი პრინტერი - 1800 ლარად. ამ ოპერაციას მოჰყვება შემდეგი გატარებები:


დოკ. N	დღგ	კრედიტ	თანხა	რეგისტრაცია	საწესდები
4	1610	3110	1800 GEL	2 ცალი	შეძენილია მომწოდებლისგან პრინტერი
4	3340	3110	324 GEL		დოკ. N4, დღგ

გატარებების შესასრულებლად დაამატეთ ახალი გატარება და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

დღგ - ს გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს -



და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

დაასრულეთ გატარებების შეტანა  - ლილავის საშუალებით. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს.

ეხლა განვიხილოთ საქონლის რეალიზაციის ოპერაცია შემდეგ მაგალითზე: დავუშვათ, საწყობში შეტანილი ხუთი პრინტერიდან უნაღლო ანგარიშსწორებით რეალიზატორმა წაიღო ორი, თითოეული - 850 ლარად. ამ ოპერაციას მოსდევს შემდეგი გატარებები:

დოკ. N	დღე/თვე	კრედიტო	თანხა	რაოდენობა	საფუძველი
3	7210	1610 1 1 00005	1600 GEL	2 ცალი	რეალიზებული პრინტერი
3	1410	6110	1700 GEL		რეალიზებული პრინტერი
3	1410	3330	306 GEL		დოკ. N3, დღგ
3	1210	1410	2006 GEL		გადმორიგებულია რეალიზატორის მიერ

გატარებების შესასრულებლად, დაამატეთ ახალი გატარება. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდგენიარად შეავსეთ:

როგორც ხედავთ, რადგანაც ეს გატარება შეეხება საქონლის გასვლას (ჩამონერას), ანუ საკრედიტო ანგარიშში როგორც კი მოხვდა სასაქონლო სახეობის ანგარიში ეკრანზე გამოჩნდა დამატებითი ველები. რაც გულისხმობს, რომ გასასვლელი საქონლის რაოდენობის მითითების შემდეგ უნდა აირჩიოთ თვითღირებულების გამოთვლის მეთოდი. რის შემდეგაც პროგრამა თქვენს მიერ არჩეული მეთოდის მიხედვით ავტომატურად ჩასვავს თანხას შესაბამის ველში.

სისტემაში არსებობს თვითღირებულების გამოთვლის შემდეგი მეთოდები:

**FIFO** - პირველი მოვიდა პირველი გადის. ანუ საქონლის შემოსვლის მიმდევრობიდან ვირჩევთ პირველად შემოსულ საქონელს. ჩვენი მაგალითისთვის, რადგანაც სულ გვაქვს 5 ცალი კომპიუტერი, რომელთაგან პირველად შემოსული 3 ცალი - 800 ლარიანია, ხოლო მეორედ შემოსული 2 ცალი - 900 ლარიანი და გასასვლელია 2 ცალი პრინტერი, ამ მეთოდის არჩევის შემთხვევაში პროგრამა თანხას გამოითვლის შემდეგნაირად:  $2 * 800 = 1600$ . ხოლო იმ შემთხვევაში თუ გასასვლელი იქნებოდა 4 ცალი პრინტერი თანხა გამოითვლებოდა შემდეგნაირად:  $3 * 800 + 1 * 900 = 3300$ .

**LIFO** - ბოლო მოვიდა პირველი გადის. ანუ საქონლის შემოსვლის მიმდევრობიდან ვირჩევთ ბოლოს შემოსულ საქონელს. ჩვენი მაგალითისთვის, ამ მეთოდის არჩევის შემთხვევაში პროგრამა თანხას

გამოითვლის შემდეგნაირად:  $2 * 900 = 1800$ . ხოლო თუ გასასვლელი იქნებოდა 4 ცალი პრინტიერი თანხა გამოითვლებოდა შემდეგნაირად:  $2 * 900 + 2 * 800 = 3400$ .

MIDL - საშუალო ნაშთი. რაც გულისხმობს ოპერაციის შესრულების მომენტში ჩამოსაწერი საქონლის შესაბამისი ანგარიშზე ფინანსური და რაოდენობრივი ნაშთის შესაბამისი ერთეულის ფასის განსაზღვრას. ჩვენი მაგალითისთვის, ამ მეთოდის არჩევის შემთხვევაში თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:

$$(3 * 800 + 2 * 900) / (3 + 2) = 840 * 2 = 1680.$$

LIST - თანხის გამოვლა სიდან. რაც გულისხმობს, რომ საქონლის შემოსვლის მიმდევრობიდან ვირჩევთ საქონლის რაოდენობას იმ შემოსვლიდან, რომელიც გვინდა. ჩვენი მაგალითისთვის, თუ რაოდენობის

ველში აკრეფთ - 2-ს და აირჩევთ ამ მეთოდს, იხილავთ ეკრანს:

ნაშთის ფორმირების სხა ანგარიშისთვის 1610 1 1 00005 კონტაქტი							
რეკვიზიტები							
შემოსული				დარჩენილი		გასასვლელი	
თარიღი	კოდი	ფასი	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა
24.02.2006	80.წიგნი2	2,400.00	800.00	3,000	2,400.00	3,000	0.00
25.02.2006	80.წიგნი4	1,800.00	900.00	2,000	1,800.00	2,000	0.00
შეძენილია მოწოდებისას							
				ნაშთი ანგარიშზე	4,200.00	5,000	0.00
				ნაშთი	800.00	0.00	2,000


ამ ეკრანში შეგიძლიათ აირჩიოთ, რომელი შემოსული პარტიიდან გასურთ საქონლის ჩამოწერა. აგრეთვე, შეგიძლიათ საქონლის ნაწილი რაოდენობა ჩამოწეროთ ერთი პარტიიდან და ნაწილი მეორე პარტიიდან. ველში "გასასვლელი რაოდენობა" უნდა მიუთითოთ ჩამოსაწერი საქონლის რაოდენობა. ჩვენი მაგალითისთვის, დაგუშვით, რომ 1 ცალ პრინტერს ჩამოწეროთ პირველი პარტიიდან, ხოლო მეორეს მეორე პარტიიდან. მაშინ ჯერ პირველი პარტიის გასასვლელი რაოდენობის ველი გაააქტიურეთ (დააჭირეთ მასზე "თავი" - ს მარცხენა ღილაკით ორჯერ) და აკრეფთ - 1. ხოლო შემდეგ მეორე პარტიის გასასვლელ რაოდენობაშიც იგივე ნუსით აკრეფთ - 1 და დააჭირეთ Enter - ს:

ნაშთის ფორმირების სხა ანგარიშისთვის 1610 1 1 00005 კონტაქტი							
რეკვიზიტები							
შემოსული				დარჩენილი		გასასვლელი	
თარიღი	კოდი	ფასი	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა
24.02.2006	80.წიგნი2	2,400.00	800.00	3,000	2,400.00	3,000	800.00
25.02.2006	80.წიგნი4	1,800.00	900.00	2,000	1,800.00	2,000	900.00
შეძენილია მოწოდებისას							
				ნაშთი ანგარიშზე	4,200.00	5,000	1,700.00
				ნაშთი	800.00	1,700.00	2,000


როგორც ეკრანზე ხედავთ, ველში "გასასვლელი თანხა" ჩაჯდა თითოეული პარტიისთვის გასასვლელი საქონლის რაოდენობის შესაბამისი თანხა. ანუ ამ შემთხვევაში ფასი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$1 * 800 + 1 * 900 = 1700.$$


დააჭირეთ OK - ს:




**FIX** - სასაქონლო სიაში დაფიქსირებული გაყიდვის ფასი. ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო სიაში ჩამოსაწერ საქონელზე დაფიქსირებულია გაყიდვის ფასი, მაგალითად, 700 ლარი:




მაშინ, ამ მეთოდის არჩევის შემთხვევაში ფასი გამოითვლება შემდეგნაირად:  $2 * 700 = 1400$ .




ბოლოს ღილაკი - , რომლითაც შესაძლებელია ყველა ზემოთ განხილული მეთოდის გამორთვა. ამ შემთხვევაში თქვენ ხელით უნდა აკრიფოთ ჩამოსაწერი საქონლის ფასი.

**შენიშვნა:** ! დაუშვებელია ერთი და იგივე საქონელზე ზემოთ აღწერილი მეთოდების არევა, ანუ თუ ბრუნვის გარკვეულ პერიოდში საქონლის თვითღირებულების გამოთვლა წარმოებდა **FIFO** მეთოდით, შემდეგი პერიოდისთვის არ შეიძლება მეთოდის ცვლილება.


ესლა დაგუბრუნდეთ ჩვენს ოპერაციას და შევასრულოთ ოპერაციის პირველი გატარება **FIFO** მეთოდის არჩევით:




მომდევნო გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს -



მეორე გატარებაში მონაწილეობს ანგარიში 1410 "მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან". რადგანაც ორგანიზაციის შეიძლება ჰყავდეს ან მომავალში გამოუჩნდეს რამოდენიმე მომწოდებელი, ამიტომ მიზანშეწონილია 1410 ანგარიშს გაუხსნათ ქვეანგარიშები. პირობითად ჩვენი მაგალითისთვის, გაუხსენით 1410 - ს ორგანიზაციის სახეობის ანგარიში დასახელებით - შპს "ისარი" (ანგარიშის გახსნა დაწვრილებით განხილულია მე-3 თავში ორგანიზაციის სახეობის ანგარიშების განხილვის დროს). ხოლო გატარების დანარჩენი ველები შეავსეთ შემდეგნაირად:



მომდევნო გატარების შესასრულებლად კვლავ დააჭირეთ ღილაკს -



და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

შემდეგ დაამატეთ რეალიზატორის მიერ თანხის გადახდის გატარება:

დაასრულეთ გატარებების დამატება  OK - ლილვის საშუალებით. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს:

მთავარი	საბუღალტრო	საბანკო ანგარიში	თანხა	საბანკო	საბანკო	საბანკო	საბანკო	საბანკო	საბანკო
1	21.02.2006	1110	6 1430 0001	ა	70.00 GEL	801 F1060	1	გადახდა	საბანკო
2	24.02.2006	1610 1 2 00004	ა 3110 3	ბ	160.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
2	24.02.2006	1610 1 1 00005	ა 3110 3	ბ	2,400.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
2	24.02.2006	2340	ბ 2110 3	ა	460.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
4	25.02.2006	1610 1 1 00005	ა 3110 3	ბ	1,800.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
4	25.02.2006	2340	ბ 2110 3	ა	224.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
3	26.02.2006	7210	ბ 1610 1 1 00005	ა	1,600.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
3	26.02.2006	1410 4	ბ 3110 3	ა	1,700.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
3	26.02.2006	1410 4	ბ 3330	ბ	306.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო
3	26.02.2006	1210 3	1 1410 4	ბ	2,006.00 GEL	801 F1060	2	გადახდა	საბანკო


ესლა შევასრულოთ შემდეგი სახის ოპერაცია. დაეწესებოდეს, ორგანიზაციამ 2 ყუთი ფაქსის ქალაქი საწესდროდან გადაიტანა მალაზიაში, შემდგომი რეალიზაციისთვის. ამ ოპერაციას მოსდევს შემდეგი გატარება:

დოკ. N	დღე	კრედიტ	თანხა	რეალიზაცია	საწესდრო
5	1610 2 00004	1610 1 2 0004	80 GEL	2 ყუთი	გადაიტანა მალაზიაში ფაქსის ქალაქი


ამ გატარების შესასრულებლად, გატარებების ეკრანში შესაბამისი ლილვით დაამატეთ ახალი გატარება. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შევსეთ:

- დოკუმენტის N - 5,
- თარიღი - 26.02.2006,
- პროექტი - მთ.ნიგნი,
- მემორიალი - 3,
- სადებეტო ანგარიში - აკრედიტ 1610 და დეკრედიტ მის გასწვრივ მოთავსებულ ლილვს - ... . იხილავთ ეკრანს:


როგორც ხედავთ მალაზიის ანგარიშზე ჯერჯერობით არც ერთი საქონელი არ არის (მალაზიის ანგარიში გავსენით მე-3 თავში ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის მომზადების განხილვის დროს). რადგანაც საწესდროდან გადმოგვაქვს ფაქსის ქალაქი, ამიტომ საჭიროა 1610 2 ანგარიშს გაუხსნათ იგივე დასახელების და კოდის ქვეანგარიში. ანგარიშის გახსნის შემდეგ მიიღებთ ეკრანს:





აირჩიეთ ახლად გახსნილი ანგარიში. დაინახავთ, რომ იგი ჩაჯდება გატარების დამატების ეკრანის შესაბამის ველში. ხოლო საკრედიტო ანგარიშის ველში აირჩიეთ 1610 1 2 00004 ანგარიში:




როგორც ხედავთ, ორივე: სადებეტო და საკრედიტო ანგარიშის ველებში ზის ფაქსის ქალაქი კოდით - 00004. განსხვავებულია მხოლოდ ზედა დონის ანგარიშები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ თქვენ გახსნიდით საქონელს - ფაქსის ქალაქი ახალი კოდით და შეეცდებოდით გატარების შესრულებას სხვადასხვა სასაქონლო კოდით, პროგრამა არ მოგცემთ ამის საშუალებას. ამ შემთხვევაში გამოვა შეტყობინება:





ესლა დაგუბრუნდით ჩვენს გატარებას. თუ გატარების შესრულების მომენტში დაგჭირდათ სადებეტო ან საკრედიტო ანგარიშზე ფინანსური

და რაოდენობრივი ნაშთის ნახვა, ამას შესძლებთ ლილავით -  "ანგარიშზე მდგომარეობა". ჩვენი მაგალითისთვის, დავეუშვათ გვანტერესებს საწყობში რამდენი ფაქსის ქალაქია, ამისათვის დაჭირეთ საკრედიტო ანგარიშის გასწვრივ მოთავსებულ "ანგარიშზე მდგომარეობის" ლილავს - . იხილავთ ეკრანს:



სადაც ნათლად ჩანს ფაქსის ქალაქის ფინანსური და რაოდენობრივი ნაშთები მინიმალური ერთეულის მიხედვით.

გარდა ამისა თუ ჩვენ გვენდომებოდა ფაქსის ქალაქის სრული რაოდენობის გადატანა მალაზიაში, ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკრანზე არსებული ერთ-ერთი ნაშთის წინ მოთავსებული ხელის გამოსახულების ლილავი - , რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად ჩასვავს საქონლის რაოდენობრივ და ფინანსურ ნაშთებს გატარების შესაბამის ველებში. ჩვენი მაგალითისთვის ამის გავტეება არ არის საჭირო. დახურეთ ეს ეკრანი **Cancel** - ის საშუალებით.

შემდეგ ავრიფეთ რაოდენობის ველში - 2, ერთეული აირჩიეთ - ყუთი, ხოლო თანხის გამოთვლის მეთოდი - **FIFO**, საფუძვლის ველში ავრიფეთ - "გადატანილია მალაზიაში" და დაასრულეთ გატარება  - ლილავის საშუალებით. დაინახავთ, რომ გატარებების ეკრანში დაემატება თქვენს მიერ ბოლოს შესრულებული გატარება.

**გატარებები დაკავშირებული დოკუმენტებით (პირველადი დოკუმენტების გაძღოლა)**


პირველადი დოკუმენტების გაძღოლა გულისხმობს გავაკონტროლოთ ის პირველადი დოკუმენტები, რომელთა ფინანსური ბრუნვები საჭიროებენ თვალყურის დევნებას.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: დავუშვათ, ორგანიზაციამ ანგარიშ-ფაქტურით №აა-04 789456 შეიძინა 2 ცალი ფაქსი, თითოეული 900 ლარად და 3 ცალი კომპიუტერი, თითოეული 700 ლარად. საერთო ვალი შეადგენს - 3900 ლარს, რომელსაც ორგანიზაცია იხდის ნაწილ-ნაწილ. პირველ ჯერზე - 1400 ლარს.


ამ ოპერაციას მოსდევს შემდეგი გატარებები:


დოკ.№	დებიტო	კრედიტო	თანხა	რაოდენობა	საფუძველი
აა-04 789456	1610	3110	1800 GEL	2 ცალი	შეძინილია მომწოდებლისგან ფაქსი
აა-04 789456	1610	3110	2100 GEL	3 ცალი	შეძინილია მომწოდებლისგან კომპიუტერი
6	3110	1110	1400 GEL		გადახდილია მომწოდებლისთვის


პირველი გატარების შესასრულებლად დაამატეთ ახალი გატარება და პირველ ველში "დოკუმენტის №" აკრიფეთ - აა-04 789456, შემდეგ ამ ველის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს - **დოკ.ტიპი ...**. იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანის სათაურიდან ჩანს, უნდა განსაზღვროთ დოკუმენტის ტიპი. ჩვენი მაგალითისთვის უნდა განისაზღვროს რა დოკუმენტის ნომერია - აა-04 789456. ეკრანი ჯერჯერობით ცარიელია. დაამატეთ შესაბამისი ღილაკით ახალი დოკუმენტის ტიპი - "ანგარიშ-ფაქტურა" და დააჭირეთ Enter - ს. ეკრანზე იხილავთ:





აირჩიეთ ახლად დამატებული დოკუმენტის ტიპი ღილაკით - , რის შემდეგაც დაბრუნდებით გატარების დამატების ეკრანზე:





როგორც ხედავთ, ეკრანის ზედა ნაწილში გაჩნდა ნარწერა "ანგარიშ-ფაქტურა". ამით ნათელი გახდა რა სახის დოკუმენტის ნომერია - აა-04 789456. შეავსეთ ეკრანის დანარჩენი ველები შემდეგნაირად:




მომდევნო გატარების დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს -  და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:




დაასრულეთ გატარებების დამატება OK - ს საშუალებით.


ესლა შევასრულოთ თანხის გადახდის გატარება. ამისათვის, დაამატეთ ახალი გატარება, სადაც ველში **“დოკუმენტის №”** აკრიფეთ - 6, ხოლო შემდეგ აირჩიეთ ლილავი - **“დოკ.ტიპი...”**. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც დაამატეთ ახალი დოკუმენტის ტიპი მაგალითად, **“გადახდა”**, ზუსტად იგივენაირად როგორც ანგარიშ-ფაქტურის შემთხვევაში და აირჩიეთ იგი  - ლილავის გამოყენებით. პროგრამა დაგაბრუნებთ გატარების დამატების ეკრანზე, სადაც ველის **“დაუკავშიროთ დოკუმენტს”**, გასწვრივ აირჩიეთ ლილავი - . იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში, როგორც მისი სათაურიდან ჩანს, უნდა განსაზღვროთ რომელი დოკუმენტის ვალს იხდით. ჩვენი მაგალითისთვის, ეს არის **“ანგარიშ-ფაქტურა”**. აირჩიეთ იგი ხელის გამოსახულების ლილავით. იხილავთ ეკრანს:



სადაც ხედავთ დოკუმენტის ტიპის **“ანგარიშ-ფაქტურა”** იმ დოკუმენტის ნომერს, რომლითაც შევასრულეთ საქონლის შემოსვლის ორი ოპერაცია. აღვნიშნავთ, რომ ამ ეკრანში გამოჩნდებოდა ყველა ის დოკუმენტის ნომერი, რომელიც მიბმული იქნებოდა დოკუმენტის ტიპზე **“ანგარიშ-ფაქტურა”**. აირჩიეთ ეკრანზე გამოტანილი ჩანაწერი ხელის გამოსახულების ლილავით. პროგრამა დაგაბრუნებთ გატარების დამატების ეკრანზე, რომლის დანარჩენი ველები შეავსეთ შემდეგნაირად:



როგორც ხედავთ, ეკრანის ზედა ნაწილში გამოჩნდა ჩვენს მიერ მითითებული დოკუმენტის ტიპები და ნომრები, აგრეთვე ლილავი - , რომელიც გაძლევთ საშუალებას გააუქმოთ დოკუმენტის ტიპები. დაასრულეთ გატარების დამატება OK - ზე დაჭერით. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს:

საქმიანობა	თარიღი	საბანკო/ანგარიშო	საქმიანობა/ანგარიშო	მაგნი	პლუს	მინუს	ბალანსი	კომენტარი	გვ.	საშუალო
1	27.02.2006	1110	6-1430 0001	ფ	70.00 GEL			8000060	1	შეზღვევითი ანაზღაურება
2	24.02.2006	1610 1 2 00004	ფ 2110 3	ფ	160.00 GEL		4.000	8000060	2	შეხვედრის მიზნით
2	24.02.2006	1610 1 1 00005	ფ 3110 3	ფ	2.400.00 GEL		3.000	8000060	2	შეხვედრის მიზნით
2	24.02.2006	3340	ფ 3110 3	ფ	480.00 GEL			8000060	2	რეს. 2-ის ფას
4	25.02.2006	1610 1 1 00005	ფ 3110 3	ფ	1.800.00 GEL		2.000	8000060	2	შეხვედრის მიზნით
4	25.02.2006	3340	ფ 3110 3	ფ	324.00 GEL			8000060	2	რეს. 4-ის ფას
3	26.02.2006	1210	ფ 1610 1 1 00005	ფ	1.800.00 GEL		2.000	8000060	2	რეს. 3-ის ფასი
3	26.02.2006	1410 4	ფ 3110	ფ	1.700.00 GEL			8000060	2	რეს. 3-ის ფასი
3	26.02.2006	1410 4	ფ 3230	ფ	306.00 GEL			8000060	2	რეს. 3-ის ფასი
3	26.02.2006	1210 3	1:1410 4	ფ	2.806.00 GEL			8000060	2	ბალანსის რეაქტივიზაცია
5	26.02.2006	1610 2 00004	ფ 1610 1 2 00004	ფ	80.00 GEL		2.000	8000060	3	ბალანსის რეაქტივიზაცია
აა-04 7	26.02.2006	1610 1 1 00003	ფ 3110 3	ფ	1.800.00 GEL		2.000	8000060	2	შეხვედრის მიზნით
აა-04 7	26.02.2006	1610 1 1 00002	ფ 3110 3	ფ	2.100.00 GEL		3.000	8000060	2	შეხვედრის მიზნით
6	26.02.2006	3110 3	ფ 3110	ფ	1.400.00 GEL			8000060	1	ბალანსის რეაქტივიზაცია

ის თუ, როგორც შეიძლება გადავხედოთ თვალი დაფარულ ან დასაფარ პირველად დოკუმენტებს, მოცემულია მომდევნო თავის "კონტროლის და ანალიზის ინსტრუმენტები" ქვეთავში "დოკუმენტალური ბრუნვა".

**სავალუტო გატარება**

**შენიშვნა:** ! გამოტოვებთ ეს თავი, თუ თქვენ შექნილი გაქვთ პროგრამის ერთვალუტიანი ვერსია.

ვალუტასთან მიმართებაში პროგრამაში არსებობს ანგარიშის ორი კატეგორია: მულტისავალუტო და ანგარიში დაფიქსირებული კონკრეტულ ვალუტაში. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

**1. მულტისავალუტო.**


თუ ანგარიში მულტისავალუტოა, ეს ნიშნავს, რომ სისტემა ავტომატურად გახსნის ანგარიშს იმ ვალუტაში, რომელშიც შესრულდება გატარება და შესაბამისად ამ გატარების მიერ გამოწვეულ შედეგებს (ნაშთებს, ბრუნვებს და ა.შ.) დაინახავთ ამავე ვალუტაში. მაგალითისთვის შევასრულოთ შემდეგი გატარებები:

დოკ. N	დღეეტი	ჯრედიტი	თანა
7	1220	3110	1000 USD
8	3110	1220	700 DEM




სანამ გატარებებს შესრულებდით დარწმუნდით, რომ ეს ანგარიშები მონიშნულია როგორც მულტისავალუტო. თუმცა, პროგრამაში თავიდანვე ყველა ანგარიში მონიშნულია როგორც მულტისავალუტო. ამის შესამოწმებლად გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა. შემდეგ მოძებნეთ სასურველი ანგარიში. ჩვენი მაგალითისთვის ერთ-ერთი იქნება - 1220 და დააჭირეთ კორექტირების ლილავს - . იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს:

სადაც, როგორც ხედავთ, ეკრანის მარჯვენა ზედა ნაწილში, მართლაც მონიშნულია ველი "მულტისავალუტო". დახურეთ ეს ეკრანი და დაბრუნდით გატარებების ეკრანზე.

ესლა შევასრულოთ ზემოთ მოყვანილი გატარებები. ამისათვის, გატარებების ეკრანში დაამატეთ ახალი გატარება ლილავით - და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:


შემდეგ ველის “თანსა” გასწვლივ, ვალუტების ველში, ღილაკით - , ჩამოშალეთ ვალუტების სია და აირჩიეთ “USD”. რის შემდეგაც გატარების დამატების ეკრანზე განჩნდება დამატებითი ველები:

ველში “კურსი” ავტომატურად ჩაჯდება ვალუტების სიაში გატარების დამატების თარიღისთვის დაფიქსირებული კურსი. ის თუ სად და როგორ შეიძლება ამ კურსების მითითება დაწვრილებით განხილულია მე-11 თავში “ვალუტა და საკურსო სხვაობა”. ამის გარდა, მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ავტომატურად იღებს ვალუტების სიაში დაფიქსირებულ კურსს და სვავს გატარების დამატების ეკრანის შესაბამის ველში, პროგრამა გაძლევეთ საშუალებას, უშუალოდ გატარების შესრულების დროს მიუთითოთ თქვენთვის საჭირო კურსი. ამისათვის,

ველის “კურსი” გასწვრივ უნდა დააჭიროთ ღილაკს - . დაინახავთ, რომ ეს ღილაკი შეიცვლის ფერს, რის შემდეგაც პროგრამა მოცემით საშუალებას, ველში “კურსი” აკრიფოთ თქვენთვის სასურველი კურსი. მაგალითისთვის აკრიფეთ 1.83 და კლავიატურაზე დააჭირეთ - Tab - ს. დაინახავთ, რომ კურსორი ავტომატურად გადავა შემდეგ ველზე “ექვივალენტი”, სადაც ექვივალენტური თანხა შეიცვალა მითითებული კურსის მიხედვით. ამით დასრულდა პირველი გატარებისთვის საჭირო ველების შევსება. მეორე გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს - . იმისათვის, რომ მეორე გატარებაში პროგრამამ ავტომატურად აიღოს ვალუტების სიაში დაფიქსირებული კურსი, საჭიროა კვლავ დააჭიროთ ღილაკს - . ხოლო შემდეგ შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

დაასრულეთ გატარების დამატება OK - ღილაკის საშუალებით. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს. ეხლა ვნახოთ, რა ცვლილებები გამოიწვია ანგარიშებზე ამ გატარებებმა. ამისათვის, გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა, ხოლო შემდეგ აირჩიეთ ბარათი “ნაშთები”. იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	მთავარი	დამატება	დახარჯვა	ბალანსი	ბალანსი
1000	30906.97	14,206.00			
1100	6400.00		300.00		
1110	6400.00		300.00		
1200	8000.00				
1210	8000.00				
1210.3	1234567891	6,006.00			
1210.4	4567891230	2,000.00			
1400	8000000000		70.00		

ამ ეკრანში მოცემულია ვალუტა GEL - ში (ლარში) შესრულებული გატარებების შედეგები. რაც, იმით არის გამოწვეული, რომ როგორც ხედავთ, ეკრანის მარჯვენა ზედა კუთხეში მონიშნულია ველი “ვალუტა” და მის გვერდით ზის ლარის აბრევიატურა. იმისათვის, რომ ვნახოთ ჩვენს მიერ ბოლოს შესრულებული გატარებების შედეგები, ანუ შედეგები სხვა ვალუტებისთვის (USD, DEM), საჭიროა, ველის “ვალუტა” გასწვრივ  - ღილაკის გამოყენებით ჩამოშალეთ ვალუტების სია და აირჩიოთ USD. რის შემდეგაც იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	მასშტაბი	ბალანსი	საბალანსო	საბალანსო	ბალანსი	რეზერვაციები
1000	ბიზნესის ანგარიში	1,000.00				
1200	ფინანსური ანგარიში	1,000.00				
1220	ფინანსური ანგარიში	1,000.00				
3000	ბიზნესის ანგარიში		1,000.00			
3100	ბიზნესის ანგარიში		1,000.00			
3110	ბიზნესის ანგარიში		1,000.00			
3110 3	ბიზნესის ანგარიში		1,000.00			
		1,000.00	1,000.00			

როგორც ეკრანზე ხედავთ, ანგარიშებზე - 1220 და 3110 3 ასახულია მხოლოდ სადოლარო ნაშთი.

ესა იგივე წესით, შესაბამის ველში აირჩიეთ ვალუტა - DEM. იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	მასშტაბი	ბალანსი	საბალანსო	საბალანსო	ბალანსი	რეზერვაციები
1000	ბიზნესის ანგარიში	700.00				
1200	ფინანსური ანგარიში	700.00				
1220	ფინანსური ანგარიში	700.00				
3000	ბიზნესის ანგარიში		700.00			
3100	ბიზნესის ანგარიში		700.00			
3110	ბიზნესის ანგარიში		700.00			
3110 3	ბიზნესის ანგარიში		700.00			
		700.00	700.00			

ამ შემთხვევაში კი ანგარიშებზე - 1220 და 3110 3 ასახულია მხოლოდ გერმანული მარკის ნაშთი. ეს იმიტომ, რომ ანგარიშთა გეგმაში ეს ანგარიშები მონიშნულია როგორც მულტისავალუტო.

ანგარიშების აღრიცხვის ეს კატეგორია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გვინდა გავადგინოთ თვალი თითოეულ სავალუტო მოძრაობას ერთი და იგივე ანგარიშზე. მაგალითად, სავალუტო-საბანკო ანგარიში, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა ვალუტაში.

## 2. ანგარიში, დაფიქსირებული კონკრეტულ ვალუტაში.

ანგარიში, დაფიქსირებული კონკრეტულ ვალუტაში ნიშნავს, რომ პროგრამა ავტომატურად გახსნის ანგარიშს მხოლოდ დაფიქსირებულ ვალუტაში და ამ ანგარიშზე ნებისმიერ ვალუტაში წარმოებულ ოპერაციას კროსკურსით ასახავს ფიქსირებულ ვალუტაში.

ჩვენი მაგალითისთვის, როდესაც მომწოდებლის ანგარიში - 3110 3,

მონიშნული იყო, როგორც მულტისავალუტო, გატარებების შედეგად მივიღებ შემდეგი ნაშთები:

3110 3 - "კრედიტი" 1000 USD

3110 3 - "დებიტი" 700 DEM

3110 3 - "კრედიტი" 7644.80 GEL (წინა ქვეთავებში განხილული გატარებებიდან გამოდინარე)

შესაბამისად ვერ გავიგებთ რეალურ ნაშთს მომწოდებლის ანგარიშზე.

იმისათვის, რომ გავიგოთ რეალური ნაშთი ანგარიშზე 3110 3, იგი უნდა დავაფიქსიროთ კონკრეტულ ვალუტაში. ჩვენი მაგალითისთვის, დავაფიქსირებთ მომწოდებლის ანგარიშში USD - ში. ამისათვის, ანგარიშთა გეგმაში მოძებნეთ ანგარიში 3110 3 და გავაორექტივოთ იგი შესაბამისი ლილავით. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც გადანიშნეთ ველი "მულტისავალუტო". რის შემდეგაც ეკრანზე გაჩნდება ახალი ველი, რომელშიც  - ლილავის დახმარებით აირჩიეთ - USD. უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:

დააჭირეთ OK - ს.

ესა ვნახოთ რა შედეგებს მივიღებთ ამ ცვლილებით. ანგარიშთა გეგმაში აირჩიეთ ბარათი "ნაშთები", ხოლო შემდეგ მიღებულ ეკრანში შესაბამისი ლილავით აირჩიეთ ვალუტა - USD. იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	მასშტაბი	ბალანსი	საბალანსო	საბალანსო	ბალანსი	რეზერვაციები
1000	ბიზნესის ანგარიში	1,000.00				
1200	ფინანსური ანგარიში	1,000.00				
1220	ფინანსური ანგარიში	1,000.00				
3000	ბიზნესის ანგარიში		4,842.79			
3100	ბიზნესის ანგარიში		4,842.79			
3110	ბიზნესის ანგარიში		4,842.79			
3110 3	ბიზნესის ანგარიში		4,842.79			
		1,000.00	4,842.79			

როგორც ეკრანზე ხედავთ, სისტემამ 700 DEM და 7644.80 GEL გადაიყვანა USD - ში ოპერაციის შესრულების დღის კურსით და რადგანაც 700 DEM იყო სადებეტო ბრუნვა, ამიტომ გამოავლო იგი სადოლარე ნაშის.

გარდა ვალუტის კატეგორიისა სავალუტო ანგარიშებს გააჩნიათ კიდევ ერთი მახასიათებელი - ნაშის გადაფასება. რაც ნიშნავს: შეიცვალოს თუ არა სავალუტო ანგარიშის ნაშის შესაბამისი სალარე ექვივალენტი კურსის ცვლილებასთან ერთად.

ანგარიშის ეს მახასიათებელი სისტემაში უკვე მონიშნულია ყველა ანგარიშისთვის. ხოლო ამის შემონემა შესაძლებელია ანგარიშთა გეგმაში იგივე წესით, როგორც მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში. ანუ ანგარიშთა გეგმაში უნდა მონიშნოთ სასურველი ანგარიში და გააკორექტიროთ იგი, მაგალითად, ანგარიში - 1220:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ანგარიშზეც მონიშნულია ველი "გადაფასებადი".

თუ ანგარიშის ეს მახასიათებელი ჩართულია, მაშინ სისტემაში არსებული საკურსო სხვაობის მოდული ავტომატურად შეასრულებს ამ ანგარიშის ექვივალენტის ნაწილის საკურსო სხვაობის გატარებებს. საკურსო სხვაობის ოპერაციის შესრულება კი დაწვრილებით განხილულია მე-11 თავში "ვალუტა და საკურსო სხვაობა".

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ, რომ რომელიმე ანგარიში არ გადაფასდეს, მაშინ ანგარიშთა გეგმაში უნდა მოძებნოთ ეს ანგარიში, გააკორექტიროთ შესაბამისი ღირებულებით და გადანიშნოთ ველი "გადაფასებადი". თუმცა ამის გაცემა შეგიძლიათ უშუალოდ საკურსო სხვაობის ოპერაციის შესრულების დროსაც, რაც განხილულია მე-11 თავში.

ამით დავასრულეთ პროგრამაში სხვადასხვა ტიპის გატარებების დამატების განხილვა. ყველა ზემოთ განხილული გატარების შესრულების შემთხვევაში გატარებების ეკრანს ექნება შემდეგი სახე:


საქმის №	თარიღი	საბუღალტრო ანგარიში	საბუღალტრო ანგარიში	მაგა	ვალუ	კურსი	ტარდება	ბოლო	კურსი	ბილ	საშუალო
1	21.02.2006	1110	6-1430.0001	9	70.00	GEL			80	10660	1
2	24.02.2006	1610 1 2 00004	6-3110 3	3	160.00	GEL		4.000	4000	10660	2
2	24.02.2006	1610 1 1 00005	3-3110 3	3	2,400.00	GEL		3.000	6000	10660	2
2	24.02.2006	3340	6-3110 3	3	460.80	GEL				10660	2
4	25.02.2006	1610 1 1 00005	3-3110 3	3	1,800.00	GEL		2.000	6000	10660	2
4	25.02.2006	3340	6-3110 3	3	324.00	GEL				10660	2
3	26.02.2006	1210	6-1610 1 1 00005	3	1,600.00	GEL		2.000	6000	10660	2
3	26.02.2006	1410 4	3-6110	3	1,700.00	GEL				10660	2
3	26.02.2006	1410 4	3-3330	3	306.00	GEL				10660	2
3	26.02.2006	1210 3	1:1410 4	3	2,006.00	GEL				10660	2
5	26.02.2006	1610 2 00004	6-1610 1 2 00004	3	80.00	GEL		2.000	3000	10660	3
აა-04	26.02.2006	1610 1 1 00003	6-3110 3	3	1,800.00	GEL		2.000	6000	10660	2
აა-04	26.02.2006	1610 1 1 00002	3-3110 3	3	2,100.00	GEL		3.000	6000	10660	2
6	26.02.2006	3110 3	3-1110	6	1,400.00	GEL				10660	1
7	27.02.2006	1220	3-3110 3	3	1,600.00	USD	1.60000000			10660	3
8	27.02.2006	3110 3	3-1220	3	700.00	DEM				10660	3



ესლა განვიხილოთ გატარებების ეკრანში არსებული ღირებულებები. ზოგიერთი ღირებულების დანიშნულება თქვენ უკვე იცით. მათ იგივე ფუნქცია ეკისრებათ რაც განვიხილეთ წინა თავებში, მაგალითად , მე-3 თავში. ესენია:


- დამატება Ins,
- კორექტირება F2,
- წაშლა Delete,
- ბეჭდვა F3,
- ძიება F5,
- მონიშნული ჩანაწერების ჯამი,
- ეკრანის განახლება (Refresh) F9.


განვიხილოთ დანარჩენი ღირებულებებიც. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ განხილულ ღირებულებებს პროგრამის ყველა ეკრანში ერთდღივით

დანიშნულება აქვთ.



 - ოპერაციის დამატება **Ctrl+Ins**. ეს ღილაკი შეგიძლიათ გამოიყენოთ იმ შემთხვევაში თუ გატარებაში მონაწილეობს ერთი სადებეტო და რამდენიმე საკრედიტო ანგარიში ან პირიქით და თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება მათი ბუნებრივი სახით გატარება. მას წმირად **T** გატარებას უწოდებენ. დაწვრილებით ეს ღილაკი განხილულია მე-12 თავში “სამეურნეო ოპერაციები”.


 - გატარების დუბლირება **Ctrl+C**. ეს ღილაკი სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუკი შესასრულებელია ისეთი გატარება, რომლის მსგავსიც ადრე იყო შესრულებული. მაშინ, უნდა მონიშნოთ ადრე შესრულებული გატარება და ისარგებლოთ ამ ღილაკით. მიიღებთ ახალი გატარების დამატების ეკრანს, შევსებულს წინა გატარების მონაცემებით. შესაცვლელი იქნება მხოლოდ რამოდენიმე განსხვავებული ველი. ეს ღილაკი ანალოგიურია ღილაკისა - , მხოლოდ მეორე შემთხვევაში მსგავსი გატარებები ერთდროულად სრულდება.

 - ფილტრი **F4**. ამ ღილაკის გამოყენებით შეგიძლიათ გაფილტროთ გატარებები რაიმე კრიტერიუმების მიხედვით. თუ დააჭერთ ამ ღილაკს, იხილავთ ეკრანს:






როგორც ხედავთ, ჩამოთვლილია გატარებების ეკრანზე არსებული ყველა შესაძლო ველი (სვეტების დასახელებები). გატარებების ფილტრში პროგრამა ავტომატურად აყენებს ანალიზურ პერიოდში მითითებულ დიაპაზონს, რაც ნათლად ჩანს ეკრანიდან.


მაგალითისთვის, გავფილტროთ ზემოთ შესრულებული გატარებები მეორიალით - 2 და თანხით, რომლებიც მეტია 1000-ზე. ამისათვის, ფილტრის ეკრანში მონიშნეთ “მეორიალი” და გააქტიურებულ ველში  - ღილაკების გამოყენებით მიუთითეთ 2. შემდეგ მონიშნეთ “თანხა” და გააქტიურებული ველებიდან პირველში,  - ღილაკის დახმარებით მიუთითეთ - “>” (მეტობის ნიშანი), ხოლო მეორეში აკრიფეთ 1000. უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:





დააჭირეთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ მხოლოდ იმ გატარებებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფილტრში მითითებულ კრიტერიუმებს:

ფილტრის მოსახსნელად კვლავ უნდა აირჩიოთ ლილავი - .

იხილავთ ფილტრის ეკრანს, სადაც თითოეული ველის გადასანიშნად უნდა დააჭიროთ მის წინ მოთავსებულ  - ნიშანს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ფილტრში ერთდროულად რამოდენიმე ველია გამოყენებული, უმჯობესია ისარგებლოთ ლილავით -  “ფილტრის გაწმენდა Ctrl+Delete”, რომელიც ლილავების OK და Cancel - ის გასწვრივ არის მოთავსებული. ამ ლილავის არჩევით ერთდროულად გადაინიშნება (ჩაიხსნება) ფილტრში მითითებული ყველა ველი (კრიტერიუმი). დააჭირეთ ამ ლილავს, ხოლო შემდეგ OK - ს. ეკრანზე იხილავთ პროგრამაში შესრულებულ ყველა გატარებას, ხოლო ფილტრის ლილავი მიიღებს ფორმას - .

რაც ნიშნავს, რომ ფილტრი ჩახსნილია. ხოლო ლილავის -  ფორმა ნიშნავს, რომ ფილტრი ჩართულია.


 - დალაგება F6. პროგრამაში გატარებები ავტომატურად ლაგდება შესრულების თარიღის მიხედვით. მაგრამ შეიძლება დროებით საჭირო გახდეს მათი გადალაგება სხვაგვარი თანმიმდევრობით, ხოლო შემდეგ პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება. სწორედ ეს ლილავი იძლევა ამის საშუალებას. აირჩიეთ იგი. იხილავთ ეკრანს:




როგორც ხედავთ, ეკრანი გაყოფილია ორ ნაწილად: მარცხნივ

0601	დღიური ფონდისთვის	S27	= 20		
0602	დღიური წინა თვეში	S01	= 20		
0603	დარიცხვა	S02	= A		
0604	მათრება	S32	= K		
0605	გადასახი	S03	= B*sum(Z)/S01		
0606	შედეგის დამატება	S30	= (C-A*(S27+S32))/S30		
0607	შედეგის დამატება	S15	= sum(H)		
0608	ინფორმაცია	S16	= choose(S15=1,value(1,10,3),0)		
0609	ინფორმაცია	S17	= choose(S15=2,value(1,1,2),0)		
0610	ინფორმაცია	S18	= choose(S15=3,value(1,1,2),value(1,12,1),0)		
0611	ინფორმაცია	S19	= choose(S15=3,value(1,515-3,3),0)		
0612	ინფორმაცია	S31	= S16+S17+S18+S19		
0613	ინფორმაცია	S04	= (C-A*(S27+S32))/S30		
0614	ინფორმაცია	S29	= (C-A*(S27+S32))/S30		
0615	ინფორმაცია	Z	= S29+S03+S04+S32		
0616	ინფორმაცია	S05	= Z*(1-D)		7410
0617	ინფორმაცია	S06	= Z*D		1630
0618	ინფორმაცია	S07	= sum(Z)		

დაიმასხვოვრეთ ეს ფორმულები და დახურეთ დარიცხვის ეკრანი. შემდეგ ხელფასის გადათვლამდე, ჩვენი მაგალითისთვის წაშალეთ სამეურნეო ოპერაციებიდან ხელფასის დარიცხვების ოპერაცია.

გადაითვალეთ მიმდინარე თვის ხელფასი ღილაკით -  და მხოლოდ ამის შემდეგ შეასრულეთ ხელფასის გატარებები ღილაკით - . ხელფასის გატარებების სანახავად გამოიძახეთ სამეურნეო ოპერაციები. მონიშნეთ ხელფასის ოპერაცია და აირჩიეთ ბარათი "გატარებები". იხილავთ ეკრანს:

შისრულდა | აწყო

საქართველოს ბანკი

ანგარიშგაღების კირები / დებიტორები

მომხმარებლები / კრედიტორები

საკონტო

მიმღები



ოპერაციები ბატარეაში

მხ

დღე	თარიღი	საბანკო	ანგარიშ	ანგარიშ	თანხა	ვალუტა	კორექტი	პროცენტი	შენიშვნა	საფუძველი	კაპ	შენიშვნა
10	30.03.2007	7410	შ 3130 0002	წ	400.00	GEL		80.00	მომხმარებლის	დაბრუნებული ხელფასი (აბონენტისთვის)		გვარი
10	30.03.2007	7410	შ 3130 0003	წ	500.00	GEL		80.00	მომხმარებლის	დაბრუნებული ხელფასი (აბონენტისთვის)		გვარი
10	30.03.2007	1630	დ 3130 0001	ქ	350.00	GEL		80.00	მომხმარებლის	დაბრუნებული ხელფასი		გვარი
10	30.03.2007	1630	დ 3130 0004	ქ	550.00	GEL		80.00	მომხმარებლის	დაბრუნებული ხელფასი		გვარი
10	30.03.2007	3130 0007	ქ 3320 1	წ	42.00	GEL		80.00	მომხმარებლის	12% საგადასახადო		გვარი
10	30.03.2007	3130 0007	ქ 3320 1	წ	66.00	GEL		80.00	მომხმარებლის	12% საგადასახადო		გვარი
10	30.03.2007	7410	შ 3370 2	წ	180.00	GEL		80.00	მომხმარებლის	20% სომ. დაზღვევა (აბონენტისთვის)		გვარი
10	30.03.2007	1630	დ 3370 2	წ	180.00	GEL		80.00	მომხმარებლის	20% სომ. დაზღვევა		გვარი



**ხელფასის უწყისის გაგზავნა პლასტიკურ ბარათებზე**

სისტემაში შესაძლებელია ხელფასის დათვლილი უწყისის გაგზავნა “საქართველოს ბანკი”- ს პლასტიკურ ბარათებზე ინტერნეტით. ამ სერვისის გასააქტიურებლად უნდა დარეგისტრირდეთ “საქართველოს ბანკში”, სადაც გადმოგეცემათ თქვენთვის განუყოფელი პაროლი და დისკი. პროგრამაში უნდა გქონდეთ შეტანილი თითოეული თანამშრომლის ბანკის რეკვიზიტები (იხ. ქვეთავი “კადრების სიის მომზადება”).


დაითვალეთ მიმდინარე თვის ხელფასის უწყისი ლილაკით - , ამის შემდეგ ბარათში “ხელფასის უწყისი” აირჩიეთ ლილაკი “კავშირი ბანკთან” - . ჩამოიშლება კონტექსტური მენიუ სადაც აირჩიეთ “უწყისის გაგზავნა საქართველოს ბანკში ინტერნეტით”. რის შემდეგაც კუთვნილი პაროლის მითითების და “საქართველოს ბანკში” გადმოცემული დისკის გამოყენების შემდეგ დათვლილი ხელფასის უწყისი გადაიგზავნება “საქართველოს ბანკი”- ს ინტერნეტ გვერდზე.


იმ მომხმარებლებმა, რომლებიც სარგებლობენ კომპანია “ალტას”

ე.წ. ბანკი-კლიენტის პროგრამით, გარდა “საქართველოს ბანკისა”, ხელფასის უწყისების გაგზავნა შეუძლიათ სხვა დანარჩენ ბანკებშიც. ამისათვის, ამ შემთხვევაშიც საჭიროა შეტანილი გქონდეთ თითოეული თანამშრომლის ბანკის რეკვიზიტები (იხ. ქვეთავი “კადრების სიის მომზადება”).

დაითვალეთ მიმდინარე თვის ხელფასის უწყისი ლილაკით - , ამის შემდეგ ბარათში “ხელფასის უწყისი” აირჩიეთ ლილაკი “კავშირი ბანკთან” - . ჩამოიშლება კონტექსტური მენიუ სადაც აირჩიეთ “უწყისის ექსპორტი შპს “ალტა სოფტვეარს” B@nk Client ფორმატში”. უპასუხეთ გამოსულ შეკითხვებზე, რის შემდეგაც სისტემა შექმნის “ალტა სოფტვეარს” B@nk Client - ისთვის განუთვნილ ფორმატის ფაილს დასახელებით - **Salary4Plastic\_XX-XX-XXXX.txt**, სადაც “XX-XX-XXXX”- ს მაგივრად ჩაინერება უწყისის გაგზავნის თარიღი, რომელსაც მიუთითებთ აღნიშნული ოპერაციის შესრულების დროს. ეს ფაილი შეგიძლიათ ნახოთ მარშრუტით: **C:\ORIS** ფოლდერში (ანუ იმ ფოლდერში, რომელშიც დაინსტოლირებულია სისტემა). ამ ფაილში მოცემულია ხელფასის უწყისში შემავალი თითოეული თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია.


**არქივი**

სისტემაში დათვლილი ხელფასის წინა თვეების უწყისები შეგიძლიათ იხილოთ “არქივი”-ში. ამისათვის, ძირითადი მენიუდან “ხელფასი” აირჩიეთ ქვემენიუ “არქივი” ან ბარათში “ხელფასის უწყისი” დააჭირეთ ლილაკს “არქივი” - . იხილავთ ეკრანს:




როგორც ხედავთ აღნიშნული ეკრანი შედგება ორი ბარათისაგან: “ხელფასის უწყისი” და “თანამშრომლის ბარათი”.



ბარათში “ხელფასის უწყისი” შეგიძლიათ იხილოთ ნებისმიერი წლის და თვის დათვლილი უწყისები ყველა თანამშრომლისათვის ერთად. მოდით ვნახოთ 2006 წლის იანვრის თვის ხელფასის უწყისი. ამისათვის, მონიშნეთ ველი “ხელფასის უწყისი”, ხოლო სვეტში “თვე” - “იანვარი”, დააჭირეთ “OK” - ს, იხილავთ ეკრანს:



გაითვალისწინეთ, რომ ხელფასის უწყისის ფორმა სხვადასხვა განყოფილებისათვის იქნება მოცემული სხვადასხვა გვერდზე.

ბარათში “თანამშრომლის ბარათი” შეგიძლიათ იხილოთ თითოეული თანამშრომლის ბარათი წლების და თვეების მიხედვით ცალ-ცალკე. აირჩიეთ ბარათი “თანამშრომლის ბარათი”, იხილავთ ეკრანს:



როგორც ხედავთ ეკრანის მარცხენა მხარეს მოცემულია ყველა იმ თანამშრომლის გვარები, რომლებიც იყო შეტანილი კადრების სიაში. არქივიდან შესაძლებელია ნაშალოთ ნებისმიერი თანამშრომლის შესახებ არსებული მთელი ინფორმაცია თუ აირჩევთ ღილაკს “ნაშლა” - , ან მოძებნოთ თქვენთვის სასურველი თანამშრომელი განყოფილების ან კადრების სიის მიხედვით ღილაკით “ძიება” - .

ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულია თვეების ჩამონათვალი, რომელთა წინ ზის ნიშანი - , რაც გულისხმობს იმას, რომ ეკრანზე იხილავთ არჩეული თანამშრომლის ყველა მონიშნული თვის ბარათს (თუ რატემაუნდა ეს თანამშრომელი მოხვდა ამ თვეების დათვლილ უწყისში). ყველა თვის ერთდროულად მონიშნას ან გადანიშნას შესაძლებელია შესაბამისად ღილაკებით - “მოენიშნოთ” ან “გადანიშნოთ”. ესეა ვნახოთ ერთი კონკრეტული თანამშრომლის მაგ: **ჭავჭავაძის** 2006 წლის ბარათი. ამისათვის, მონიშნეთ თანამშრომელი **ჭავჭავაძე** და დააჭირეთ ღილაკს “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:

ნაბეჭდი ფორმა ქირანზე

ფაილი ხელვა ჯომა

გვერდი: | სვეტი: | სტრიქონი: | ჯომა: 100% Zoom


შპს "იპო\_2005"


ბარათი მამთამამი დ.მ.

	მარტაული	მეუთხე	მეოთხე	სულ მარტაული	მარტაული დატანა	ბარათის საბუღალტრო	საბუღალტრო დატანა	საბუღალტრო ბალანსი
	1	2	3	4	5	6	7	8
სოლვანი თიბიდავლი 2005 წ.	390.00			390.00	390.00	42.00	42.00	308.00
სოლვანი მარტი 2005 წ.	390.00			390.00	700.00	42.00	42.00	308.00
	700.00			700.00	700.00	84.00	84.00	532.00

მ.გ. საბუღალტრო

როგორც ეკრანზე ხედავთ **ჭაჭაჭაჭაჭაჭა** ბარათში არ არის იანვრის თვის დარიცხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ იანვრის თვეში ეს თანამშრომელი არ მოხვდა ხელფასის უწყისში.

თუ გსურთ თანამშრომლის ბარათის დაბეჭდვა აირჩიეთ ღილაკი **“ბეჭდვა”** - . ჩვენს შემთხვევაში დახურეთ ეკრანი ღილაკით

**“უარი”** - .

არქივის ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ **“Cancel”** - ს.

## თავი 11

### ვალუტა და საკურსო სხვაობა

თუ თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე გინევთ სხვადასხვა ვალუტასთან მუშაობა (მაგალითად, მომწოდებლებთან ანგარიშსწორებას ანარმოებთ უცხოურ ვალუტაში, გინევთ ვალუტის კონვერტაცია და სხვა) სასურველია ფლობდეთ “ორის-ბუღალტერიის” მრავალვალუტიან ვერსიას. ამ შემთხვევაში, ერთვალუტიანი ვერსიისგან განსხვავებით თქვენ არ მოგინევთ სავალუტო ოპერაციებისთვის საჭირო თანხის ხელით გამოანგარიშება, ანუ უცხოური ვალუტის ლარში გადაყვანა. აგრეთვე, ამგვარი ოპერაციებისას წარმოშობილი საკურსო სხვაობის გამოთვლა და შესაბამისი გატარებების ხელით გაკეთება. ამას ყველაფერს ავტომატურად გააკეთებს პროგრამა.

პროგრამაში სავალუტო გატარებების ან ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელია დღეების მიხედვით ვალუტების სიაში დააფიქსიროთ ვალუტის ის კურსები, რომლებიც დადგინდა ეროვნული ბანკის მიერ. თუ გარკვეული მიზეზების გამო რომელიმე საბუღალტრო ოპერაციის შესრულებისას საჭირო გახდება ვალუტის სხვა (ეროვნული ბანკისგან განსხვავებული) კურსის მითითება, მაშინ ეს უშუალოდ უნდა მოხდეს ამა თუ იმ გატარების შესრულების დროს (რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-5 თავის ქვეთავში “სავალუტო გატარება”).

განვიხილოთ, როგორ შეიძლება ვალუტასთან მუშაობა. ვალუტების სიის გამოძახება შესაძლებელია 3 გზით:


1. ძირითადი მენიუდან “ფონდები” აირჩიეთ ქვემენიუ “ვალუტა”.



2. ძირითადი მენიუს ქვევით მოთავსებულ ინსტრუმენტების პანელზე განლაგებული ლილავებიდან აირჩიეთ “ვალუტასაკურსო სხვაობა Ctrl+8”





3. კლავიატურაზე დააჭირეთ ღილაკების კომბინაციას **Ctrl+8**.  
სამივე შემთხვევაში იხილავთ ეკრანს:







როგორც ხედავთ ვალუტების სიის ეკრანი შედგება ორი ბარათი-სგან: ვალუტა და საკურსო სხვაობა. პირველი ბარათი (ვალუტა) გაყოფილია ორ ნაწილად. ზედა ნაწილში ჩანს პროგრამაში არსებული ვალუტების ჩამონათვალი თავისი აბრევიატურით, დასახელებით, რაოდენობითა და კურსით პროგრამის ბაზური ვალუტის მიმართ (ჩვენს შემთხვევაში ლარის მიმართ). აქ შესაძლებელია ახალი ვალუტის დამატება, არსებულის კორექტირება, წაშლა და დაბეჭდვა. აგრეთვე, პროგრამა საშუალებას იძლევა მიიღოთ ვალუტების კურსები Excel - ის ფორმატის ფაილიდან (მათი ჩამონათვალი დალაგებული უნდა იყოს გარკვეული სტრუქტურით).

თუ კურსორით მონიშნავთ რომელიმე ვალუტას, ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება ამ ვალუტის კურსის ცვალებადობა (დინამიკა) ანალიზური პერიოდის მიხედვით.

განვიხილოთ, როგორ ხდება ახალი ვალუტის დამატება. ამისათვის, ბარათის - ვალუტა ზედა ნაწილში აირჩიეთ დამატების ღილაკი - 



ველში "აბრევიატურა" აკრიფეთ დასამატებელი ვალუტის აბრევიატურა. თუ თქვენ გაქვთ სასურველი ქვეყნის ვალუტის დროშის ფაილი ფორმატით .ico, მაშინ შეგიძლიათ აირჩიოთ იგი აბრევიატურების სიიდან. ამისათვის, უნდა დააჭიროთ ამ ველის გასწვრივ მდებარე ღილაკს - . იხილავთ ეკრანს, სადაც მონიშნეთ სასურველი ვალუტის გამოსახულება. რის შემდეგაც შეივსება აბრევიატურის, დასახელების და დროშის ფაილის ველები. ველში "რაოდენობა" მიუთითეთ სასურველი რაოდენობა. ხოლო ველში "კურსი" ამ ვალუტის კურსი, რომელიც დადგინდა ეროვნული ბანკის მიერ მიმდინარე დღეს (ანუ იმ თარიღში, რომელიც მითითებულია ამ ველის გასწვრივ და რომელიც აიღება კომპიუტერის ტაიმერიდან, ჩვენს შემთხვევაში - 30.03.2006. ამ თარიღის შეცვლა შეგიძლია მანამ, სანამ დავინყებდით ახალი ვალუტის დამატებას. შესაბამისი თარიღის ველი მდებარეობს ვალუტის ეკრანის ზედა ნაწილში). მონაცემების შეტანის დასრულების შემდეგ დააჭირეთ "OK" - ს. ახალი დამატებული ვალუტა დაემატება სიაში ბოლო ჩანაწერად.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ვალუტის კორექტირება. ამისათვის, გამოიყენეთ ღილაკი - . თუ თქვენ არ იყენებთ პროგრამაში არსებული ვალუტებიდან რომელიმეს, შეგიძლიათ წაშალოთ იგი ღილაკით - . შეგიძლიათ დაბეჭდოთ ვალუტების სიის ჩამონათვალი ღილაკით - .


ვნახოთ, როგორ შეიძლება ვალუტების კურსების მიღება Excel - ის ფორმატის ფაილიდან. ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა Excel - ის ფორმატის ფაილში მათი ჩამონათვალი დალაგებული იყოს გარკვეული სტრუქტურით. კერძოდ, პირველ სვეტში ჩამომწერივებული უნდა იყოს ვალუტის კურსის ცვლილების თარიღები შემდეგი ფორმატით: 2/1/2006, მეორეში - აბრევიატურები, მესამეში - კოეფიციენტები, მეოთხეში

- თანხები და მესუთემი - ვალუტების დასახელებები. ამასთანავე, მონაცემების ჩამონათვალი უნდა იწყებოდეს აუცილებლად მეოთხე სტრიქონიდან. ქვემოთ მოყვანილია ვალუტების კურსების ფაილის ერთი მაგალითი:


თარიღი	ვალუტა	კოეფიციენტი	თანხა	დასახელება
2/1/2006	USD	100	181.5	საშუალო დოლარი
2/2/2006	USD	100	181.69	საშუალო დოლარი
2/3/2006	USD	100	182.5	საშუალო დოლარი
2/4/2006	USD	100	182	საშუალო დოლარი
2/8/2006	USD	100	182.3	საშუალო დოლარი
2/9/2006	USD	100	182.51	საშუალო დოლარი

როგორც ვერაზე ხედავთ მოყვანილია მაგალითი იმისა თუ რა პრინციპით მოხდება პროგრამაში ამ ფაილში ჩამოთვლილი ვალუტების შესაბამისი კურსების გამოთვლა და მიღება ( $RAT:CURS = Tanxa / Koefic$ ). კერძოდ, თანხის ველში მითითებული მნიშვნელობა გაიყოფა კოეფიციენტის ველში მითითებულ მნიშვნელობაზე და გამოთვლილი მნიშვნელობა დაფიქსირდება პროგრამაში შესაბამისი ვალუტის კურსის ველში.

მას შემდეგ, რაც თქვენ გეჭნებათ ზემოთ ნახსენები Excel - ის ფორმატის ფაილი, საჭიროა დააჭიროთ ლილავს "კურსების იმპორტი Excel-ის ფაილიდან" - . იხილავთ ეკრანს:



მონიშნეთ ფაილი rate's sheet2006.xls და დააჭიროთ "OK"-ს. იხილავთ ეკრანს:




მას შემდეგ, რაც დასრულდება კურსების იმპორტის პროცესი (ეს ეკრანი გაქრება), ვალუტების სიაში მონიშნეთ USD. ეკრანის ქვედა ნაწილში (ვალუტების დინამიკა) ნახავთ, რომ დაემატება ის კურსები, რაც მოყვანილი იყო ზემოთ ნახსენებ Excel - ის ფაილში.

ვალუტა	დასახელება	რაოდენობა	კურსი
GEL	ქართული ლარი	1	1.00000000
USD	ამერიკული დოლარი	1	1.82000000
DEM	გერმანული მარკა	1	0.92990000
GBP	ინგლისური ფუნტ სტერლი	1	2.98980000
EUR	რუსული რუბლი	1	0.06830000
FRF	ფრანგული ფრანკი	10	2.77270000


  

თარიღი	რაოდენობა	კურსი
1.01.2006	1	1.82000000
1.02.2006	1	1.81500000
2.02.2006	1	1.81690000
3.02.2006	1	1.82500000
4.02.2006	1	1.82000000
8.02.2006	1	1.82300000
9.02.2006	1	1.82510000
1.01.2007	1	1.82510000

ახლა ვნახოთ, როგორ შეიძლება სასურველ თარიღში კურსის მითითება. ვთქვათ, გვინდა დოლარის კურსის მითითება თარიღში 11.02.2006-ში - კურსი 1.83. ამის დასაფიქსირებლად კურსორით მონიშნული უნდა იყოს სასურველი ვალუტა, ჩვენს შემთხვევაში USD. შემდეგ ეკრანის ქვედა ნაწილში დააჭიროთ ლილავს "კურსის დამატება - InS" - .



ველში “თარიღი” შეგიძლიათ ხელით ავრიფოთ 11.02.2006 ან აირჩიოთ კალენდრიდან, რომელსაც გამოიძახებთ ლილავით - . ველში “კურსი” მიუთითეთ - 1.83 და დააჭირეთ “OK” - ს. ამის შემდეგ ეკრანის ქვედა ნაწილში დაემატება ახალი კურსი:




ეკრანის ქვედა ნაწილში შესაძლებელია სასურველ თარიღში ვალუტების კურსების ცვლილება ლილავით - , ნაშლა - , დაბეჭდვა - . აქვე შეგიძლიათ ნახოთ ვალუტების დინამიკა სასურველი პერიოდის მიხედვით. სტანდარტულად თავიდან დაყენებულია ის პერიოდი, რომელიც მითითებულია ანალიზურ პერიოდში -

2.01.2006 -დან 1.01.2007 -მდე . მისი ცვლილება შესაძლებელია

ლილავით “კალენდარი” - .

თუ თქვენ გსურთ იხილოთ ვალუტის დინამიკის გრაფიკული სახე, დააჭირეთ ლილავს - .



ეკრანის ზედა ნაწილში მოთავსებული ლილავების საშუალებით ან ლილავით - შეგიძლიათ შეცვალოთ გრაფიკის ფორმა, განზომილება და სათაური. დაბეჭდვას შესძლებთ ლილავით - .



ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ “OK”-ს. შემდეგ დახურეთ ვალუტების სიის ეკრანი.

მას შემდეგ, რაც მოამზადებთ ვალუტების სიას (დააფიქსირებთ მათ კურსებს იმ თარიღების მიხედვით, რომლებშიც მოხდა ესა თუ ის სავალუტო ოპერაცია), შეგიძლიათ შეასრულოთ გატარებები. განვიხილოთ მაგალითი. ვთქვათ, უცხოელი მომწოდებლისგან (შპს “HP Computers”) შევიძინეთ 1000 დოლარის ლირებულების საჭონელი, რომლის ლირებულება დავფარეთ ნაწილ-ნაწილ. კერძოდ, 4 თებერვალს გადავუხადეთ 600


დოლარი, ხოლო დარჩენილი 400 დოლარი - 11 თებერვალს. სიმარტივისთვის შევასრულოთ მხოლოდ თანხის გადახდის გატარებები და ვნახოთ როგორ უნდა მოხდეს პროგრამის საშუალებით ამ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობის გატარებების გავეთება.

ამრიგად, უნდა შევასრულოთ 2 გატარება :


დოკ. N	დებეტი	კრედიტი	თანხა	საფუძველი
4_02	3110 5	1220	600 USD	გადახდილია საქონლის ღირ-ბა
11_02	3110 5	1220	400 USD	გადახდილია საქონლის ღირ-ბა

გამოიხსენეთ გატარებების ეკრანი ლილავით - . შემდეგ დაჭირეთ დამატების ლილავს - . იხილავთ ეკრანს, რომელშიც სადებეტო ანგარიშის მისათითებლად დაგჭირდებათ 3110 - ს გაუხსნათ ორგანიზაციის სახეობის ანგარიში - 3110 5 შპს "HP Computers" (ამ შემთხვევაში კოდით 5). შეავსეთ გატარების დამატების ეკრანი შემდეგნაირად:

როგორც ეკრანზე ხედავთ თანხის ველის გასწვრივ ვალუტის (USD) არჩევის შემდეგ განჩნდა ველები "კურსი" და "ეკვივალენტი". ეს ველები ავტომატურად შეივსო პროგრამის მიერ. როგორც გახსოვთ, 4 თებერვალს დოლარის კურსი დაფიქსირებული იყო 1.82. შესაბამისად, 600 დოლარის ეკვივალენტი გამოვიდა 1092 ლარი.

მომდევნო გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ლილავს -  და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:


დააჭირეთ "OK" - ს. გატარებების ეკრანში იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს:


როდესაც მონიშნულია "ნომინალში" -  ნომინალში, მაშინ

გატარებების ეკრანის სვეტში "ვალუტა" გამოჩნდება იმ ვალუტების აბრევიატურები, რომლებშიც შესრულებულია გატარებები.

თუ გსურთ შესრულებული გატარებების თანხები დინახოთ რომელიმე ვალუტის ექვივალენტში, მაშინ მონიშნეთ "ექვივალენტში". ნახავთ,

რომ მის გასწვრივ გაჩნდება ველი -  ეკვივალენტში.

სადაც,  - ლილავის დახმარებით უნდა აირჩიოთ სასურველი ვალუტა. რის შემდეგაც გატარებების თანხების გადაყვანა მოხდება არჩეული ვალუტის ექვივალენტში იმ კურსის მიხედვით, რა კურსიც იყო დაფიქსირებული ვალუტების სიაში კონკრეტული გატარების შესრულების თარიღში.

**შენიშვნა:** თუ თქვენ სავალუტო გატარების შესრულებისას დადავიქსირებთ ვალუტების სიაში არსებული კურსისგან განსხვავებულ კურსს (ანუ დააჭერთ ლილავს **“დავაფიქსიროთ კურსი”** - ) , მაშინ ეს კურსი გამოჩნდება გატარებების ეკრანის სვეტში **“კურსი”**. სხვა შემთხვევაში ეს ველი ცარიელი იქნება.

ახლა ვნახოთ, როგორ შეიძლება პროგრამამ ავტომატურად შეასრულოს ამ სავალუტო გატარებების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობის გატარებები.

საკურსო სხვაობა ნიშნავს იმას, რომ კურსის ცვალებადობის თარიღებში გამოითვლება ყველა სავალუტო ანგარიშის ნომინალის ნაშთები. ამის შემდეგ გამოიანგარიშება ამ ნომინალის შესაბამისი წინა კურსის ექვივალენტსა და ახალი კურსის ექვივალენტს შორის სხვაობა. აღნიშნული სხვაობის შესაბამისი თანხით განხორციელდება საკურსო სხვაობის გატარებები, რომლებიც აისახება მხოლოდ ნაერთ უწყისში.


საკურსო სხვაობის ავტომატური შესრულება გულისხმობს შემდეგს: სისტემა განსაზღვრავს თქვენს მიერ დაყენებული ბრუნვის დიაპაზონის (საოპერაციო პერიოდის) სანყის თარიღს და ამ თარიღიდან დაწყებული ბოლო გატარების თარიღის ჩათვლით ამოიჩვენებს კურსის ცვალებადობის თარიღებს. სწორედ ამ თარიღებში განხორციელდება საკურსო სხვაობის გატარებები სავალუტო ანგარიშების ნაშთებიდან გამომდინარე.

საკურსო სხვაობის ოპერაციის შესრულება შეიძლება 2 გზით:

1. გამოიძახეთ ვალუტების სია. შემდეგ აირჩიეთ ბარათი **“საკურსო სხვაობა”**.
2. ძირითადი მენიუდან **“ოპერაციები”** აირჩიეთ ქვემენიუ **“საკურსო სხვაობა”**:






ორივე შემთხვევაში იხილავთ ეკრანს:



ველში **“საკურსო სხვაობის ანგარიშები”** მითითებული უნდა იყოს ის ანგარიშები, რომელთა გამოყენებითაც უნდა შესრულდეს საკურსო სხვაობის გატარებები. როგორც ეკრანზე ხედავთ, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების ველებში მითითებულია 5330.

ეკრანის მარცხენა მხარეს ხედავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც მონიშნულია ყველა ანგარიში. თქვენ შეგიძლიათ გადანიშნოთ ის ანგარიშები, რომლებზეც არ გინდათ, რომ შესრულდეს საკურსო სხვაობის ოპერაცია (ანუ ეს ანგარიშები არ გადაფასდეს).

კონკრეტული ანგარიშის გადანიშვნას ან მონიშვნას შესძლებთ, თუ **“თავი”**-ს მარცხენა ლილავით დააჭერთ მის წინ მდებარე ნიშანზე -  (თუ გადანიშნავთ/მონიშნავთ ზედა დონის ანგარიშს მაგ., 1000, მაშინ გადანიშნავთ/მონიშნავთ მისი ყველა ქვეანგარიში). ერთდროულად ყველა ანგარიშის მონიშვნას/გადანიშვნას შესძლებთ შესაბამისად ლილავებით -  / .


თუ მონიშნავთ ველს **“ჯერ წავშალოთ ყველა შესრულებული საკურსო სხვაობა პერიოდში 2.01.2006-1.01.2007”** (ეს პერიოდი აიღება საოპერაციო პერიოდიდან) და ისე შესრულებთ საკურსო სხვაობის ოპერაციას, სისტემა ჯერ წაშლის მოცემულ პერიოდში უკვე შესრულებულ საკურსო სხვაობის ოპერაციებს და მხოლოდ ამის შემდეგ შესრულებს

ახალს.

პროგრამაში შესაძლებელია საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდეს 2 გზით:

1. თუ გასურთ საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდეს იმ თარიღებში, რომლებშიც ვალუტის კურსი შეიცვალა, მაშინ მონიშნული უნდა იყოს ველი "გადაფასვასოთ კურსის ცვლილების თარიღებში" (რასაც ეკრანზეც ხედავთ). შესაბამისად, ეკრანის მარჯვენა მხარეს ნაჩვენებია საოპერაციო პერიოდის რომელ თარიღებში შეიცვალა ესა თუ ის ვალუტა, როგორი იყო ძველი და როგორი გახდა ახალი კურსი.

2. თუ გასურთ გადაფასება (საკურსო სხვაობის გატარებები) მოხდეს კონკრეტულად რომელიმე თარიღში, მაშინ გადანიშნეთ ველი "გადაფასვასოთ კურსის ცვლილების თარიღებში". რის შემდეგაც ნახავთ, რომ ეკრანის მარჯვენა მხარეს გაჩნდება ველი "გადაფასების თარიღი", სადაც ღილაკით - [...] შეგიძლიათ მიუთითოთ საკურსო სხვაობის ოპერაციის შესრულების თარიღი.




მოდით, შევასრულოთ საკურსო სხვაობის გატარებები ორივე გზით და ვნახოთ რა შედეგს მოგვცემს თითოეული მათგანი.


1. მონიშნეთ ველი "გადაფასვასოთ კურსის ცვლილების თარიღებში".


შემდეგ დააჭირეთ ღილაკს - . რის

შემდეგადაც დაიწყება საკურსო სხვაობის ოპერაციის შერულების პროცესი:




რომლის დასრულების შემდეგ (ეს ეკრანი გაქრება) დახურეთ ვალუტების სიის ეკრანი.

ესლა ვნახოთ რა გატარებები შეასრულა აღნიშნულმა ოპერაციამ. გატარებების ნახვას შესძლებთ, როგორც ძირითადი გატარებების ეკრანში ასევე სამეურნეო ოპერაციებში. გამოიძახეთ სამეურნეო ოპერაციები ღილაკით - . ეკრანის ქვედა ნაწილში მოძებნეთ საკურსო სხვაობის ოპერაცია, მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ბარათი "გატარებები":





როგორც ეკრანზე ხედავთ საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდა იმ თარიღებში, რომელშიც დაფიქსირებული იყო ვალუტის კურსები. ეს გატარებები რა თქმა უნდა შესრულდა ჩვენს მიერ გაცემებული პირველი სავალუტო გატარების შემდეგ, რომელიც შევასრულეთ 04.02.2006-ში.

2. მეორე ვარიანტის განხილვისთვის ჯერ ნავშალოთ ჩვენს მიერ შესრულებული საკურსო სხვაობის ოპერაცია. ამისათვის, დაბრუნდით ბარათში "ოპერაციები", მონიშნეთ ნასაშლელი ოპერაცია და დააჭირეთ

ლილავს “ნაშლა” - .

ძირითადი მენიუდან “ოპერაციები” აირჩიეთ ქვემენიუ “საკურსო სხვაობა”. შემდეგ გადანიშნეთ ველი “გადავავასოთ კურსის ცვლილების თარიღებში”. რის შემდეგაც ნახავთ, რომ ეკრანის მარჯვენა მხარეს გაჩნდება ველი “გადავავასების თარიღი”, სადაც მიუთითეთ - 31.12.2006.

შემდეგ დააჭირეთ ლილავს -  შვეიცარულეთი საქონლის სხვაობის ოპერაცია. საკურსო სხვაობის ოპერაციის დასრულების შემდეგ დახურეთ ვალუტების სიის ეკრანი და გამოიძახეთ სამეურნეო ოპერაციები. მონიშნეთ საკურსო სხვაობის ოპერაცია და დააჭირეთ ბარათს “გატარებები”:



თარიღი	საპროცენტო	საპროცენტო	თანხა	საპროცენტო	საპროცენტო	საპროცენტო	საპროცენტო		
31.12.2005	5330	ს 1220	2	6.00	800 F0860	0	საპროცენტო სხვაობა 366.1 2 20 USD ნაშლი	ბაიო სკაოლი	5.04.200
31.12.2005	5330	ს 3110 3	8	0.01	800 F0860	0	საპროცენტო სხვაობა 366.3 1 10 3 USD ნაშლი	ბაიო სკაოლი	5.04.200
31.12.200	3110 5	3 5330	ს	6.00	800 F0860	0	საპროცენტო სხვაობა 366.3 1 10 5 USD ნაშლი	ბაიო სკაოლი	5.04.200

როგორც ეკრანზე ხედავთ საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდა მხოლოდ ერთ თარიღში - 31.12.2006-ში. პროგრამამ ნახა ამ თარიღში ვალუტის რა კურსი იყო დაფიქსირებული და გადაავასა ამ კურსის მიხედვით ანგარიშების ნაშთები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ სავალუტო ოპერაციებისას.

## თავი 12

### სამეურნეო ოპერაციები

აქამდე ჩვენ განვიხილეთ, სად და როგორ შეიძლება პროგრამაში საბუღალტრო გატარებების შესრულება. კერძოდ, უშუალოდ გატარებების ეკრანიდან, ხოლო ხელფასთან, ძირითად საშუალებებთან, პირველად დოკუმენტებთან, საკურსო სხვაობასთან დაკავშირებული ოპერაციების ყველა გატარება, რომელიც სრულდებოდა შესაბამის ეკრანებში, ავტომატურად აისახებოდა, როგორც სამეურნეო ოპერაციების, ასევე გატარებების ეკრანებში.


გატარებების ეკრანში ყოველი საბუღალტრო გატარების დამატებისას ხელით უნდა მივუთითოთ სადებეტო და საკრედიტო ანგარიშის ნომრები, ამა თუ იმ დასაფორმირებელი დოკუმენტის დასახელება და სხვა. სისტემაში არსებობს სამეურნეო ოპერაციის მცნება, რომელიც გულისხმობს ერთი ან რამოდენიმე გატარების ავტომატურ შესრულებას, საჭირო თანხების გამოსათვლელად მათემატიკური მოქმედებების გამოყენებას, სხვადასხვა საბუღალტრო დოკუმენტების დაფორმირებას, ამა თუ იმ ანგარიშების ავტომატურ შექმნას (გახსნას) და სხვა. პროგრამა საშუალებას გაძლევთ ერთხელ დააფიქსიროთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე საჭირო ოპერაციების შესაბამისი გატარებები და შემდეგ სამეურნეო ოპერაციით, რომელიც დიალოგის სახით მიმდინარეობს, შეასრულოთ იგი. პროგრამის ამ შესაძლებლობით მარტივდება ბუღალტერიის წარმოება, მინიმუმამდე დადის გატარებების შესრულებისას დაშვებული შეცდომები, მცირდება დრო და რაც მთავარია შესრულებული ოპერაციები ხდება გასაგები და კითხვადი, რაც თავის მხრივ აიოლებს მათ შემდგომ ანალიზს.

### სამეურნეო ოპერაციების შესრულება

პროგრამაში არსებობს უკვე აწყობილი ტიპური ოპერაციები, რომლებიც შეიძლება ნებისმიერი ორგანიზაციის ბუღალტერს გამოადგეს. შესაძლებელია ამ ოპერაციების გადაკეთება ან ახლის აწყობა. მოდით,

ჯერ განვიხილოთ, როგორ შეიძლება არსებული ოპერაციების შესრულება.


სამეურნეო ოპერაციების გამოძახება შეიძლება სამი გზით: 1. ძირითადი მენიუდან “**ოპერაციები**” აირჩიეთ ქვემენიუ “**სამეურნეო ოპერაციები**”:



2. ძირითადი ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე აირჩიეთ ლილავი




3. კლავიატურაზე დააჭირეთ კლავიშების კომბინაცია - **Ctrl+პ**. სამივე შემთხვევაში იხილავთ ეკრანს:




როგორც ხედავთ, აღნიშნული ეკრანი შედგება ორი ნაწილისგან.

ზედა ნაწილში ჩანს პროგრამაში არსებული შესასრულებელი ტიპური ოპერაციების ჩამონათვალი:



შესასრულებელი ოპერაციები დალაგებულია თემატურად. კერძოდ, სალაროსთან და ბანკთან დაკავშირებული ოპერაციები დაჯგუფებულია ერთად, საქონელთან ერთად და ა.შ.

სამეურნეო ოპერაციების ეკრანის ქვედა ნაწილში ჩანს უკვე შესრულებული ოპერაციები:



სამეურნეო ოპერაციების ქვედა ნაწილში გამოჩნდება ის ოპერაციები, რომლებსაც შესრულებთ ამავე ან ხელფასის, ძირითადი საშუალებების, პირველადი დოკუმენტების და ვალუტის ეკრანებში. ამ შემთხვევაში ჩანს სწორედ ის ოპერაციები, რომლებიც თქვენ შესრულეთ: ხელფასის, ძირითადი საშუალებების, საურსო სვავების და პირველადი დოკუმენტების ეკრანებში (ეს ოპერაციები შესრულდა დოკუმენტაციის წინა თავების განხილვისას). ერთადერთი ამ ეკრანში არ მოხვდება უშუალოდ გატარებების ეკრანში შესრულებული გატარებები.

თუ გსურთ ნახოთ რომელიმე კონკრეტული ოპერაციის მიერ შესრულებული გატარებები, მაშინ კურსორით მონიშნეთ სასურველი

მათგანი (მაგ. ხელფასი) და აირჩიეთ ბარათი - **გატარებები**.


დღე	თარიღი	საღმ.ანგ.	სარგ.ანგ.	თანხა	ვალ.	სოფრ.	სოფრ.	სოფრ.	სოფრ.	საშუაველი	საქ.	შპს
10	30.03.200	7410	შ 3130 0002	რ	400.00	GEL			შთ.წინგინ	3	ღარიმისული ხელფასი (აღმინისტრაცია)	გაპრო
10	30.03.200	7410	შ 3130 0003	რ	500.00	GEL			შთ.წინგინ	3	ღარიმისული ხელფასი (აღმინისტრაცია)	გაპრო
10	30.03.200	1630	დ 3130 0001	ს	350.00	GEL			შთ.წინგინ	3	ღარიმისული ხელფასი	გაპრო
10	30.03.200	1630	დ 3130 0004	ს	550.00	GEL			შთ.წინგინ	3	ღარიმისული ხელფასი	გაპრო
10	30.03.200	3130 0000	ქ 3320 1	რ	42.00	GEL			შთ.წინგინ	3	12% საბიზნოსალო	გაპრო
10	30.03.200	3130 0000	ქ 3320 1	რ	66.00	GEL			შთ.წინგინ	3	12% საბიზნოსალო	გაპრო
10	30.03.200	7410	შ 3370 2	რ	180.00	GEL			შთ.წინგინ	3	20% სოს.დაზღვევა (აღმინისტრაცია)	გაპრო
10	30.03.200	1630	დ 3370 2	რ	180.00	GEL			შთ.წინგინ	3	20% სოს.დაზღვევა	გაპრო

აქვე შესაძლებელია დაალაგოთ ოპერაციის მიერ შესრულებული გატარებები თქვენთვის სასურველი თანმიმდევრობით თუ დააჭერთ ღილაკს **“დალაგება F6”** -

თქვენთვის სასურველი ველების გამოჩენა-გაქრობას შესძლებთ ღილაკით **“სიის აწყობა F11”** -

თუ საჭირო გახდა რომელიმე გატარების გაკორექტირება ამისათვის, მონიშნეთ სასურველი მათგანი და დააჭირეთ ღილაკს **“გატარებები...”**

- , რომლის საშუალებითაც გაიხსნება გატარებების ეკრანი და კურსორით მონიშნული იქნება საჭირო გატარება. გაითვალისწინეთ, რომ თუ ამ მოქმედებამდე გატარებების ეკრანი წინასწარ გაღებული არ გქონდათ, მაშინ ხსენებულ ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოვა შეტყობინება:




ამიტომ ჯერ გააღეთ გატარებების ეკრანი და შემდეგ გაიმეორეთ

იგივე მოქმედებები.

მოდით, ახლა განვიხილოთ როგორ ხდება უშუალოდ რომელიმე აწყობილი ოპერაციის შესრულება.

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, ანგარიშვალდებულმა პირმა სალაროში დააბრუნა თანხა 200 ლარის ოდენობით.

ამ ოპერაციის შესასრულებლად საჭიროა განვსაზღვროთ სად შეიძლება იყოს მოთავსებული იგი აწყობილი ოპერაციების სიაში. სავარაუდოდ ეს იქნება შემდეგ მენიუში: **“ანგარიშვალდებულ პირები / დებიტორები”**. საჭირო ოპერაციის შესასრულებლად კურსორით მონიშნეთ იგი და 2-ჯერ დააჭირეთ შესაბამის მენიუს (ან Enter-ს ან მის წინ მოთავსებულ ნიშანს - ).




როგორც ეკრანზე ხედავთ მენიუ **“ანგარიშვალდებულ პირები / დებიტორები”** შედგება რამოდენიმე ოპერაციისგან. ჩვენთვის სასურველი მათგანი **“ფულის მიღება ანგ-ვალ.პირისგან სალაროში / ბანკში”** უკვე მონიშნულია კურსორით. ამიტომ დააჭირეთ Enter-ს. რის შემდეგაც დაიწყება ოპერაციის შესრულება, რომელიც დიალოგის სახით მიმდინარეობს. შესასრულებელი გატარებისთვის საჭირო ინფორმაციას, იქნება ეს ანგარიშები, თანხები თუ სხვა, მოითხოვს ცალ-ცალკე ეკრანებში. თუ ოპერაციის შემდეგ საჭიროა რომელიმე საბუღალტრო დოკუმენტის დაფორმირება და დაბეჭდვა, გატარების დასრულების შემდეგ ავტომატურად შეასრულებს მას.

პირველად მოითხოვება სამეურნეო ოპერაციის თარიღისა და პროექტის მითითება:



თუ გსურთ ოპერაციის შესრულება სხვა თარიღში და პროექტში შეიტანეთ შესაბამისი ცვლილებები და შემდეგ ეკრანზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს - **გადავამო** >. იხილავთ ეკრანს, სადაც უნდა მიუთითოთ თანხა:




საჭიროების შემთხვევაში (თუ წინა ეკრანში რაიმე ინფორმაცია არასწორად მიუთითეთ) შესაძლებელია უკან დაბრუნება ღილაკით - **< უკან** > .

აკრიფეთ 200 და დააჭირეთ ღილაკს - **გადავამო** > ან Enter-ს. იხილავთ ეკრანს, სადაც უნდა აირჩიოთ ვალუტა:




რადგანაც მონიშნულია ქართული ლარი, ამიტომ დააჭირეთ Enter - ს. შემდეგ ეკრანში უნდა აირჩიოთ ანგარიშვალდებული პირი:




როგორც ხედავთ აღნიშნულ ეკრანზე განლაგებულია თქვენთვის ნაცნობი ღილაკები: დამატება, კორექტირება, წაშლა და სხვა. აქედან გამომდინარეობს, რომ აქვე შესაძლებელია ახალი ქვეანგარიშის დამატება, წაშლა და ა.შ.


კურსორით მონიშნეთ ანგარიში 1430 0001 - **ჭაჭაჭაჭაჭა დავითი** და დააჭირეთ ღილაკს - **გადავამო** > . შემდეგ ეკრანზე საჭიროა მიეთითოს ციფრი 1, თუ თანხა შემოდის სალაროში, ხოლო ბანკის შემთხვევაში - 2.



როგორც ეკრანზე ხედავთ ავტომატურად მითითებულია 1. ამიტომ დააჭირეთ ღილაკს - **გადავამო** > . ამის შემდეგ საჭიროა მიეთითოს ოპერაციის საფუძველი. მაგალითად, აკრიფეთ: “შემოტანილია ნაღდი ფული ანგარიშვალდებული პირის მიერ”:



დააჭირეთ ღილაკს - **გადავამო** > . ამის შემდეგ პროგრამა მოითხოვს სალაროს შემოსავლის ორდერის ნომრის მითითებას:



მაგალითისთვის მიუთითეთ 10 და დააჭირეთ Enter-ს. ამით დასრულდება ოპერაციისთვის საჭირო ინფორმაციის შეტანა და ეკრანზე დაფორმირდება სალაროს შემოსავლის ორდერი:

შპს "აქო 2005"

საქართველო, თბილისი

სალაროს შემოსავლის ორდერი N 10

რიცხვი თვე 2006 წ.

19.03.2006

მაკონსპონდირებული ანგარიში, ს.ბ. ანგარიში	ანალოგიური აღრიცხვის კოდი	თანხა	მიწოდების აღნიშვნის კოდი
		200.0 GEL	

მიღებულ თანხა **თანაბრად დაწილი მიზანი**

საშუალო **შემიტანისა ნაღდი ფული**

**ანგარიშსწორების მიზნის მიხედვით**

ორდერი **არააღიარებული** და **00** ლარი

დასრული **სინქრონიზაცია** ლარი

მიწოდების ბუღალტერი **მიწოდების ბუღალტერი**

19.03.2006

შპს "აქო 2005"

საქართველო, თბილისი

ქვითარი

სალაროს შემოსავლის ორდერი N 10

მიღებულ თანხა **თანაბრად დაწილი მიზანი**

საშუალო **შემიტანისა ნაღდი ფული**

**ანგარიშსწორების მიზნის მიხედვით**

ორდერი **არააღიარებული** და **00** ლარი

დასრული **სინქრონიზაცია** ლარი

მიწოდების ბუღალტერი **მიწოდების ბუღალტერი**

19.03.2006

შპს "აქო 2005"

საქართველო, თბილისი

ქვითარი

სალაროს შემოსავლის ორდერი N 10

მიღებულ თანხა **თანაბრად დაწილი მიზანი**

საშუალო **შემიტანისა ნაღდი ფული**

**ანგარიშსწორების მიზნის მიხედვით**


ორდერი **არააღიარებული** და **00** ლარი

დასრული **სინქრონიზაცია** ლარი

მიწოდების ბუღალტერი **მიწოდების ბუღალტერი**

19.03.2006

თუ გსურთ სალაროს შემოსავლის ორდერის დაბეჭდვა აირჩიეთ ლილავი - . ჩვენს შემთხვევაში დააჭირეთ ლილავს "უარი" - . ამის შემდეგ გამოვა ოპერაციის დასრულების ეკრანი:



დააჭირეთ ლილავს - **დასასრული**. შესრულებული ოპერაციების სიაში იხილავთ ახალ ჩანაწერს:

შემა

ოპერაციის დასასრული


ოპერაციის დასასრული


თარიღი	კოდი	შემა / ოპერაციის დასასრული	შემა / ოპერაციის დასასრული	ოპერაციის დასასრული
31.05.2006	00.0000	ოპერაციის დასასრული	სსსპ-ის ანგარიში	6
31.05.2006	00.0000	ოპერაციის დასასრული	სსსპ-ის ანგარიში	7
30.12.2006	00.0000	ოპერაციის დასასრული	სსსპ-ის ანგარიში	4
19.03.2006	00.0000	ოპერაციის დასასრული	სსსპ-ის ანგარიში	10


როგორც ოპერაციის შესრულებისას ნახეთ გამოყენებული არ იყო საბუღალტრო ტერმინები, საერთოდ არ ფიგურირებდა სადებეტო (სალაროს) ანგარიში 1110. ამასთანავე, ანგარიშსწორების მიზნის ასარჩევად ეკრანზე იხილეთ მხოლოდ 1430 - ის ქვეანგარიში და არა მთელი ანგარიშთა გეგმა. საბუღალტრო დოკუმენტის დასაბეჭდად არ მოგინიათ სალაროს შემოსავლის ორდერის მოძებნა. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს პროგრამის ნებისმიერ მომხმარებელს (თუნდაც მას არ ჰქონდეს ბუღალტრული განათლება) მარტივად და სწრაფად შეასრულოს ესა თუ ის საბუღალტრო ოპერაცია.


იგივენაირად შეიძლება სხვა ნებისმიერი ანუ ანგარიშის საშუალო ოპერაციის შესრულება.

პროგრამა საშუალებას გაძლევს გაფილტროთ უკვე შესრულებული


ოპერაციების სია თარიღით, პროექტით, ოპერაციით, შემსრულებლით და ოპერაციის ტექსტით თუ დააჭირთ ღილაკს **ფილტრი** - .



იმისდამიხედვით რითი გსურთ შესრულებული ოპერაციების გაფილტვრა მონიშნეთ სასურველი ველი და შეიტანეთ შესაბამისი მნიშვნელობა. ფილტრის განმეინდა ხდება ღილაკით - . ჩვენს შემთხვევაში დააჭირეთ ღილაკს - **Cancel**.






თუ გსურთ ამა თუ იმ ოპერაციის ნაშლა კურსორით უნდა მონიშნოთ იგი და დააჭიროთ ღილაკს - , რაც გამოიწვევს ოპერაციის მიერ შესრულებული ყველა გატარების ნაშლას აქაც და გატარებების ეკრანშიდაც. ეს ძალიან მოსახერხებელი საშუალებაა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გატარებებს გავეთვებით ხელით გატარებების ეკრანში, მაშინ მათი ნაშლისთვის უნდა მოგეძებნათ ისინი, ყველა მოგენიშნათ და ისე წაგეშალათ. აქ კი, რადგანაც ხელფასის გატარებები დაჯგუფებულია ერთად, ამიტომ საკმარისია მონიშნოთ შესაბამისი ოპერაცია და ნაშალოთ.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში თუ თქვენ გატარებების ეკრანში კურსორით მონიშნული გექნებოდათ იმ ოპერაციის მიერ შესრულებული რომელიმე გატარება, რომელსაც ნაშლით, მაშინ გატარებების ეკრანში დაბრუნებისას ეკრანზე იხილავთ შეტყობინებას:



ასეთ შემთხვევაში დააჭირეთ **“OK”** - ს. რის შემდეგაც გატარებების ეკრანიდან ამოვარდება ნაშლილი ოპერაციის მიერ

შესრულებული გატარებები.


- , სიის აწყობას ღილაკით - , ეკრანის განახლებას ღილაკით
- , ღილაკი **“შესრულებული ოპერაციის დოკუმენტები - Alt+F3”**
- , გააქტიურდება მხოლოდ ისეთი ოპერაციის მონიშვნისას, რომლის შესრულებისას დაფორმირდა ესა თუ ის საბუღალტრო დოკუმენტი. სხვა შემთხვევაში ეს ღილაკი იქნება ბაცი ფერის. ამ ღილაკის არჩევის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაბეჭდოთ ეს დოკუმენტი. სამეურნეო ოპერაციების ეკრანში არის კიდევ ღილაკი **“ოპერაციის დამატება - Ctrl+Ins”** - , რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.


### *T გატარება*

პროგრამაში შესაძლებელია ე.წ. T გატარების შესრულება. ამის საშუალებას სისტემა იძლევა, როგორც გატარებების (იხილეთ თავი 5 **“საბუღალტრო გატარებების შესრულება”**), ასევე სამეურნეო ოპერაციების ეკრანში.

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, ჩვენმა ორგანიზაციამ გაყიდა 1500 ლარის ღირებულების საქონელი (დღგ-ს ჩათვლით) შემდგომი გადახდის პირობით. საჭიროა შესრულდეს შემდეგი გატარებები:


- დებეტი: 1410 4 - 1180 ლარი
- კრედიტი: 6110 - 1000 ლარი
- 3330 - 180 ლარი

რადგანაც ესა ჩვენ განვიხილავთ სამეურნეო ოპერაციებს, ამიტომ T გატარების შესასრულებლად შესრულებული ოპერაციების ეკრანში დააჭირეთ ღილაკს **“ოპერაციის დამატება - Ctrl+Ins”** - . იხილავთ ეკრანს:




T გატარების შესრულების მაგალითი შეგიძლიათ ნახოთ ლილავით


- ? T გატარების მაგალითი .





დახურეთ ეს ეკრანი "OK" ლილავზე დაჭერით.


ჩვენი მაგალითის შესასრულებლად T გატარების ეკრანში მიუთითეთ თარიღი - 21.03.2006, დოკუმენტის ნომერი - 15 და საფუძველი - "გაყიდულია 1180 ლარის ღირებულების საქონელი (დღგ-ს ჩათვლით) შემდგომი გადახდის პირობით" შესაბამის ველებში. შემდეგ სადებეტო ანგარიშის და თანხის მისათითებლად დააჭირეთ დამატების ლილავს -


 ეკრანზე იხილავთ:



გააქტიურებული ველის "ანგარიში" ქვევით დააჭირეთ ლილავს -  (ან კლავიშების კომბინაციას Alt+B). იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც აირჩიეთ 1410 4. ველში დებეტი აკრიფეთ 1180 და დააჭირეთ Enter - ს.

საყრდითო ანგარიშის და თანხის მისათითებლად კვლავ დააჭირეთ დამატების ლილავს - . ველში "ანგარიში" აირჩიეთ 6110. რის შემდეგაც შეამჩნევთ, რომ გააქტიურებული იქნება ველი "კრედიტი", სადაც განმეორებულია თანხა 1180. მის ნაცვლად აკრიფეთ 1000 და დააჭირეთ Enter - ს.

მეორე საყრდითო ანგარიშის და თანხის მისათითებლად კვლავ დააჭირეთ დამატების ლილავს - . ველში "ანგარიში" აირჩიეთ 3330. ველში "კრედიტი" ავტომატურად ჩაჯდება თანხა 180. დააჭირეთ Enter-ს. საბოლოოდ ეკრანზე მიიღებთ:







კონკრეტული ოპერაციების ასანწყობად გამოიყენება შემდეგი ლილავები:



- გატარება;



- ანგარიშზე მდგომარეობა;



- ფორმულა;



- მნიშვნელობა გატარებებიდან;



- ვალუტის კურსი;



- დოკუმენტის ფორმირება;



- ანგარიშის მოთხოვნა / ფორმირება;



- თანხის / რაოდენობის მოთხოვნა;



- ვალუტის / კურსის მოთხოვნა;



- ტექსტის მოთხოვნა;



- თარიღის / პროექტის მოთხოვნა;



- ოპერაციის კომენტარი;



- პირობა;



- დაბრუნება ცვლადზე;



- ოპერაციის დასასრული;



- გავნიოთ ერთი ხაზით მარცხნივ;



- გავნიოთ ერთი ხაზით მარჯვნივ;



- ოპერაციების ხის შეკუმშვა;



- ავნიოთ ერთი ხაზით ზევით;



- ჩამოვნიოთ ერთი ხაზით ქვევით;



- Copy;



- Paste.



- კორექტირება - F2;



- წაშლა - Delete;



- დამახსოვრება - Ctrl+S;



- მიმდინარე ოპერაციის ბეჭდვა.



- ძიება - F5;



- ოპერაციის ექსპორტი;




- ოპერაციის იმპორტი;


მაგალითისთვის ავანწყობთ თანხის შემოსვლის ახალი ოპერაცია, რომელიც თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ორ ქვეოპერაციად: თანხის შემოსვლა ნაღდით და თანხის შემოსვლა უნაღდოთ, ე.ი. უნდა ავაგოთ ოპერაციების ხე. აწყობამდე აირჩიეთ ლილავი “ოპერაციების ხის შეკუმშვა” -




ეკრანზე იხილავთ:





ესლა დაეინცოთ ოპერაციის ხის აწყობა. აირჩიეთ ლილაკი “მენიუ”


- . იხილავთ ეკრანს:




აყრიფეთ “თანხის შემოსვლა” და დააჭირეთ “OK” - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ დამატებული მენიუ ჩაჯდება შესასრულებელი ოპერაციების სიაში:





შემდეგ აირჩიეთ ლილაკი “ქვემენიუ” - . იხილავთ ეკრანს:





აყრიფეთ “ნაღდი” და დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:




ესლა დაეინცოთ აღნიშნული ოპერაციის აწყობა. ამისათვის, პირველ რიგში აირჩიეთ ლილაკი “გატარება” - , რათა დავამატოთ ჩვენთვის საჭირო გატარება. იხილავთ ეკრანს:




ველში “საღებეტო ანგარიში” ლილაკით - . აირჩიეთ 1110, ხოლო ველში “საკრედიტო ანგარიში” - 1410. ველში “თანხა W01” ჩანერეთ - 100. ამ ველების შევსების შემდეგ მიიღებთ ეკრანს:




დააჭირეთ "OK" - ს. ნახავთ, რომ ეკრანზე დაემატება "გატარების" ცვლადი W01:




ამ ოპერაციის შესასრულებლად აირჩიეთ ბარათი "შესრულება". იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ "Yes" - ს. შესასრულებელი ოპერაციების სიაში კურსორით მონიშნეთ ოპერაცია "თანხის შემოსვლა" და დააჭირეთ - **[+]** შემდეგ აირჩიეთ ქვეოპერაცია "ნაღდი" და შესასრულეთ იგი. იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ ლილავს "შემდეგი". იხილავთ ეკრანს:




კურსორით მონიშნეთ ანგარიში 1410 4 და კვლავ დააჭირეთ ლილავს "შემდეგი". იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ ლილავს "დასასრული". რის შემდეგაც ნახავთ, რომ თქვენს მიერ შესრულებული ოპერაცია დაემატა შესრულებული ოპერაციების სიაში:



მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ბარათი "გატარებები". იხილავთ ეკრანს:




ეს ოპერაცია არის ხისტი, რადგან ის განუყოფელია მხოლოდ ერთი გატარების შესრულებისთვის თანხით 100 ლარი. ესაა ავანსოთ ოპერაცია ნებისმიერი თანხისათვის. სანამ ამას გავაკეთებდეთ წაშალეთ ბოლოს შესრულებული ოპერაცია. ამისათვის, შესრულებული ოპერაციების სიაში კურსორით მონიშნეთ შემთხვევითი ოპერაცია და აირჩიეთ ლილავი "წაშლა" - . იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ "OK" - ს. დაინახავთ, რომ ეს ოპერაცია ამოვარდება შესრულებული ოპერაციების სიიდან. შემდეგ კვლავ აირჩიეთ ბარათი


"ანკობა". იხილავთ ოპერაციების ანკობის ეკრანს, (ქვემოთ "წაღი" მონიშნული უნდა იყოს) სადაც აირჩიეთ ლილავი "თანხის / რაოდენობის მოთხოვნა" - . იხილავთ ეკრანს:



ველში "შეკითხვის ტექსტი" აკრიფეთ - "მიუთითეთ თანხა" და დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ დაემატა "თანხის / რაოდენობის მოთხოვნის" ცვლადი - P01:




თანხის ცვლადის დამატების შემდეგ გააკორექტირეთ გატარება (ცვლადი W01), ამისათვის, მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ლილავი "კორექტირება" - (ცვლადის კორექტირებას ასევე შესძლებთ თუ დააჭირებთ F2 - ს ან 2-ჯერ "თავი" - ს მარცხენა ლილავს). იხილავთ ეკრანს, სადაც ველში "თანხა W01" წაშალეთ 100. შემდეგ მის გასწვრივ აირჩიეთ ლილავი "ცვლადების სია" - . იხილავთ ეკრანს:




აირჩიეთ ცვლადი P01 და დააჭირეთ "OK" - ს.

ამის შემდეგ დავამატოთ კიდევ ერთი გატარება. ამისათვის, კურსორით მონიშნეთ ცვლადი W01 და აირჩიეთ ლილავი "გატარება"


- . იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:





დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს :




მიატყვიეთ ყურადღება იმას, რომ ორივე გატარებაში მონაწილეობას იღებს 1410 ანგარიში, რაც გამოიწვევს ოპერაციის შესრულებისას ამ ანგარიშის სუბანგარიშების ასარჩევი სიის 2 - ჯერ გამოტანას. ამის თავიდან ასაცილებლად წინასწარ მოვითხოვთ ეს ანგარიში და მისი შესაბამისი ცვლადი გამოვიყენოთ გატარებებში.


ამისათვის, კურსორით მონიშნეთ ცვლადი P01 და აირჩიეთ ლილავი "ანგარიშის მოთხოვნა / ფორმირება" - . იხილავთ ეკრანს:




ველში "ანგარიში" ლილავით -  აირჩიეთ 1410 ანგარიში, ველში "შეკითხვის ტექსტი" ავრიფეთ "აირჩიეთ მყიდველი" და მონიშნეთ ველი "სუბ ანგარიშის არჩევა" (იმისათვის, რომ სისტემამ ოპერაციის შესრულების დროს ეკრანზე გვიჩვენოს ისეთი ანგარიშის მოთხოვნის ეკრანი, რომელსაც არ აქვს გახსნილი არცერთი სუბანგარიში). ველების შევსების შემდეგ ეკრანს ექნება შემდეგი სახე:



დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ "ანგარიშის მოთხოვნა / ფორმირების" ცვლადია A01.




კურსორით მონიშნეთ ცვლადი W01 (პირველი გატარება) და დააჭირეთ კორექტირების ლილავს - . ველის "საკრედიტო ანგარიში" გასწვრივ აირჩიეთ ლილავი - . იხილავთ ეკრანს:



აირჩიეთ ცვლადი A01 და დააჭირეთ "OK" - ს. შემდეგ პირველი


გატარების მსგავსად გააკორექტირეთ ცვლადი W02 (მეორე გატარება), სადაც ველის "სადებეტო ანგარიში" გასწვრივ მდებარე ლილავის - დახმარებით აირჩიეთ ცვლადი A01 და დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს:



ამის შემდეგ დაამატეთ მესამე გატარება. ამისათვის, მონიშნეთ ცვლადი W02 და აირჩიეთ ლილავი "გატარება" - . ველში "სადებეტო ანგარიში" მიუთითეთ ცვლადი A01, "საკრედიტო ანგარიში" - 3330, ხოლო ველში "თანხა" -  $W02 * 0.18$ . დააჭირეთ "OK" - ს.


იმისათვის, რომ გნახოთ როგორ შესრულდება ეს ოპერაცია აირჩიეთ ბარათი "შესრულება", კითხვაზე "დავიმასსოვროთ ანგარიშის ოპერაციები?" უპასუხეთ "Yes".


შესასრულებელი ოპერაციების სიაში მოძებნეთ თქვენს მიერ დამატებული ოპერაცია და შესასრულეთ იგი. თარიღის მითითების შემდეგ სისტემა მოგთხოვთ თანხის მითითებას:





აკრიფეთ მაგ: 120 და დააჭირეთ ლილავს "შემდეგი". ამის შემდეგ იხილავთ 1410 ანგარიშის ქვენანგარიშებს, სადაც აირჩიეთ 1410 4 და დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ლილავით. ეკრანის ქვედა ნაწილში


იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ ოპერაციას. ამ ოპერაციის გატარებების სანახავად, მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ბარათი “გატარებები”. იხილავთ ეკრანს:






როგორც ნახეთ სისტემამ მხოლოდ ერთხელ მოგთხოვათ 1410 - ის ქვენგარშის მითითება და ავტომატურად ჩასვა იგი სამივე გატარებაში. აირჩიეთ ბარათი “ოპერაციები” და ნაშალეთ თქვენს მიერ ბოლოს შესრულებული ოპერაცია (ლილავი - ).


მოდით, ესლა ოპერაციას მოვათხოვინოთ დოკუმენტის ნომერი და საფუძველი. ამისათვის, აირჩიეთ ბარათი “ანყობა” და შემდეგ ლილავი “ტექსტის მოთხოვნა” - . იხილავთ ეკრანს:



ველში “შეკითხვის ტექსტი” აკრიფეთ “დოკუმენტის N”, მონიშნეთ ველი “დოკუმენტი” და დააჭირეთ “OK” - ს. ნახავთ, რომ თქვენს მიერ ანყობილ ოპერაციაში დავამატა ტექსტის მოთხოვნის ცვლადი - T01. შემდეგ კურსორით მონიშნეთ ცვლადი A01 და კვლავ აირჩიეთ ლილავი “ტექსტის მოთხოვნა” - . ველში “შეკითხვის ტექსტი” აკრიფეთ “მიუთითეთ საფუძველი” და დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:





ამის შემდეგ კურსორით მონიშნეთ ცვლადი W01 და დააჭირეთ კორექტირების ლილავს - . ველში “დოკუმენტი” ლილავის -  დახმარებით აირჩიეთ ცვლადი T01, ხოლო ველში “საფუძველი” - ცვლადი T02, უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:





დააჭირეთ “OK” - ს. W02 და W03 გატარებებში ასევე მიუთითეთ დოკუმენტის ნომრის ცვლადი - T01.

ვთქვათ, თანხა შემოდის სხვადასხვა ვალუტაში და გსურს ოპერაციის შესრულებისას დააფიქსიროთ ვალუტა. ამისათვის, თანხის მოთხოვნის შემდეგ სისტემას მოვათხოვინოთ ვალუტა, რომელიც ასევე უნდა აისახოს შესაბამის გატარებებში. მონიშნეთ ცვლადი P01 და დააჭირეთ

ლილავს “ვალუტის / კურსის მოთხოვნა” - . იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




დააჭირეთ “OK” - ს. ნახავთ, რომ ვალუტის მოთხოვნის ცვლადია V01. ამის შემდეგ გააკორექტირეთ პირველი გატარების ცვლადი W01 და ველში “ვალუტა” ლილავით -  აირჩიეთ ცვლადი V01.



დააჭირეთ “OK” - ს. ანალოგიური ცვლილებები შეიტანეთ W02 და W03 ცვლადებში.

ახლა ვნახოთ თუ როგორ შეიძლება შესრულდეს არჩეული ვალუტის შესაბამისი გატარება, ანუ თუ ავირჩევთ ეროვნულ ვალუტას შესრულდეს გატარება: დ.110 - კ.1410; ხოლო თუ ავირჩევთ უცხოურ ვალუტას - დ.1120 - კ.1410.


ამისათვის, მონიშნეთ ცვლადი W01 და დაამატეთ ახალი გატარების ცვლადი, რომლის ველები შეავსეთ შემდეგნაირად:







იმისათვის რომ ოპერაციაში განასხვავოს, ვალუტის არჩევის დროს რომელი გატარება უნდა შესრულდეს, საჭიროა დავწეროთ პირობა. ამისათვის, მონიშნეთ T02 ცვლადი და აირჩიეთ ლილავი “პირობა” -



იხილავთ ეკრანს:





ველის “თუ” გასწვრივ დააჭირეთ ლილავს - . იხილავთ ცვლადების სიას, სადაც აირჩიეთ V01 ცვლადი. ხოლო მეორე ველში დააჭირეთ ლილავს -  და აირჩიეთ ტოლობის ნიშანი =, მესამე ველში აკრიფეთ @GEL (სადაც @ ნიშნავს სიმბოლურს), ხოლო ველში “წინააღმდეგ შემთხვევაში გადავიდეთ ცვლადზე” ლილავით -  აირჩიეთ W04. ველების შევსების შემდეგ ეკრანს ექნება სახე:





ე.ი თუ პირობა იქნება ჭეშმარიტი, შესრულდება W01 გატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში - W04. დააჭირეთ OK - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ პირობის ცვლადია I01.


იმისათვის რომ სისტემამ W01 გატარების შესრულების შემდეგ არ


შეასრულოს W04 გატარებაც, ამისათვის მონიშნეთ ცვლადი W01 და აირჩიეთ ლილავი “დაბრუნება ცვლადზე” - . იხილავთ ეკრანს:




ველში “გადავიდეთ ცვლადზე” ლილავის -  დახმარებით აირჩიეთ ცვლადი W02, ხოლო ველი “შეტყობინების ტექსტი” გაასუფთავეთ. რაც იმას ნიშნავს რომ W01 გატარების შესრულების შემდეგ, სისტემა ავტომატურად გადავა W02 ცვლადზე. დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:



სისტემა ასევე საშუალებას გაძლევთ წინასწარ გამოითვალოთ ნებისმიერი მნიშვნელობა და გამოთვლილი სიდიდე გამოიყენოთ ნებისმიერ გატარებაში. ვთქვათ, გამოვითვალოთ მეორე გატარებაში (W02) გამოთვლილი თანხის 18 პროცენტი და მიღებული შედეგი ჩავსვათ მესამე გატარებაში (W03). ამისათვის მონიშნეთ ცვლადი W02 და აირჩიეთ ლილავი “ფორმულა” - . იხილავთ ეკრანს:





ლილავის “ცვლადების სია” -  დახმარებით ეკრანი შემდეგნაირად შეავსეთ:





დააჭირეთ “OK” - ს. ნახავთ, რომ მეორე გატარების შემდეგ დაემატა “ფორმულის” ცვლადი - F01.


ამის შემდეგ გაავრცეტირეთ ცვლადი W03 და ველში “თანხა” “W02\*0.18” - ის მაგივრად აირჩიეთ ცვლადი F01. დააჭირეთ OK - ს.

ოპერაციაში სპეციალური ფუნქციების გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი სახეობის ანგარიშების, გატარების და ა.შ. რეკვიზიტების ამოღება. ერთ-ერთ მაგალითზე განვიხილოთ, როგორ შეიძლება ოპერაციაში ამ ფუნქციების გამოყენება. დავუშვათ, გვინდა ოპერაციის შესრულების დროს არჩეული მყიდველის, ანუ 1410 ანგარიშის რომელიმე ქვანაგარიშის დასახელების ამოღება, რათა ის გამოვიყენოთ ოპერაციის რომელიმე მომდევნო ცვლადში.


მონიშნეთ ცვლადი A01 და დააჭირეთ ლილავს - . იხილავთ “ფორმულის დამატების” ეკრანს. ამ ეკრანში შესაძლებელია ნებისმიერი ფორმულის, მეთემატიკური მოქმედების და ასევე სხვადასხვა ფუნქციების გამოყენება. სისტემაში არსებული ფუნქციების სიას ნახავთ თუ აირჩევთ ამავე ეკრანში არსებულ ლილავს “სხვა ფუნქციები” - . იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში მოცემული ფუნქციები აღწერილია ფაილში **functions.doc** რომლის ნახვასაც შესძლებთ თუ დააჭერთ ღილაკს -  ან მარშრუტით: **C:\ORIS\Docs** საქალაქოში. ეკრანი შეავსეთ შემდეგნაირად:




დააჭირეთ "OK" - ს. ნახავთ, რომ დაემატა ფორმულის ცვლადი **F02**. ამ ფორმულით ოპერაციის შესრულების დროს სისტემა ამოიღებს **A01** ცვლადში დაფორმირებული ანგარიშის (ჩვენს შემთხვევაში 1410 4) დასახელებას.


იმისათვის, რომ თვალნათელივ გამოჩნდეს შესრულებული ოპერაციის შინაარსი, გამოვიყენოთ ღილაკი "ოპერაციის კომენტარი" - . მონიშნეთ ცვლადი **W03** და და აირჩიეთ ოპერაციის კომენტარის ღილაკი. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




როგორც ეკრანზე ხედავთ, სწორედ ამ ცვლადში ვიყენებთ **F02** ფორმულაში დაფორმირებულ ანგარიშის დასახელებას. დააჭირეთ **OK**

- ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ "ოპერაციის კომენტარი" - ს ცვლადია **U01**.




დამიხსოვრეთ ანუბილი ოპერაცია ღილაკით "დამახსოვრება" -  და მის შესასრულებლად გადადით ბარათში "შესრულება".


შესასრულებელი ოპერაციების სიაში მოძებნეთ თქვენს მიერ ანუბილი ოპერაცია და გაუშვით შესრულებაზე. თარიღის მითითების შემდეგ სისტემა მოგთხოვთ დოკუმენტის ნომრის მითითებას:




აკრიფეთ **5** და დააჭირეთ ღილაკს "შემდეგი". იხილავთ თანხის მოთხოვნის ეკრანს, სადაც მიუთითეთ **150**. თანხის მითითების შემდეგ იხილავთ ვალუტების სიას, საიდანაც უნდა აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ვალუტა:



ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ “ამერიკული დოლარი” და დააჭირეთ ღილაკს “შემდეგი”. გამოსულ ეკრანში აირჩიეთ 1410 4 ქვეანგარიში და დააჭირეთ ღილაკს “შემდეგი”. ეკრანზე იხილავთ საფუძვლის მოთხოვნის ეკრანს:




აკრიფეთ: “გადახდილია ვალი” და დააჭირეთ ღილაკს “შემდეგი”, ხოლო შემდეგ “დასასრული”. იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ ოპერაციას:





როგორც ხედავთ ოპერაციის კომენტარში გამოჩნდა სრული ინფორმაცია ამ ოპერაციის შესახებ. ოპერაციის შესაბამისი გატარებების


სანახავად აირჩიეთ ბარათი “გატარებები”. იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანზე ხედავთ, რადგანაც ოპერაციის შესრულების დროს ავირჩიეთ უცხოური ვალუტა, შესრულდა გატარება დ.1120 - კ.1410 4 და შესაბამისად გატარებების ველში “ვალუტა” ზის არჩეული ვალუტის აბრევიატურა.

წაშლეთ ბოლოს შესრულებული ოპერაცია (ღილაკი - ) , განვიხილოთ სისტემის კიდევ ერთი შესაძლებლობა ანუ ოპერაციის შესრულების დროს დავაფორმიროთ პირველადი დოკუმენტი.


მაგალითად, სალაროში ლარის შემოსვლის გატარებას (W01) მოჰყვება სალაროს შემოსავლის ორდერი. ამისათვის, მონიშნეთ ცვლადი W01 და აირჩიეთ ღილაკი “დოკუმენტის ფორმირება” -  . იხილავთ ეკრანს:




ველის “დოკუმენტი” გასწვრივ აირჩიეთ ღილაკი -  . იხილავთ ეკრანს:




გახსენით საქალაღე “Pirveladi formebi”. იხილავთ ეკრანს, რომელშიც გახსენით საქალაღე “Shevsebuli”. იხილავთ ეკრანს:




კურსორით დადებით ჩანანერზე “Salaros shemosavlis orderi.rl” და დააჭირეთ “Open” - ს. იხილავთ ეკრანს:





ლილავით -  შეგიძლიათ გამოიძახოთ გამომავალი ფორმების ანყობის მოდული (იხ. თავი 13 “გამომავალი დოკუმენტების ფორმირება / ანყობა”), სადაც ნახავთ, თუ, როგორ არის ანყობილი სალაროს შემოსავლის ორდერი და საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ შეიტანოთ მასში გარკვეული ცვლილებები.

დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ “დოკუმენტის ფორმირების” ცვლილება D01.



